პალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 იანვარი ორშაბათი 2013 №009 (13 925) ფასი 80 თეთრი

# დემეტრაძე თავისუფალია!



2

## სად მისულა ამისულა? ალანიაში



2

## ბლეFI, FAრსი, სიყალბე?

ჩვენთვის მოძველებული, ფიფასთვის ახალი სიტყვა:

## ხმა გააყალბეს?!



10

მესის ოქროს ბურთი ეკუთვნის, მაგრამ...

## არის რეკორდი!

55 ქულა 57-დან



წუხელ ბარსელონამ მალაგას 3:1 მოუგო

## მანჩესტერული იდილია

იუნაიტედმა ლივერპული დაამარცხა, სიტიმ - არსენალი

## ბებერი ქალბატონი კრიზისშია?

იუვენტუსს მდევრები მიუახლოვდნენ

ევროთასები

5-9

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამნისტია

# გიორგი დემეტრაძე თავისუფალია

## უნამუსო არ ვარ, 36 წლისამ ვითამაშო

## თუ დამიჯერებთ, არ ვიცი, რატომ დამიჭირეს

ისევე როგორც ბურთის გატანის შემდეგ, გიორგი დემეტრაძემ გუშინ დილის 10 საათზეც ხელები ზევით აღაპყრო და ალბათ, ყველა გოლზე მეტი სიხარულით აღნიშნა პატიმრობიდან გათავისუფლება.

„ამნისტიის შესახებ“ კანონს ხელი რომ მოეწერა, 13 იანვარს დილით ციხეები პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე 190 პირმა დატოვა. მათ შორის საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი იყო.



გიორგი დემეტრაძე

ფოტო: interpressnews.ge

სასჯელაღსრულების მე-12 დაწესებულებასთან გიორგის უამრავი ხალხი ელოდა. ერთ-ერთს მაისურაზე მისი სურათი აღებეჭდა – ფეხბურთელს თავისუფლება კი წაართვეს, მაგრამ ხალხის სიყვარულს ვერაფერი მოუხერხეს, რადგან უბრალო, გულიანი და ნაკრებში ერთ-ერთი ყველაზე მონდომებული დემეტრაძე გულშემატკივარს გამორჩეულად უყვარდა.

გიორგი დემეტრაძეს ციხიდან გამოსვლის შემდეგ შინ ვესტუმრეთ და ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- უპირველესად, გათავისუფლებას გილოცავ.**

- გმადლობთ. თუ დამიჯერებთ, დღემდე ვერ ვხვდები, ციხეში რა მიზეზით ვიჯექი. ფეხბურთელი კაცი როგორ უნდა ვყოფილიყავი ქურდული სამყაროს წევრი? ეს ელემენტარულ ლოგიკაში ვერ ჯდება. სურდათ მეთქვა ის, რაც არასოდეს ჩამიდენია და ისიც, რაც სხვაზე არ ვიცოდი. მაგრამ ეს არ მიკადრია და ბედნიერი ვარ, ციხე რომ დავტოვე. იმედია, ბევრი სხვა პატიმარიც გათავისუფლდება, რომელთა იქ ყოფნას ახსნა არ ჰქონდა. მაგალითად, შამილ ცინდელიანი, რომელიც ევროპის ჩემპიონია ბრძოლაში წესების გარეშე. ის იმიტომ დააკავეს, რომ "სპეცნაზში" გადასვლა და სპორტის მიტოვება არ ისურვა. წარმოგიდგენიათ?

**- შენზე ფიზიკური ზეწოლა და დაშინება ხდებოდა?**

- ფიზიკური ზეწოლა არ ყოფილა, მაგრამ ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდნენ, როდესაც გამუდმებით გესმის გაწამებული პატიმრების კივილი და ღმუილი, ამას მტერს არ ვუსურვებ. საბედნიეროდ, ბოლო პერიოდში ამოვისუნთქეთ, წამება და დაშინება წარსულს ჩაბარდა.

**- 2 წლისა და 7-თვიანი პატიმრობის შემდეგ ფეხბურთში დაბრუნებას აპირებ?**

- ციხეში 33 წლისა ჩამსვეს და უნამუსო არ ვარ, 36 წლისამ ვითამაშო, ახლა ამას ვერ შევძლებ. არადა, დაკავებამდე ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი, რადგან უკრაინისა და კვიპროსის კლუბებში მიწვევები მქონდა და სამწლიან კონტრაქტებს მთავაზობდნენ. სამწუხაროდ, კარიერა არა კლუბში, არამედ ციხეში დამამთავრებინეს.

**- ცხადია, გვაინტერესებს, როგორია შენი სამომავლო გეგმები.**

- ერთი საათიც არ არის, რაც ციხე დავტოვე და ცხადია, ჯერ თავისუფლებით ვტკბები. ჩემი ცხოვრება ფეხბურთის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ გადაწყვეტილი არ მაქვს, სად და რა როლში დავსაქმდე, ამაზე ახლა არც ვფიქრობ. უბრალოდ, მინდა, გონზე მოვიდე და ორი კვირა კარგად დავისვენო.

**- მეგობრები გეხმარებოდნენ?**

- კახა კალაძე და კიდევ გულიანი ადამიანი, რეზო არველაძეც.

**- შენი დაკავების დროს, დონეცკის "მეტალურგის" გენერალურმა დირექტორმა დმიტრი სელიუკმა განაცხადა, რომ გირაოთი გათავისუფლების შემთხვევაში, თანხას ბევრი ფეხბურთელი, მათ შორის, "ბარსელონას" იმდროინდელი წევრი იაია ტურე გადაიხდიდა.**

- მე და ტურე დონეცკის "მეტალურგში" ერთად ვთამაშობდით და ვმეგობრობდით. მაგრამ ტურეს კი არა, ჩემი გათავისუფლება მესის, "ბარსელონას" და მსოფლიო ფეხბურთის ყველა ვარსკვლავს რომ მოეთხოვა, მაინც არაფერი შეიცვლებოდა. ამომიჩემეს და თავიანთი ავადმყოფური იდეების გამო არ მიშვებდნენ. მაგათ ხომ ხალხის წამება, ფულის და ქონების წართმევა სიამოვნებდათ... თქვენ ხომ არ იცით, 1 ოქტომბერს ციხე სიხარულისგან კინაღამ დაინგრა, უზარმაზარი სიხარული იყო, იმდენი ვიყვირეთ, ხმა ჩაგვიწყდა...

**- ციხეში ვარჯიშობდი?**

- სისტემატურად, ჩაკეტილი რომ ვიყავი და მერეც, როდესაც ღია ზონაში გადამიყვანეს. სხვათა შორის, ერთ კამერაში ვიყავით მე და მერაბ რატიანი. ეს კაცი იყო თბილისის "დინამოს" მეპატრონე, დაიჭირეს და კლუბი წაართვეს. რაც ვიცი, მან და მისმა მეგობრებმა "დინამოს" 50 მილიონამდე დაახარჯეს და ეგრე სად არის?! გამოვა ეს კაცი სასამართლოში სარჩელს შეიტანს და იქ ყველაფერი გაირკვევა. ძველი დრო აღარ არის, ქვეყანაც დალაგდება და ფეხბურთიც.

**- დარწმუნებული ვარ, ციხეში ფეხბურთელების სტუმრობა ძალიან გაგახარებდათ.**

- რა თქმა უნდა და ამისთვის ბიჭებს მადლობა. ლადო ბურდული, ლევან ცქიტიშვილი, ზვიად სტურუა, მიხეილ ბობოხიძე, კოკა მიკუჩაძე, დათო დათვაძე და დათო გოგოლაძე იყვნენ. მაგრამ ჩვენ ვაწყენინეთ, ვეთამაშეთ და მოვუგეთ. სხვათა შორის, ციხეში საკმაოდ კარგი გუნდი გვყავდა. თქვენ თუ გგონიათ, რომ შემოსულებმა შეგნებულად წააგეს, ცდებით, ციხეში ასეთი რამ არ ხდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ალექსანდრე ამისულაშვილი ალანიასთან კონტრაქტს გააფორმებს

ვლადიკავკაზის „ალანია“ საქართველოს ნაკრების 30 წლის მცველ **ალექსანდრე ამისულაშვილს** კლუბში გადასვლის შესახებ შეუთანხმდა.

tden.ru-ს ცნობით, „კრასნოდარის“ ექს-კაპიტანმა კრასნოდარულ კლუბთან ხელშეკრულება „ალანიაში“ გადასვლის მიზნით გაწყვიტა.

წყაროს ინფორმაციით, „ალანია“ ქართველ ფეხბურთელთან 3-წლიანი კოტრაქტის გაფორმების შესახებ ოფიციალურად უახლოეს მომავალში გააცხადებს.

ამისულაშვილის სატრანსფერო ფასი 2.5 მილიონ ევროს წარმოადგენს.

sportall.ge





აქტუალური ინტერვიუ



# ნურავის ეწყინება, მაგრამ...

## კახა ცხადაძის სუბიექტური აზრები

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი კახა ცხადაძე 2009 წლიდან ბაქოს „ინტერის“ მთავარი მწვრთნელია. მანამდე ცხადაძე საქართველოში მუშაობდა მწვრთნელად, „დინამო თბილისს“, ბოლნისის "სიონს" და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ედგა სათავეში.

ცხადაძე აზერბაიჯანში წარმატებით მუშაობს, მისი გუნდი სტაბილურად მოწინავეთა შორისაა, აზერბაიჯანის ჩემპიონიც გახდა და "თანამეგობრობის თასიც" მოიგო.

ამ დროისთვის აზერბაიჯანის ჩემპიონატის ლიდერი ბაქოს „ინტერი“ თურქეთშია შეკრებაზე და ცხადაძესაც იქ დავუკავშირდით.

ინტერვიუში არაერთი საკითხი მიმოვიხილეთ, მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებზეც ვისაუბრეთ.

მაშ ასე, „ლელოს“ კითხვებს კახა ცხადაძე პასუხობს...

**- აზერბაიჯანში მწვრთნელობას 2008 წლიდან შეუდექით, თქვენი პირველი მანდაური გუნდი ბაქოს „სტანდარტი“ იყო. გიმუშავიათ საქართველოშიც და როგორ ფიქრობთ, სად უფრო ძნელია მწვრთნელობა?**

- მწვრთნელობა ყველგან ძნელია, უცხოეთში რომ მიდიხარ სამწვრთნელოდ, დამატებითი სირთულეებიც ჩნდება, უნდა შეეგუო სხვა გარემოს და კიდევ ის ფაქტორიცაა, რომ რადგან უცხოელი ხარ, შენგან უფრო მეტს ელიან, უფრო მეტი პასუხისმგებლობა გაკისრია. აზერბაიჯანი საქართველოს მეზობელი ქვეყანაა, მაგრამ მაინც უცხოეთია და დიდია სხვაობაა საქართველოში და იქ მწვრთნელობას შორის.

**- კითხვა იმიტომ დაგისვით, რომ თქვენ მიერ ჩამოთვლილი ფაქტორების გარდა სხვა რამესაც ვგულისხმობდი - საქართველოში უფრო ცოტაა შეძლებული საფეხბურთო კლუბი, ვიდრე აზერბაიჯანში; შესაბამისად, საქართველოში მწვრთნელს დიდი არჩევანი არ აქვს და ხშირად კაბალურ პირობებზე თანხმდება...**

- კითხვის არსი გასაგებია, მაგრამ მოდი, სხვა კუთხიდანაც მივუდგეთ საქმეს - მწვრთნელმაც და ფეხბურთელმაც დროთა განმავლობაში უნდა მოიპოვოს ავტორიტეტი. მწვრთნელობა რომ დავიწყე თბილისის „დინამოში“, მაშინ არ მქონდა ამ საქმის გამოცდილება, ბევრი რამ არ ვიცოდი, თუმცა ჩემპიონებიც გავხდით და სუპერთასიც მოვიგეთ. ნებისმიერი კლუბის მეპატრონე ბიზნესმენია და ვიცი, როგორ უყურებს საკითხს, ცდილობს თავისი პოლიტიკა გაატაროს, მაგრამ კონტრაქტს აქვს პუნქტები და მწვრთნელი როცა ხელს აწერს, უკვე თვითონ აყენებს საკუთარ თავს ასეთ მდგომარეობაში. უკვე რამდენიმე წელია, რაც აზერბაიჯანში ვმუშაობ და ერთწლიანზე მეტი კონტრაქტი აქ არ გამიფორმებია. ბაქოს „ინტერის“ მეპატრონესთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაქვს, საქმის გარდა ერთმანეთში სხვა დამოკიდებულებაც გვაქვს და ალბათ ამ ფაქტორმაც იმოქმედა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ მუდამ ხანმოკლე კონტრაქტით მუშაობა არასწორია. მწვრთნელის პროფესია ისეთია, რომ ხვალ რა მოხდება, არავინ იცის, დაზღვეული არაფრისგან არ ხარ. მწვრთნელმა საკუთარი თავი და პროფესია უნდა დააფასოს და თან გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ რაც არ ეკუთვნის, იმას არავინ მისცემს. არ შეიძლება, მწვრთნელი გუნდში მივიდეს და ორ თვეში იქიდან წასვლამ მოუწიოს – ეს უკვე კლუბის მეპატრონის შეცდომაა. ერთწლიანი კონტრაქტი მწვრთნელთან მგონი მხოლოდ ჩვენთან და ჩვენნაირ ქვეყნებში ფორმდება, მაგალითად, რუსეთში მწვრთნელი სამწლიან კონტრაქტზე ნაკლებს ხელს არ აწერს. კახა კაჭარავა სწორად მოიქცა, რომ „ზესტაფონთან“ ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმა, ეს მას საშუალებას მისცემს ფეხბურთელების სელექციაზე და გუნდის ტაქტიკაზე მიზანმიმართულად იმუშაოს.

**- საქართველოში ასეთი ფაქტიც მოხდა - მწვრთნელებთან შეუთანხმებლად კლუბის პრეზიდენტმა ფეხბურთელებს ხელფასი გაუნახევრა - ეს რამდენად ნორმალურად მიგაჩნიათ?**

- იმ გუნდში, სადაც მე ვარ მწვრთნელი, ასეთი რამ არ მოხდება. კლუბის მეპატრონე საკუთარი შეხედულების მიხედვით განაგებს ფინანსებს, მაგრამ მწვრთნელმა არგუმენტირებულად უნდა დაუსაბუთოს მას, რომ ასეთი რამის გაკეთება ზიანის მომტანი იქნება გუნდისთვის. მეპატრონესა და მწვრთნელს შორის მთავარი ნდობის ფაქტორია, კლუბის პრეზიდენტს ჩემთან შეუთანხმებლად არაფერი გაუკეთებია.

**- საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე გადავერთოთ. ქართველი მწვრთნელების უმეტესობა ერიდება საკუთარი აზრის გამოთქმას იმაზე, რაც ჩვენს ეროვნულ გუნდში ხდება - კახა ცხადაძეც მათ რიგებში უნდა შევიყვანოთ?..**

» მე-3 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალური ინტერვიუ

# ნურავის ეწყინება, მაგრამ...



« მე-2 გვერდიდან

- მე არასდროს არ ვერიდებოდი საკუთარი აზრის გამოთქმას. ვინც მოქმედი მწვრთნელია, კოლეგიალობის გამო ერიდება ხოლმე საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას. თემურ ქეცბაიას ხშირად ვხვდები ხოლმე, მაგრამ არ გვისაუბრია საქართველოს ნაკრებზე. როცა ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებენ, ეს უფრო კოლეგიალობის გამო ხდება და არა შიშის. მწვრთნელმა უნდა აიტანოს კრიტიკა ჟურნალისტებისგან, აუცილებელია, რომ მწვრთნელს უფრო მეტი კონტაქტი ჰქონდეს ჟურნალისტებთან, მან უფრო მეტი უნდა ილაპარაკოს საკუთარ შეხედულებებზე და ასე უფრო გაუადვილდება მუშაობა.

**- წლები გადის და საქართველოს ნაკრებს მნიშვნელოვანი წინსვლა არ აქვს...**

- ძლიერი ეროვნული ჩემპიონატი და ლეგიონერები ძლიერი უცხოური ლიგებიდან - ნაკრების მნიშვნელოვან წინსვლას ეს სჭირდება. დღეს საქართველოს ნაკრების ყველაზე ძლიერი ლეგიონერების უმეტესობა რუსეთში თამაშობს. როცა მე ვთამაშობდი ნაკრებში, ჩვენთან „მილანის", „ნიუკასლის", „აიაქსის", „მანჩესტერ სიტის" და ბუნდესლიგის ფეხბურთელები თამაშობდნენ. ნურავის ეწყინება, მაგრამ მაშინდელი გუნდის ამ ნაკრებთან შედარება არ შეიძლება, ადრე რუსეთი ტრამპლინი იყო ქართველი ფეხბურთელებისთვის...

**- უნდა ჰქონდეთ თუ არა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს პრემია? ამ საკითხზე არაერთგვაროვანი აზრი არსებობს, ზოგი მიიჩნევს, რომ რა პრემიაზეა ლაპარაკი, როცა გუნდს შედეგი არ აქვს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქართველოს ნაკრებს აქვს გამონათებები და ესეც რომ არა, უკვე აფრიკულ ნაკრებებში ფეხბურთელები მხოლოდ ნაკრებში გამოძახებისთვის იღებენ ჰონორარს...**

- ფეხბურთელი ნაკრებში რომ მიდის, მას ყველანაირი პირობა უნდა ჰქონდეს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი რომ გახლდით, აღმოჩნდა, რომ ვარჯიშზე პლასტმასის ბურთების ამარა ვიყავით, ექტორ კუპერს დავუკავშირდი და ვუთხარი, პირველი ნაკრების ბურთები მათხოვეთ-მეთქი. დარწმუნებული ვარ, ქეცბაია ასეთი ტიპის საკითხების მოწესრიგებაში ფეხბურთელების ინტერესებს ბოლომდე დაიცავს. რაც შეეხება პრემიებს, ინგლისის ნაკრებს „უემლიზე" რომ ვხვდებოდით, თამაშის წინ იმ დროისთვის გაუგონარი პრემია დაგვიწესა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, მაგრამ ჩვენ იმ თამაშის მომგები არ ვიყავით. არ ჰქონდა პრემია საქართველოს ნაკრებს ესპანეთთან, მაგრამ ფრესთან ძალიან ახლოს იყო. ნაკრებში გამოძახებაზე ჰონორარის დაწესებას კი იმან დაუდო სათავე, რომ ფეხბურთელის კლუბიდან ნაკრებში გაშვება ტრავმის რისკთან იყო დაკავშირებული. აზერბაიჯანის ნაკრებმა რუსეთთან 0:1 რომ წააგო, ფეხბურთელებს მაინც მისცეს პრემია, აზერბაიჯანის ნაკრების ფეხბურთელს დღეში 200 მანათი აქვს დანიშნული, რაც დაახლოებით 200 ევროა. მე კი ამ საკითხზე საკუთარი შეხედულება მაქვს - ჩემი გუნდის ფეხბურთელები თამაშზე კი არ იღებენ პრემიას, არამედ საბოლოო შედეგზე, ანუ იმის მიხედვით, თუ სეზონს რომელ ადგილზე დაამთავრებენ. კონკურენტ გუნდებს კი ჩვენთან თამაშზე ხუთიდან ათი ათას დოლარამდე უწესებენ პრემიას. ფეხბურთი სპორტია და აქ მთავარი საბოლოო შედეგია, მე ამ პოზიციაზე ვარ და ეს ჩემი სუბიექტური აზრია. ჩემს კლუბში ისეთი სისტემა შემოვიტანე, რაც ახლოს არის გერმანულ გუნდებთან: ფეხბურთელი ითხოვს კონტრაქტით გათვალისწინებულ თანხას და ამ თანხის 60-70 პროცენტი უნაწილდება მას ხელფასის სახით, დანარჩენი კი იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ მოხვდება ძირითად შემადგენლობაში. ეს სისტემა ჩვენს კლუბში კარგად მუშაობს.

**- არაერთი ქართველი ფეხბურთელი ევროპიდან ან რუსეთში მიდის, ან უკრაინაში. მაგალითად, ლევან ყენიას შეეძლო, რომ „შალკეს" შემდეგ ბერლინის „ჰერტაში" გადასულიყო, მაგრამ „ზენიტის" ვარიანტი ამჯობინა, საბოლოოდ ლვოვის „კარპატიში" აღმოჩნდა, არადა მისი ნიჭი ალბათ უკეთესს იმსახურებდა...**

- ასეთი გადაწყვეტილების გამო ფეხბურთელს ნუ გავამტყუნებთ, სად მეორე ბუნდესლიგა და სად გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე თამაშობს, თუმცა ისიც უნდა ვთქვა, „აინტრახტი" მეორე ბუნდესლიგაში რომ დაქვეითდა, იქ არ დავრჩი და „ალანიაში" მივედი, რომელიც ევროტურნირებზე თამაშობდა, მაგრამ ჩემი რუსეთში დაბრუნება ალბათ შეცდომა იყო. ყენია მართლაც უნიჭიერესი ფეხბურთელია და ბევრის მიღწევაც შეუძლია.

**- დაბოლოს, ბაქოს „ინტერის" სათამაშო კონცეფციაზეც გკითხავთ - რა მიმართულება გაქვთ არჩეული? როგორ გაქვთ დაგეგმილი გუნდის მომზადების ციკლი თამაშიდან თამაშამდე?**

- კონტრაქტი გვაქვს დადებული კომპანიასთან, რომელიც არჩევს ჩვენი და მეტოქეების თამაშებს. აღმოჩნდა, რომ ჩვენ მოწინააღმდეგეზე 7-8 წუთით უფრო მეტს ვფლობთ ბურთს, ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ განაპირა მცველების შეტევაში ჩართვას. რაც შეეხება ციკლს, თამაშამდე ორი დღით ადრე გვაქვს ტაქტიკური ვარჯიში, ორი დღით ადრე თითქმის ასი პროცენტით ცნობილია შემადგენლობა.

**- არ გეჩვენებათ, რომ აზერბაიჯანში მუშაობა ძალიან გაგიგრძელდათ? საქართველოში მწვრთნელობას ახლო მომავალში არ აპირებთ?**

- თბილისის „დინამოს" ახლა მართლაც კარგი პერიოდი უდგას, შარშან ზაფხულს შევხვდი კლუბის მეპატრონეს რომან ფიფიას, თითქმის გადაწყვეტილი იყო „დინამოში" ჩემი დაბრუნება, კლუბი ორწლიან კონტრაქტს მთავაზობდა და ისეთივე პირობებს, რაც აზერბაიჯანში მაქვს, მაგრამ ბაქოს „ინტერიდან" წასვლა ვერ გადავწყვიტე, აწყობილი საქმე ვერ მივატოვე, ჩემი მხრიდან ეს ღალატი გამოდიოდა...

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

# ირაკლი მაისურაძე: გარდამავალ პერიოდს წარმატება მოჰყვება

## მინდა, ნაკრებისთვის უფრო მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ვიყო

რუსთავის "მეტალურგმა" უმაღლესი ლიგის საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა ვერ შეძლო, რაც ჯერჯერობით, მიმდინარე სეზონის უპირველესი სენსაციაა. საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ევროპის ლიგაზე გასასვლელად ქვეყნის თასის გათამაშებაზე იბრძოლებს.

"ლელომ" ინტერვიუ "მეტალურგის" ერთ-ერთ ლიდერს, 24 წლის ირაკლი მაისურაძეს ჩამოართვა, რომელმაც გუნდის წარუმატებელი ასპარეზობის მიზეზებზე ისაუბრა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ მაისურაძის მომავალს გორის "დილას" უკავშირებენ. ჩვენი ინფორმაციით, საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ მან კარიერა სწორედ შიდაქართულ კლუბში გააგრძელოს, მაგრამ ირაკლიმ ამ თემაზე საუბრისგან თავი შეიკავა.

-უპირველესად, შემთხვევით ვისარგებლებ და შობა-ახალ წელს ვულოცავ მთელ საქართველოს. ჟურნალისტებს კარგ ამბებზე წერას გისურვებთ, საკუთარ თავსა და ჩემს კოლეგებს კი იმას, რომ თქვენთვის სასიამოვნო სიახლეების გაშუქების მიზეზი მოგვეცეს.

**- ზეექვსეულში "მეტალურგის" ვერმოხვედრის უმთავრეს მიზეზად რას დაასახელებ?**

- მიმდინარე სეზონში "მეტალურგში" ბევრი რამ შეიცვალა. მოვიდა ახალი სამწვრთნელო შტაბი, რომელმაც გუნდში თავისი იდეები მოიტანა. გიორგი ყიფიანთან მუშაობა ფეხბურთელებს ძალიან მოგვწონს, რადგან იგი "მეტალურგში" თანამედროვე ფეხბურთს ნერგავს. ამას გარკვეული დრო სჭირდება და შედეგი უცებ არ მოდის, თუმცა ახლო მომავალში ყველა დაინახავს, რომ ყიფიანის მუშაობა ნაყოფს გამოიღებს. ვიტყოდი, რომ ახლა "მეტალურგს" გარდამავალი პერიოდი უდგას, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება წარმატება. თუმცა, რა თქმა უნდა, დღევანდელ დღეზეც უნდა ვიფიქროთ. ასეთი შედეგით ყველანი გულდაწყვეტილები ვართ. პასუხისმგებლობა თითოეულმა ჩვენგანმა თანაბრად უნდა გაინაწილოს, თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ საუკეთესო ექვსეულს მიღმა ჩვენი დარჩენა სხვადასხვა საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო მიზეზებმა განაპირობა.

**- საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებ?**

- საკუთარი თავის მიმართ ყოველთვის კრიტიკულად ვარ განწყობილი, სხვაგვარად ფეხბურთელი ვერ გაიზრდება. ასე რომ, გუნდის შედეგიდან გამომდინარე, არც ჩემი თამაშით ვარ კმაყოფილი. შევეცდები, სეზონის მეორე ნახევარი უფრო მაღალ დონეზე ჩავატარო. ჯერ "მეტალურგის" ფეხბურთელი ვარ და მთლიანად ჩემს ამჟამინდელ გუნდზე ვარ კონცენტრირებული. თუ აქ დავრჩი, ძველებური მოტივაციით გავაგრძელებ თამაშს, ხოლო თუ წავედი, გიორგი ყიფიანთან მიღებული ცოდნა მთელი კარიერის განმავლობაში გამომადგება.

**- "მეტალურგთან" კონტრაქტი როდემდე გაკავშირებს?**

- თებერვლამდე. ჯერ მართლა არ ვიცი, დავრჩები თუ სხვა კლუბში გადავალ. თუ სასურველი შეთავაზება მივიღე, "მეტალურგს" თავისუფალი აგენტის სტატუსით დავტოვებ.

**- უცხოური ვარიანტებიც ხომ არ გაქვს?**

- მაქვს წინადადებები როგორც ქართული, ასევე საზღვარგარეთული კლუბებისგან. საჩქარო არაფერი მაქვს, ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონი და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებ.

**- მიმდინარე ჩემპიონატში შენი ყველაზე სასიამოვნო მოგონება რა არის?**

- გამარჯვება ზესტაფონში. იმ მატჩში მეც წამივიდა თამაში და "მეტალურგსაც" ყველაფერი გამოსდიოდა. წინა სეზონში "ზესტაფონს" ჩემპიონობისთვის ვებრძოდით, მაგრამ ერთი შეხვედრაც ვერ მოვუგეთ, ამ გამარჯვებამ კი საკუთარი თავის რწმენა შეგვმატა.

**- ჩემპიონატის მეორე ეტაპის წინ რა პროგნოზს გააკეთებ?**

- ქვედა ექვსეულში უკვე ბევრი რამ არის გარკვეული, ზედა ეშელონში კი მდგომარეობა არაპროგნოზირებადია. ჩემპიონატის ფავორიტი აშკარად "დინამოა", მაგრამ ტიტულის მოპოვების შანსი "დილას", "ტორპედოსა" და "ზესტაფონსაც" აქვთ. ასე რომ, დარწმუნებული ვარ, ჩემპიონატის მეორე ეტაპი ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოვა.

ჩემი აზრით, მიმდინარე ჩემპიონატი



ირაკლი მაისურაძე

წინაზე უფრო მაღალი დონისაა, რაც რამდენიმე გუნდის პროგრესით არის განპირობებული. ისიც მახარებს, რომ ნელ-ნელა ინფრასტრუქტურა უმჯობესდება. ფეხბურთელისთვის მაღალი დონის ბუნებრივ მოედანზე თამაში უდიდესი სიამოვნება და მოტივაციაა.

**- ბოლოს შენს სანაკრებო პერსპექტივებსაც შევეხოთ...**

- მოხარული ვარ, რომ თემურ ქეცბაიამ ეროვნულ ნაკრებში რამდენიმეჯერ გამომიძახა და თავის გამოჩენის შანსი მომცა. ჩემთვის ნაკრების ბანაკში ყოფნა და სათადარიგოთა სკამზე ჯდომაც დიდი ბედნიერებაა, თუმცა მაქვს იმის ჯანსალი ამბიცია, რომ ნაკრებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოთამაშე ვიყო და ამისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# ბაჩო არაბული დუისბურგში ვარჯიშობს

მცირე ხნის წინ ვწერდით, რომ ბაჩანა არაბულით იტალიური და გერმანული კლუბები დაინტერესდნენ. „საბურთალოს" გენერალურმა დირექტორმა, **კახა ჭუმბურიძემ** მაშინ არ დამალა, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებისა



და "საბურთალოს" თავდამსხმელს იტალიის სერია "ა"-ს "ბოლონია" იწვევდა.

მაგრამ კატეგორიულად არ უთქვამს, რომ საკითხი იტალიელთა სასარგებლოდ გადაწყდა, შესაძლოა, ბოლო ეტაპზე რაღაც შეიცვალოსო და ასეც მოხდა. გუშინ შევიტყვეთ, რომ ქართველი ახალგაზრდა გერმანიაში გაემგზავრა და მეორე ბუნდესლიგის "დუისბურგის" ძირითად შემადგენლობასთან ერთად ივარჯიშებს.

*"კლუბში ბაჩანას ამბები იციან, რომ ზედიზედ ორ შესარჩევ ციკლში, საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში განსაკუთრებული როლი ითამაშა. არც ის დაუმალავთ, რომ ტრავმების გამო ბევრი გაუცდა, ფორმის აღდგენას ცდილობს, მაგრამ ჯერ პიკზე არ არის. ეტყობა, "საბურთალომ" და გოჩა თამაზაშვილმა კარგად იმუშავეს და გერმანელები ბაჩოს გამადიდებელი შუშით ყურებას არ დაუწყებენ, რადგან იციან, რომ ნიჭიერი მოთამაშეა. ასეთ დროს კი ნდობის ფაქტორი ბევრს ნიშნავს. იმედია, არაბული "დუისბურგს" თავს მოაწონებს"* – გვითხრა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გია ცეცაძემ**.

"საბურთალოს" პრეზიდენტი **ტარიელ ხეჩიკაშვილი**: *"გოჩა თამაზაშვილს მშვენიერი კავშირები აქვს და ევროპაში "საბურთალოს" წარმომადგენლად დავნიშნეთ. მიგვაჩნია, რომ მას კლუბისთვის და ქართული ფეხბურთისთვის ძალიან კარგი საქმეების კეთება შეუძლია. ამის მაგალითად არაბულის "დუისბურგში" გაშვება გამოდგება. ეს ამბავი გოჩას დამსახურებაა. გერმანელებს უთხრა, ვინ არის არაბული, რას წარმოადგენს, ტრავმის გამო დრო რომ გაუცდა და "დუისბურგის" მთავარი მწვრთნელი დააინტერესა. ბაჩანა უკვე გერმანიაში გაემგზავრა და ახლა მთავარია, თავი მოაწონოს. რაც შეეხება "ბოლონიას" ვარიანტს, ეს არ გამორიცხულა. კარგად გვესმის, რომ იტალიაში თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, მაგრამ არჩევანი "დუისბურგზე" შეჩერდა და მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე, 18 წლის ბიჭისთვის მეორე ბუნდესლიგაში თამაში ჯობს. კლუბში ეყოლება მწვრთნელი, რომელმაც მასზე ბევრი რამ იცის. ამავე დროს, ყველაზე მეტად ქართველი ფეხბურთელები სწორედ გერმანიაში გაიხსნენ - ესეც არანაკლებ გასათვალისწინებელი ფაქტორი იყო".*

**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. I ეტაპის შეჯამება | სიონი (ბოლნისი). ადგილი X

# შერჩენილი შარმი




არმაზ ჯელაძე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ბოლნისში საფეხბურთო მუხტი განელებულია, თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონზე ბევრი ქომაგი აღარ დადის, გუნდსაც არ აქვს სანიმუშო შედეგი, მაგრამ „სიონს" მაინც აქვს შერჩენილი შარმი - ბოლნისში თამაში უმეტესი გუნდებისთვის რთულია, იქაური გულშემატკივარი, თუნდაც მცირერიცხოვანი, კვლავინდებურად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

„სიონი" საბიუჯეტო კლუბია, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი აფინანსებს, თუმცა იყო შეფერხებები. 2013 წელს „სიონი" სიტუაციის გამოსწორების იმედად არის დარჩენილი და ვნახოთ, თუ ხელფას-პრემია იქნება, არა გვგონია, რომ ქვემოქართლელებმა უმაღლეს ლიგაში დარჩენა ვერ მოახერხონ.

მიმდინარე სეზონის დასაწყისში „სიონს" **ხვიჩა ქასრაშვილი** წვრთნიდა, ეს სპეციალისტი ბევრჯერ წასულა ამ გუნდიდან და ბევრჯერ დაბრუნებულა იქ. ქასრაშვილი **არმაზ ჯელაძემ** შეცვალა, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა მწვრთნელის შეცვლა პანაცეა არ არის - ამ კლუბს პირველ რიგში მოფულიანება სჭირდება.

### მეკარე

ნლებია, რაც „სიონის" პირველი მეკარე **მინდია ბობლიაშვილი** გახლავთ. ასე იყო მიმდინარე სეზონის პირველ ეტაპზეც. ბობლიაშვილი ის კიპერია, ვისაც ძნელი ბურთის მოგერიება შეუძლია და ეს არაერთხელ გვიჩვენა ამ სეზონშიც. შეიძლება ითქვას, რომ 29 წლის ბობლიაშვილი მძაფრ კონკურენციას ვერ გრძნობდა პირველ ეტაპზე.

### დაცვა

„სიონმა" 22 მატჩში 38 გოლი გაუშვა, რაც ცოტა ნამდვილად არ არის. ბოლნისელთა დაცვის ხაზს გამოცდილი ფეხბურთელები ამაგრებენ, 33 წლის **რევაზ ქემოკლიძესა** და 30 წლის **სერგი ორბელაძეს** საქართველოს სხვადასხვა ნაკრებში უთამაშიათ. გამოცდილება „სიონის" არც დანარჩენ მცველებს დაენუნებათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბოლნისელთა დაცვა არცთუ მობილურად გამოიყურებოდა.

### ნახევარდაცვა

**32 წლის ვლადიმერ ჯოჯუა** და **22 წლის თორნიკე თარხნიშვილი** ისეთი საყრდენი ნახევარმცველები არიან, შეუპოვრობით რომ გამოირჩევიან. 26 წლის **გიორგი ქუცურუას** ფლანგურ ჩანოდებებს შევუქებდით. „სიონის" სხვა შუახაზელებსაც არ დაენუნებათ სხვადასხვა საფეხბურთო უნარები, მაგრამ გუნდს მოედნის ცენტრში არ ჰყავდა ისეთი მოთამაშე, ვინც დირიჟორობას მოახერხებდა. ჯამში „სიონის" ნახევარდაცვამ ხუთი გოლი გაიტანა.

### თავდასხმა

აქ პირველი კაცი 32 წლის **რევაზ ჯიქია** გახლავთ, სეზონის პირველ ეტაპზე „სიონიდან" ყველაზე მეტი, 6 გოლი გაიტანა.

ცენტრფორვარდის პოზიციაზე ხანდახან 20 წლის **ჯაბა უგულავაც** თამაშობდა. ამ რგოლში გუნდს გაძლიერება ნამდვილად არ აწყენდა. მეტს ველოდით 24 წლის **გიორგი ჭედიასგან.**

### საუკეთესო მატჩი

მესამე ტურში „სიონმა" „დილას" კი მოუგო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ გორელები მაშინ ევროფრონტზე იყვნენ გადართულები და საქართველოს ჩემპიონატისთვის დიდად არ ეცალათ. ვფიქრობ, „სიონმა" საუკეთესო მატჩები მაშინ ჩაატარა, როცა ზღვისპირეთში მიჯრით ორი მატჩი მოიგო: ჯერ „ბათუმთან", მერე კი „კოლხეთთან".

### ყველაზე ცუდი მატჩი

„სიონმა" თბილისის „დინამოსთან" ორივეჯერ ხუთბურთიანი სხვაობით წააგო - ამით ყველაფერი ნათქვამია.

### ლიდერი

ასეთი ფეხბურთელი ბოლნისელებს უბრალოდ არ ჰყავთ, არადა, იქაური ქომაგი თავის ჯილას ეძებს.

### მიზანი

ბათუმის „დინამოში" რა როგორ იქნება, ჯერაც უცნობია. „სიონისთვის" ძალიან მნიშვნელოვანია, რა მოხდება ცხრილის ქვემოთ მოქცეულ დანარჩენ საბიუჯეტო კლუბებში. მიზანი არგავარდნაა და „სიონს" შეუძლია თავის შანსს ჩაეჭიდოს -ბოლნისში თამაში ქვედა ექვსეულის გუნდებისთვის განსაკუთრებულად რთული იქნება.

**დავით თავართქილაძე**

### სიონის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

| | | |
|---|---|---|
| 1 ტური. | სიონი - ბათუმი | 2:2 |
| 2 ტური. | სიონი - კოლხეთი | 0:0 |
| 3 ტური. | დილა - სიონი | 2:3 |
| 4 ტური. | სიონი - ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| 5 ტური. | ჩიხურა- სიონი | 2:1 |
| 6 ტური. | მერანი - სიონი | 1:0 |
| 7 ტური. | სიონი -ზუგდიდი | 0:0 |
| 8 ტური. | დინამო - სიონი | 7:2 |
| 9 ტური. | სიონი - ზესტაფონი | 0:2 |
| 10 ტური. | მეტალურგი - სიონი | 1:0 |
| 11 ტური. | სიონი - ტორპედო | 0:2 |
| 12 ტური. | ბათუმი -სიონი | 0:1 |
| 13 ტური. | კოლხეთი - სიონი | 0:1 |
| 14 ტური. | სიონი -დილა | 0:2 |
| 15 ტური. | ვიტ ჯორჯია - სიონი | 0:0 |
| 16 ტური. | სიონი -ჩიხურა | 0:3 |
| 17 ტური. | სიონი - მერანი | 2:1 |
| 18 ტური. | ზუგდიდი - სიონი | 2:0 |
| 19 ტური. | სიონი -დინამო | 0:5 |
| 20 ტური. | ზესტაფონი - სიონი | 1:0 |
| 21 ტური. | სიონი -მეტალურგი | 0:0 |
| 22 ტური. | ტორპედო -სიონი | 4:1 |

მეკარეები: მინდია ბობლიაშვილი - 19 მატჩი, ვახტანგ ლობჟანიძე - 3 მატჩი;

მცველები: თენგიზ ჩიკვილაძე - 19 მატჩი, დავით სვანიძე - 18 მატჩი, სერგი ორბელაძე - 16 მატჩი, ნოდარ მაჭავარიანი - 12 მატჩი, რევაზ ქემოკლიძე - 11 მატჩი, დავით ლომაია - 4 მატჩი;

ნახევარმცველები: ვლადიმერ ჯოჯუა - 19 მატჩი, გიორგი ქუცურუა - 19 მატჩი, 1 გოლი, გიორგი მანწკავა - 17 მატჩი, 1 გოლი, თორნიკე თარხნიშვილი –15 მატჩი, გიორგი ოქროპირიძე - 15 მატჩი, გიორგი ფეიქრიშვილი - 13 მატჩი, 1 გოლი, გიორგი ჭანკოტაძე - 12 მატჩი, 1 გოლი, ვლადიმერ უგრეხელიძე - 10 მატჩი, ვაჟა ნემსაძე - 10 მატჩი, ჯაბა უგულავა - 8 მატჩი, 1 გოლი, გელა ხუბუა - 3 მატჩი, გიორგი გორდეზიანი - 1 მატჩი

თავდამსხმელები: რეზო ჯიქია - 18 მატჩი, 6 გოლი, ვილი ისიანი - 18 მატჩი, 1 გოლი, გიორგი ჭედია - 17 მატჩი, 1 გოლი, მანუჩარ ოქროპირიძე –3 მატჩი, ზურაბ ხურციძე - 2 მატჩი, ლაშა ქემუხტაშვილი - 1 მატჩი

მწვრთნელები: ხვიჩა ქასრაშვილი (I - IV ტური), არმაზ ჯელაძე(V -XII ტური)



გიორგი ქუცურუა (მარცხნივ) და რევაზ ჯიქია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

| ად | გუნდი | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბურთები გატ | სულ ბურთები გაშ | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბურთები გატ | შინ ბურთები გაშ | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბურთები გატ | სტუმრად ბურთები გაშ | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 22 | 16 | 4 | 2 | 63 | 19 | 52 | 11 | 11 | 0 | 0 | 43 | 11 | 33 | 11 | 5 | 4 | 2 | 20 | 8 | 19 |
| 2 | დილა | 22 | 16 | 1 | 5 | 36 | 15 | 49 | 11 | 7 | 0 | 4 | 18 | 9 | 21 | 11 | 9 | 1 | 1 | 18 | 6 | 28 |
| 3 | ტორპედო | 22 | 14 | 3 | 5 | 41 | 18 | 45 | 11 | 9 | 1 | 1 | 25 | 7 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 16 | 11 | 17 |
| 4 | ჩიხურა | 22 | 13 | 4 | 5 | 35 | 21 | 43 | 11 | 8 | 2 | 1 | 18 | 5 | 26 | 11 | 5 | 2 | 4 | 17 | 16 | 17 |
| 5 | ზესტაფონი | 22 | 11 | 4 | 7 | 30 | 20 | 37 | 11 | 6 | 2 | 3 | 11 | 7 | 20 | 11 | 5 | 2 | 4 | 19 | 13 | 17 |
| 6 | ზუგდიდი | 22 | 10 | 5 | 7 | 27 | 26 | 35 | 11 | 8 | 2 | 1 | 19 | 10 | 26 | 11 | 2 | 3 | 6 | 8 | 16 | 9 |
| 7 | მეტალურგი | 22 | 9 | 4 | 9 | 21 | 26 | 31 | 11 | 5 | 2 | 4 | 13 | 14 | 17 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 12 | 14 |
| 8 | მერანი | 22 | 7 | 2 | 13 | 23 | 36 | 23 | 11 | 6 | 1 | 4 | 16 | 13 | 19 | 11 | 1 | 1 | 9 | 7 | 23 | 4 |
| 9 | **ვიტ ჯორჯია** | **22** | **5** | **7** | **10** | **15** | **29** | **22** | **11** | **1** | **5** | **5** | **7** | **12** | **8** | **11** | **4** | **2** | **5** | **8** | **17** | **14** |
| 10 | სიონი | 22 | 4 | 6 | 12 | 14 | 38 | 18 | 11 | 1 | 5 | 5 | 5 | 18 | 8 | 11 | 3 | 1 | 7 | 9 | 20 | 10 |
| 11 | დინამო (ბთ) | 22 | 3 | 4 | 15 | 22 | 47 | 13 | 11 | 2 | 1 | 8 | 11 | 21 | 7 | 11 | 1 | 3 | 7 | 11 | 26 | 6 |
| 12 | კოლხეთი | 22 | 0 | 4 | 18 | 11 | 43 | 4 | 11 | 0 | 3 | 8 | 6 | 19 | 3 | 11 | 0 | 1 | 10 | 5 | 24 | 1 |

კონტაქტები

## კმაყოფილი ვლადიკავკაზელები

რუსეთი რომ არა, კავკასიაში ყველა ერი ბედნიერად იცხოვრებდა - ძნელია არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, რომელიც ახლახან საქართველოში ვლადიკავკაზის საფეხბურთო კლუბ "ავტოდორის" სტუმრობის შემდეგ ითქვა.

"ავტოდორის" მწვრთნელმა, დავით დვალიშვილმა 1995 წელს დაბადებული 20-მდე ახალგაზრდა ფეხბურთელი შეკრების ჩასატარებლად თბილისში ჩამოიყვანა. გუნდს 35-ე საფეხბურთო სკოლა და მისი დირექტორი **გოჩა ავსაჯანიშვილი** მასპინძლობდა. თავიდან ერთმანეთში 2 საკონტროლო შეხვედრის ჩატარება დაგეგმეს, მაგრამ საქართველოს სამხედრო გზის გადაკეტვის გამო, ოსები თბილისში ერთი კვირა დარჩნენ და 35-ე სკოლის გუნდს 4-ჯერ დაუპირისპირდნენ.

ურთიერთობები სწორედ ამ დროს აეწყო. ბიჭებმა ერთმანეთი გაიცნეს, დაუახლოვდნენ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე კლიშეები გონებიდან ჩამოირეცხეს, რადგან საქართველოში მეგობრულად დახვდნენ, კომპანია "სალერმა" კი თითოეულ მათგანს სპორტული ეკიპირება გადასცა.

ახალგაზრდა სპორტსმენები და მათი მწვრთნელები საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსაც ესტუმრნენ. დახვედრით კმაყოფილებმა და გაოცებულებმა, ერთობლივ ტურნირებსა და სამომავლო თანამშრომლობაზე თანხმობა თქვეს.

*"ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა ვლადიკავკაზური კლუბის ჩამოსვლა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ოსმა და ქართველმა ბავშვებმა ერთად გაიარეს შეკრება და ბავშვებს შორის თბილი, მეგობრული ურთიერთობები ჩამოყალიბდა. არანაირი დაძაბულობა და ომზე მინიშნება არ ყოფილა. ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ სპორტი ერებს აერთიანებს. მალე ოსი და ქართველი ბავშვები ტურნირებში ერთად მიიღებენ მონაწილეობას"* - განაცხადა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა.**

**დავით დვალიშვილი,** "ავტოდიორის" მწვრთნელი: *"როდესაც შეკრების მოწყობის ადგილს ვარჩევდით, მკითხეს, წასვლა სად გირჩევნიაო. მაშინ, ინერციით, საქართველოზე ლაპარაკი არც ყოფილა და ცხადია, ამ ვარიანტს არც განიხილავდნენ. ამ დროს, ვთქვი, თბილისში მირჩევნია წასვლა-მეთქი. არანაირი პრობლემა არ ყოფილა, მაშინვე დამთანხმდნენ. ჩვენი ჩამოსვლის მიზანი სეზონისთვის კარგად მომზადება იყო. მადლობა ყველა ჩვენს მასპინძელს, ბიჭები ძალიან კმაყოფილები ბრუნდებიან. იმედია, ჩვენ ერთმანეთს გავუგებთ და ურთიერთობები მომავალშიც გაგრძელდება".*

ომისა და ხიდების ნგრევის შემდეგ, ეს იყო ქართველებისა და ოსების მიერ ერთმანეთისკენ გადადგმული ერთ-ერთი ყველაზე სწორი და ადამიანური ნაბიჯი. ოსები ჩვენი ძმები იყვნენ და ძმებადვე დარჩებიან, ისევე როგორც აფხაზები. წარსულის ორმხრივმა შეცდომებმა კავკასიაში დიდი ტრაგედია დაატრიალა. პოლიტიკოსების შეცდომების შედეგებს კი ხალხი იმკის, ამიტომ ემოციურ მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებს ყოველთვის გონივრული და ადამიანური სჯობია.

ვფიქრობთ, აუცილებელია საერთო ენის ხელახლა გამონახვა. ხალხს პრობლემა არც დღეს ჰქონია და არც გუშინ, ხელს ყოველთვის ბინძური პოლიტიკა აფათურებდა და ის იყო პრობლემის მთავარი მიზეზი. ახლა კი ის დროა, ხალხმა ისევ თავის თავზე აიღოს ურთიერთობის დამყარებისა და გამყარების ინიციატივა. პოლიტიკოსთა ნაწილი ხომ ხშირად სხვა მოტივებით საზრდოობს.

არ დაგვავიწყდეს, რომ ვლადიკავკაზელ ოსებს ქართველები უყვარდათ და მათთვის დედაქალაქი თბილისი უფრო მშობლიური იყო, ვიდრე შორეული მოსკოვი, ვლადიკავკაზში ქართული ბევრმა იცოდა და იცის. ამის მაგალითი გნებავთ? ზემოხსენებული "ავტოდორის" სპონსორი, **ხასან ალბეგოროვი** ვლადიკავკაზში იმ ქართულ სკოლას პატრონობს, სადაც ბავშვობაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სწავლობდა.

ამ ურთიერთობების გაციება მხოლოდ ჩვენს მტერს ელანდება და რაც მტრის ნატვრაა, ის ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ჩვენი ურთიერთობით ქართული ფეხბურთიც სარგებლობდა, ახლა კი რუსები. თუ ადრე ვლადიკავკაზელი ფეხბურთელები თბილისის "დინამოს" ეტანებოდნენ, წლეულს "ავტოდორის" 5 მოთამაშე ვლადიკავკაზის "ალანიამ" დაიმატა, ორ-ორი - მოსკოვის "დინამომ" და ცსკა-მ, ერთიც – სანკტ-პეტერბურგის "ზენიტმა". არადა, ადრე თბილისის "დინამოს" აძლიერებდნენ **ანდრო ზაზროევი, ზაურ კალოევი, გურამ ცხოვრებოვი, ვლადიმერ გუცაევი...**

თუ გვინდა მშვიდობა და საქართველოს გაძლიერება, მეზობლებთან მეგობრობა და სიყვარული უნდა ავღადგინოთ. ხოლო ის ამბავი, რომ ცხინვალი ქართულია, იმედია, ამას დრო და სამართალი მოაგვარებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXII ტური

# გამარჯვება 37 წლის შემდეგ

## ლივერპულმა კარგად ითამაშა, მაგრამ წააგო

XXII ტურის პირველ დღეს რამდენიმე უცნაურობა აღინიშნა. 8-დან არც ერთ შეხვედრაში არბიტრებს წითელი ბარათის გამოყენება არ დასჭირვებიათ. ეს კიდევ არაფერი, საფეხბურთო თემიდამ "ყვითლებიც" კი ცოტა დაარიგა (სულ 17). და რაც მთავარია, 3 შეხვედრა უგოლოდ დასრულდა, რაც ისეთ სახელგანთქმულ სანახაობას, როგორიც ინგლისური ფეხბურთია, მაინცდამაინც სახელს ვერ მატებს. უმთავრესი ინტრიგა კი გუშინ საღამოს გათამაშდა. ამ ყველაფერზე ქვემოთ დაწვრილებით გიამბობთ.

### უკანასკნელი ბასტიონი

უმაღლეს დივიზიონში "ბრიტანია სტედიუმი" უკანასკნელი დაეცა. დიახ, აქამდე **ტონი პულისის** გუნდს შინ წაგებული არ ჰქონდა. სამწუხაროა, რომ ეს წაქცევა ასეთი მწარე აღმოჩნდა. ყველაზე დიდი როლი **რაფა ბენიტესის** "ტრიუმფში" მასპინძელთა 29 წლის ირლანდიელმა თავდამსხმელმა **ჯონათან უოლტერსმა** ითამაშა, ვინც საკუთარი კარი ორჯერ დალაშქრა. იქამდე "მეთიხეები" ბევრს ცდილობდნენ. მე-8 წუთზე **კენუაინ ჯონსმა** კინაღამ ანგარიშიც გახსნა. **სესარ ასპილიკუეტა** ტყუილად ცდილობდა მეტოქისთვის ხელის შეშლას. ტრინიდადელმა კარგი მომენტი გაანიავა. უსაქმოდ არც "ჩელსი" მჯდარა. 25-ეზე **ფრენკ ლამპარდს** მართებდა ახლო მანძილიდან გატანა, მაგრამ **ასმირ ბეგოვიჩმა** ბურთი ბოლო მომენტშილა მოიგერია ფეხით. 10 წუთში მან **დემბა ბასაც** კარგი მომენტი აუღო. ტაიმის ბოლოს კი უოლტერსმა პირველად "გაისროლა" - **ხუან მატას** დაასწრო და თავით საკუთარ მეკარეს შანსი არ დაუტოვა. 63-ე წუთზე მან უკვე ლამპარდს შეუშალა ხელი დარტყმაში და ისევ "შედეგიანად". ბეგოვიჩს არც ამჯერად ჰქონია აღების შანსი. ორიოდე წუთში ხუამ მატას საჯარიმოში **რაიან შოუკროსი** წინიდან ჩაუხტა, **რობერტ ჰუთმა** კი ზურგში ხელი ჰკრა, რის გამოც სამართლიანი 11-მეტრიანი დაინიშნა. ლამპარდმა ცენტრში ძლიერად და ზუსტად დაარტყა. 73-ეზე **ედენ აზარმა** 26-27 მეტრიდან ულამაზესი დარტყმით შეხვედრას წერტილი დაუსვა. უოლტერსს შეეძლო დანაშაული მცირედით მაინც გამოესყიდა, მაგრამ საბრალო ირლანდიელმა თავისივე მონადირებული პენალტი ხარიხას გაარტყა.

### ბრძოლა გადასარჩენად

ყველაზე საინტერესო მატჩი რედინგის "მადეისკიზე" გაიმართა. ბუკმეიკერები შეხვედრის ფავორიტად "ვესტ ბრომვიჩს" მიიჩნევდნენ. მათი პროგნოზის გამართლებას თითქოს არაფერი აკლდა, მაგრამ... "არისტოკრატებმა" (ამ მეტსახელით ინგლისში სწორედ "რედინგს" იცნობენ და არა "ჩელსის") ბოლო 8 წუთის (პლუს მსაჯის მიერ კომპენსირებული დრო) განმავლობაში თამაშის ჩარხი შემოატრიალეს, ჯერ ორბურთიანი ჩამორჩენა გააბათილეს, მერე კი გამარჯვების გოლიც გაიტანეს. ყველაფერი 82-ე წუთიდან დაიწყო, როცა შეცვლაზე შესულმა **გარეთ მაკლირიმ** შორეულ ძელთან **ჯიმი კებეს** თავზე ჩაუწოდა. უკანასკნელს ახლო მანძილიდან გატანა აღარ გასჭირვებია. იმავე კებეს წაქცევისთვის დაინიშნა პენალტიც, რომელიც **ადამ ლე ფონდრემ** გამოიყენა. **პაველ პოგრებნიაკმა** კი სტანდარტულის გათამაშების შემდეგ გამოიჩინა თავი.

### ონილის გუნდი დაიქოქა

"სანდერლენდი" ნელ-ნელა მოდის გონზე. "შავმა კატებმა" "ჩაქუჩებს" "სტედიუმ ოფ ლაითზე" შავი დღე აყარეს. ანგარიში მე-12 წუთზე გაიხსნა **სებასტიან ლარსონის** ულამაზესი გოლით. მასპინძლებს იქამდეც შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, თანაც ორჯერ. მეორე გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში გავიდა. **იუსი იასკელაინენმა ჯეიმს მაკლინს** ურთულესი დარტყმა აუღო. მცველებმა გამოტანის ნაცვლად ბურთი მეტოქეს გადააბარეს, რითაც **ადამ ჯონსონმა** ისარგებლა. ბოლოს კი **სტეფან სესინიონმა** გაიბრწყინა, როცა "ვესტ ჰემის" მთელი უკანა ხაზი საკუთარი შოუს მაყურებლად აქცია. საბოლოოდ ბენინელმა მაკლინს გაუმართა ხელი. ირლანდიელმა მახვილი კუთხიდან საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

### განიავებული შანსები

**ჰარი რედნაპის** ყოფილ კლუბთან დაპირისპირება ძალიან გაუჭირდა "ქუინზ პარკს". "დეზები" მთელი თამაშის განმავლობაში სერიოზულ უპირატესობას ფლობდნენ. რომ არა **ჟულიო სეზარის** ფანტასტიკური თამაში, "რეინჯერები" უბრალოდ წააგებდნენ კი არა, ალბათ განადგურდებოდნენ კიდეც. ბრაზილიელმა ვეტერანმა **ჯერმეინ დეფოსა და ემანუელ ადებაიორს** აუღო საოცარი მომენტები. თავის მხრივ მასპინძლები **შონ რაიტ-ფილიპსის** ერთი-ორი გამოხტომით შემოიფარგლნენ. თამაშის დასრულების შემდეგ ჩრდილოლონდონელთა ფანებისთვის სამწუხარო ინფორმაცია გავრცელდა: დი ხნის ფიქრის შემდეგ ადებაიორმა აფრიკის თასზე წასვლა საბოლოოდ მაინც გადაწყვიტა. ტოგოელმა უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში წასვლა-არწასვლა რამდენჯერმე გადათქვა.

### კიდევ ერთი შეცდომა

"ვილა პარკზე" გაჭირვებულ "ასტონ ვილას" არბიტრმა **მარკ ჰალსიმ** "ქვა აღმართში დააწია", როცა 35-ე წუთზე **ბრედ გუზანის** კარში არარსებული პენალტი დანიშნა. **ენდა სტივენსსა** და **ჯეი როდრიგესს** შორის კონტაქტი აშკარად არ ყოფილა. ამის მიუხედავად უკანასკნელი დამაჯერებლად განერთხა მიწას. **რიკი ლამბერტმა** საჩუქარი მშვიდად გამოიყენა. ბირმინგემელებს გათანაბრება მეორე ტაიმის დასაწყისში შეეძლოთ, მაგრამ სტივენსს **არტურ ბორუცმა** აუღო, **კრისტიან ბენტეკემ** კი დამატებაზე კარს 3-4 მეტრიდან ააცილა.

### ასეთი წაგება სირცხვილი არ არის

გუშინდელი სათამაშო დღე პრემიერლიგის ყველაზე დიდი დაპირისპირებით გაიხსნა. „ოლდ ტრეფორდს" "ლივერპული" ეწვია. დებიუტი დიდად საინტერესო ნამდვილად არ ყოფილა. პირველივე სახიფათო სიტუაცია გოლით დასრულდა. მე-20 წუთზე **ტომ კლევერლიმ** ბურთი **პატრის ევრას** დაუგორა. ფრანგმა კი ცენტრში **რობინ ვან პერსი** მოძებნა, ვინც **დანიელ აგერს** დაასწრო და 4 მეტრიდან კარში გადაგზავნა. **პეპე რეინა** უძლური იყო. 5-6 წუთში ჰოლანდიელს კიდევ ერთი შანსი მიეცა, თუმცა **დენი უელბეკის** პასის შემდეგ ბურთი ხარიხას გადააცილა. "წითელ ეშმაკებს" ტაიმის ბოლოს ორჯერ შეეძლოთ გატანა. მიზანი ჯერ კლევერლის გაუცუდდა, შემდეგ კი ერთ შეტევაში ვან პერსისა და **შინჯი კაგავას**.

მეორე ტაიმში "ლივერპული" სულ სხვანაირად ალესილი გამოვიდა მოედანზე. ერთი-ორჯერ სახიფათოდაც გაისროლა, თუმცა გოლი აქეთ მიიღო. სტანდარტულის გათამაშების შემდეგ ბურთთან ევრა და **ნემანია ვიდიჩი** გაჩნდნენ. პირველმა თავური დარტყმა მეორეს მოარტყა და ასე გაატანინა. 3 წუთში "ლივერპულმა" სხვაობა შეამცირა. **სტივ ჯერარდის** ძლიერი დარტყმა **დავიდ დე ხეამ** მოიგერია, მაგრამ ესპანელი **დენიელ სტარიჯის** დამატებულს უკვე ველარ გაუმკლავდა. თამაშის ბოლო წუთები სტუმართა სერიოზული უპირატესობით წარიმართა. სტარიჯს შეეძლო მერსისაიდელი ფანების გული საბოლოოდ მოეგო, მაგრამ თავდამსხმელს ეს არ გამოუვიდა.

საკუთარი გუნდის თამაშის ხარისხით ძალიან უკმაყოფილო უნდა დარჩენილიყო **არსენ ვენგერი**. ამას გარკვეული გამართლება აქვს, რადგან „მეთოფეები" კაცნაკლულნი მე-10 წუთზევე დარჩნენ, მაგრამ მათ ვერც მაშინ დააკლეს „სიტის" დაცვას რამე, როცა „სიტიც" 10 კაცით დარჩა. მოქმედმა ჩემპიონებმა „მეთოფეებს" 37-წლიანი პაუზის შემდეგ გასვლაზე პირველად მოუგეს.



ჯეიმს მილნერმა არსენალთან ანგარიში გახსნა

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

### მომდევნო ტური

**19 იანვარი:** ლივერპული-ნორვიჩი, მანჩესტერ სიტი-ფულჰემი, ნიუკასლი-რედინგი, სუონსი-სტოკ სიტი, ვესტ ჰემი-ქუინზ პარკი, უიგანი-სანდერლენდი, ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა

**20 იანვარი:** ჩელსი-არსენალი, ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი

**21 იანვარი:** საუთჰემპტონი-ევერტონი

#### ქუინზ პარკი-ტოტენჰემი 0:0

**ქუინზ პარკი** (4-3-3): ჟ. სეზარი – ფაბიო, ჰილი, ნელსენი, ონუოჰა – მბია, პარკი, დერი – რაიტ-ფილიპსი, ტაარაბტი, მაკი

**ტოტენჰემი** (4-4-2): ლორისი – უოლკერი, დოუსონი, ვერტონგენი, ნაუტონი – სანდრო (25. პარკერი), დემბელე, ბეილი, ლენონი (79. სიგურდსონი) – ადებაიორი (69. დემპსი), დეფო

**გაფრთხილება:** მბია - დემბელე

**კარში დარტყმა:** 3-15 (2-8) **კუთხური:** 2-6 **თამაშგარე:** 2-0 **ჯარიმა:** 11-10 **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 18 018

#### ასტონ ვილა-საუთჰემპ. 0:1

**გოლი:** 0:1 ლამბერტი (35-პენ)

**ასტონ ვილა** (4-4-2): გუზანი – სტივენსი, ბეიკერი, კლარკი, ლოუტონი – ნზოგბია (63. აგბონლაჰორი), დელფი, ვესტვუდი (78. ბოუერი), ჰოლმენი (46. ბენანი) – ვაიმანი, ბენტეკე

**საუთჰემპტონი** (4-4-2): ბორუცი - კლაინი, იოშიდა, ჰოიველდი, შოუ (87. დე რიდერი) – კორკი, შნაიდერლინი, როდრიგესი, პანჩეონი (82. ს. დევისი) – ლამბერტი, რამირესი (77. ფოქსი)

**გაფრთხილება:** ვაიმანი - ბორუცი

**კარში დარტყმა:** 10-8 (4-3) **კუთხური:** 9-5 **თამაშგარე:** 0-1 **ჯარიმა:** 12-6 **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 32 500

#### ევერტონი-სუონსი 0:0

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი – ბეინსი, დისტენი, იაგიელკა, კოულმენი – პიენაარი, ოსმანი, ნევილი (69. ნეისმიტი), ფელაინი – ანიჩებე (83. ველიოსი), იელავიჩი

**სუონსი** (4-4-2): ვორმი – ტიენდალი, ჩიკო, უილიამსი, ბ. დევისი – კი, რანხელი, აგუსტიენი, დაიერი (58. დე გუზმანი) – მიჩუ (82. გრემი), ერნანდესი (73. რუტლეჯი)

**გაფრთხილება:** ბეინსი – ერნანდესი, მიჩუ, ვორმი, ტიენდალი

**კარში დარტყმა:** 9-4 (4-3) **კუთხური:** 7-1 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 12-8 **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 35 782

#### ფულჰემი-უიგანი 1:1

**გოლები:** 1:0 კარაგუნისი (22), 1:1 დი სანტო (71)

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი – რიჩარდსონი, ჰიუზი, ჰანგელანდი, რიტერი – კაჩანიკლიჩი (87. დეჟაგა), კარაგუნისი, დაფი (82. ბერდი), რუისი – პეტრიჩი (65. როდალიეგა), ბერბატოვი

**უიგანი** (3-5-2): ალ ჰაბსი – ფიგეროა, კოლდუელი, რამისი (90+1. სტამი) – ჯონსი (66. გომესი), ბოისი, მაკარტური, ბოსეჟური, მაკარტი – დი სანტო, მელონი

**გაფრთხილება:** - მაკარტური

**კარში დარტყმა:** 9-12 (2-7) **კუთხური:** 6-8 **თამაშგარე:** 2-0 **ჯარიმა:** 9-17 **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 25 542

#### ნორვიჩი-ნიუკასლი 0:0

**ნორვიჩი** (4-4-1-1): ბენი – გარიდო, ტერნერი, ბასონგი, მარტინი – ტეტი, ბ. ჯონსონი, სნოდგრასი (77. ე. ბენეტი), პილკინგტონი – ჰულაჰანი – ჯექსონი (68. ჰოლტი)

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – დებუში, უილიამსონი, კოლოჩინი, სანტონი – ანიტა (84. ბიგირიმანა), ობერტანი (57. კაბაი), პერჩი, მარვო – პ. სისე, ხონასი

**გაფრთხილება:** - დებუში

**კარში დარტყმა:** 9-5 (3-2) **კუთხური:** 5-4 **თამაშგარე:** 4-0 **ჯარიმა:** 5-9 **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 26 752

#### რედინგი-ვესტ ბრომვიჩი 3:2

**გოლები:** 0:1 ლუკაკუ (19), 0:2 ლუკაკუ (69), 1:2 კებე (82), 2:2 ლე ფონდრე (88-პენ), 3:2 პოგრებნიაკი (90)

**რედინგი** (4-1-4-1): ფედერიჩი – ჰარტი, პირსი, მარიაპა, განტერი – კარიკო (46. მაკლირი) – გატრი, კარაჯანი (65. ლე ფონდრე), მაკანუფი, კებე - პოგრებნიაკი

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): ფოსტერი – ჯონსი, მაკოლი, ოლსონი, რიჯუელი – ბრანტი, დორანსი (79. როსენბერგი), ტორნი, მორისონი – ტომასი, ლუკაკუ

**გაფრთხილება:** პოგრებნიაკი – ბ. ჯონსი

**კარში დარტყმა:** 10-7 (5-4) **კუთხური:** 3-3 **თამაშგარე:** 3-3 **ჯარიმა:** 18-11 **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 23 495

#### სტოკი-ჩელსი 0:4

**გოლები:** 0:1 უოლტერსი (45-ს.კ-ში), 0:2 უოლტერსი (63-ს.კ-ში), 0:3 ლამპარდი (66-პენ), 0:4 აზარი (73)

*90-ე წთ-ზე პენალტი ვერ გაიტანა უოლტერსმა*

**სტოკი** (4-2-3-1): ბეგოვიჩი – უილკინსონი, ჰუთი, შოუკროსი, კემერონი – უელანი, ნზონზი – ეთერინგტონი (86. კაიტლი), ადამი (79. უაიტჰედი) – კ ჯონსი (79. ჯერომი)

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – ასპილიკუეტა (83. ფერეირა), ლუისი, ივანოვიჩი, კოული – რამირესი, ლამპარდი – აზარი, მატა (79. ტერი), ბერტრანი – ბა (71. ტორესი)

**გაფრთხილება:** უილკინსონი -

**კარში დარტყმა:** 10-9 (5-7) **კუთხური:** 6-7 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 14-8 **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 27 348

#### სანდერლენდი-ვესტ ჰემი 3:0

**გოლები:** 1:0 ლარსონი (12), 2:0 ა. ჯონსონი (47), 3:0 მაკლინი (74)

**სანდერლენდი** (4-4-2): მინიოლე – კოლბეკი, ბრამბლი, ოში, გარდნერი – ლარსონი, ვონი, მაკლინი, ა. ჯონსონი (84. ნდიაიე) – სესინიონი (88. მაკფადენი), ფლეტჩერი (79. უიკჰემი)

**ვესტ ჰემი** (4-4-2): იასკელაინენი – დემელი, კოლინსი (34. ტომკინსი), რიდი, პოტსი – დიარა, ჯ. კოული, ნოლანი, კოლისონი (46. ვას ტე) – ჯარვისი, კ. კოული (56. შამახი)

**გაფრთხილება:** - დიარა, ტომკინსი, რიდი

**კარში დარტყმა:** 12-8 (7-3) **კუთხური:** 4-5 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 11-14 **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 39 918

#### იუნაიტედი-ლივერპული 2:1

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (19), 2:0 ვიდიჩი (54), 2:1 სტარიჯი (57)

**იუნაიტედი** (4-2-3-1): დე ხეა – ევრა, ვიდიჩი (79. სმოლინგი), რ. ფერდინანდი, რაფაელი – კლევერლი, კერიკი – უელბეკი, კაგავა (77. ჯონსი), იანგი (46. ვალენსია) – ვან პერსი

**ლივერპული** (4-1-4-1): რეინა – უისდომი, შკრტელი, აგერი, გ. ჯონსონი – ლუკასი (46. სტარიჯი) – ჯერარდი, ალენი (80. ჰენდერსონი), სტერლინგი (62. ბორინი), დაუნინგი - სუარესი

**გაფრთხილება:** ევრა – ლუკასი, შკრტელი, ჯონსონი, აგერი

**კარში დარტყმა:** 10-10 (5-3) **კუთხური:** 3-1 **თამაშგარე:** 0-1 **ჯარიმა:** 14-16 **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 75 501

#### არსენალი-სიტი 0:2

**გოლები:** 0:1 მილნერი (21), 0:2 ჯეკო (32)

**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი - გიბსი, ვერმალენი, კოშელნი, საწია – უილშერი, დიაბი (6. რემსი) – პოდოლსკი (57. ჟირუ), კასორლა, ოქსლეიდ-ჩემბერლენი (12. მერტეზაკერი) - უოლკოტი

**სიტი** (4-2-3-1): ჰარტი - საბალეტა, კომპანი, ნასტასიჩი, კლიში - ხ. გარსია, ბერი - მილნერი, დ. სილვა (90+2. კოლაროვი), ტევესი (77. ლესკოტი) - ჯეკო (88. ბალოტელი)

**გაფრთხილება:** ვერმალენი, უილშირი - მილნერი, კლიში, ხ. გარსია, ბერი

**გაძევება:** კოშელნი (10) - კომპანი (75)

**კარში დარტყმა:** 6-11 (2-5) **კუთხური:** 2-7 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 11-18 **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 60 107

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი. | 22 | 18 | 1 | 3 | 56-29 | 55 |
| 2. სიტი | 22 | 14 | 6 | 2 | 43-19 | 48 |
| 3. ჩელსი | 21 | 12 | 5 | 4 | 43-19 | 41 |
| 4. ტოტენჰემი | 22 | 12 | 4 | 6 | 39-27 | 40 |
| 5. ევერტონი | 22 | 9 | 10 | 3 | 35-26 | 37 |
| 6. არსენალი | 21 | 9 | 7 | 5 | 40-24 | 34 |
| 7. ვესტ ბრომვიჩი | 22 | 10 | 3 | 9 | 31-30 | 33 |
| 8. ლივერპული | 22 | 8 | 7 | 7 | 35-28 | 31 |
| 9. სუონსი | 22 | 7 | 9 | 6 | 31-26 | 30 |
| 10. სტოკ სიტი | 22 | 6 | 11 | 5 | 21-24 | 29 |
| 11. ვესტ ჰემი | 21 | 7 | 5 | 9 | 24-27 | 26 |
| 12. ნორვიჩი | 22 | 6 | 8 | 8 | 24-34 | 26 |
| 13. ფულჰემი | 22 | 6 | 7 | 9 | 33-38 | 25 |
| 14. სანდერლენდი | 22 | 6 | 7 | 9 | 24-29 | 25 |
| 15. საუთჰემპტონი | 21 | 5 | 6 | 10 | 28-38 | 21 |
| 16. ნიუკასლი | 22 | 5 | 6 | 11 | 27-39 | 21 |
| 17. უიგანი | 22 | 5 | 4 | 13 | 23-40 | 19 |
| 18. ასტონ ვილა | 22 | 4 | 7 | 11 | 17-42 | 19 |
| 19. რედინგი | 22 | 3 | 7 | 12 | 26-42 | 16 |
| 20. ქუინზ პარკი | 22 | 2 | 8 | 12 | 17-36 | 14 |

ბომბარდირები: 17 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 15 - **ლუის სუარესი** (ლივერპული), 13 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **დემბა ბა** (ჩელსი)

### ჩემპიონშიპი. XXVII ტური

**ბარნსლი-ლიდსი 2:0**

გოლები: 1:0 დანალი (63-პენ), 2:0 დანალი (66)

**ბოლტონი-მილუოლი 1:1**

გოლები: 0:1 კიო (9-პენ), 1:1 ენდრიუსი (35-პენ)

**ბრაიტონი-დერბი 2:1**

გოლები: 1:0 ბარნსი (2), 2:0 ორლანდი (25), 2:1 ჰენდრიკი (70)

**ბრისტოლი-ლესტერი 0:4**

გოლები: 0:1 ვუდი (11), 0:2 ვუდი (18), 0:3 ვუდი (41), 0:4 ჯეიმსი (49)

**ბარნლი-კრისტალ პალასი 1:0**

გოლი: 1:0 სტანისლასი (81)

**კარდიფი-იპსვიჩი 0:0**

**ჩარლტონი-ბლექპული 2:1**

გოლები: 1:0 ჯექსონი (23), 2:0 ვაგსტაფი (45), 2:1 ეკლსტონი (90)

**ჰადერსფილდი-ბირმინგემი 1:1**

გოლები: 0:1 რაილი (45), 1:1 ჰემილი (90)

**მიდლსბრო-უოტფორდი 1:2**

გოლები: 0:1 ვიდრა (45), 0:2 ვიდრა (83), 1:2 მაკდონალდი (90)

**ნოტინგემი-პიტერბორო 2:1**

გოლები: 1:0 ჰალფორდი (28), 1:1 ვუტონი (60), 2:1 ვორდი (83)

**ჰალი-შეფილდ უენ. 1:3**

გოლები: 0:1 ჯონსონი (24), 1:1 კორენი (83), 1:2 იაკუპოვიჩი (86-ს.კ-ში), 1:3 ანტონიო (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარდიფი | 27 | 18 | 3 | 6 | 48-29 | 57 |
| 2. ჰალი | 27 | 15 | 4 | 8 | 38-30 | 49 |
| 3. ლესტერი | 27 | 14 | 5 | 8 | 48-23 | 47 |
| 4. კრ. პალასი | 27 | 13 | 8 | 6 | 50-35 | 47 |
| 5. მიდლსბრო | 27 | 15 | 2 | 10 | 47-38 | 47 |
| 6. უოტფორდი | 26 | 13 | 4 | 9 | 49-37 | 43 |
| 7. მილუოლი | 27 | 11 | 8 | 8 | 40-36 | 41 |
| 8. ბრაიტონი | 26 | 10 | 10 | 6 | 37-27 | 40 |
| 9. ნოტინგემი | 27 | 10 | 10 | 7 | 38-36 | 40 |
| 10. ბარნლი | 27 | 11 | 6 | 10 | 41-40 | 39 |
| 11. ლიდსი | 27 | 11 | 5 | 11 | 38-44 | 38 |
| 12. დერბი | 27 | 10 | 7 | 10 | 41-40 | 37 |
| 13. ბლექბერნი | 26 | 9 | 9 | 8 | 36-34 | 36 |
| 14. ჩარლტონი | 27 | 9 | 9 | 9 | 36-37 | 36 |
| 15. ბლექპული | 27 | 8 | 10 | 9 | 44-40 | 34 |
| 16. ბოლტონი | 27 | 8 | 9 | 10 | 40-41 | 33 |
| 17. ჰადერსფილდი | 27 | 8 | 9 | 10 | 32-44 | 33 |
| 18. ვულვზი | 27 | 9 | 5 | 13 | 33-39 | 32 |
| 19. იპსვიჩი | 27 | 8 | 7 | 12 | 27-48 | 31 |
| 20. ბირმინგემი | 27 | 7 | 9 | 11 | 34-43 | 30 |
| 21. შეფილდ უენ. | 27 | 8 | 4 | 15 | 31-43 | 28 |
| 22. პიტერბორო | 27 | 8 | 1 | 18 | 38-51 | 25 |
| 23. ბარნსლი | 27 | 6 | 6 | 15 | 28-43 | 24 |
| 24. ბრისტ. სიტი | 26 | 6 | 4 | 16 | 38-54 | 22 |

ბომბარდირები: 22 – გლენ მარი (კრისტალ პალასი), 20 - ჩარლი ოსტინი (ბარნლი), 16 - ჯორდან როუდსი (ბლექბერნი), კრის ვუდი (ლესტერი)

### ლიგა ერთი. XXVII ტური

**ბორნმუთი-სუინდონი 1:1, კოლჩესტერი-სკანტორპი 1:2, ლეიტონი-ქრიუ 1:1, მილტონი-ბერი 1:1, ოლდჰემი-ბრენტფორდი 0:2, შეფილდ იუნიოვილი 0:2, შრიუსბერი-ჰარტლპული 1:1, სტივენეიჯი-დონკასტერი 1:2, ტრანმერი-ქროული 2:0, პრესტონი-უოლსოლი 1:3, კარლაისლი-ქოვენთრი 1:0, პორტსმუთი-ნოთს ქაუნთი გადაიდო**

### ლიგა ორი. XXVII ტური

**უიმბლდონი-უიკომბი 2:2, ალდერშოტი-აკრინგტონი 2:0, ბრედფორდი-ოქსფორდი 1:2, ბარტონი-ტორკი 2:1, ჩელტენჰემი-იორკი 1:1, ჩესტერფილდი-ნორთჰემპტონი 3:0, დაგენჰემი-როჩდეილი 2:1, ექსეტერი-საუთენდი 3:0, ფლიტვუდი-ბრისტოლი 0:3, ჯილინგემი-პორტ ვეილი 1:2, პლიმუთი-მორკემბი 2:1, როტერჰემი-ბარნეტი 0:2**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

**საფრანგეთი. ლიგა 1. XX ტური**



ცვიტანიჩი და ნიცა ბრწყინვალე ფორმაში არიან

# შეწყვეტილი სერიები და მორიგი მოულოდნელობა პარიზში

**სტ. ეტიენი–ტულუზი 2:2**

**გოლები:** 1:0 პერენი (26), 1:1 დიდო (28), 1:2 ორიე (43), 2:2 მოლო (62).

**ტრუა–ლიონი 1:2**

**გოლები:** 0:1 გონალონი (11), 1:1 ნივე (38), 1:2 უმტიტი (75).

**ნანსი–ლილი 2:2**

**გოლები:** 0:1 რუ (1), 1:1 გრანჟი (21), 1:2 პაიე (32), 2:2 აიასი (82).

**ევიანი–ბრესტი 0:2**

**გოლები:** 0:1 ბენ ბასატი (15-პენ), 0:2 გრუჟი (90).

**მონპელიე–ლორიანი 2:0**

**გოლები:** 1:0 შარბონიე (79), 2:0 შარბონიე (90).

**რენი–ბორდო 0:2**

**გოლები:** 0:1 გუფრანი (57), 0:2 საივე (66).

**რეიმსი–ბასტია 1:2**

**გოლები:** 0:1 ილანი (21), 0:2 ტოვენი (48), 1:2 კურტე (63).

**ნიცა–ვალანსიენი 5:0**

**გოლები:** 1:0 ცვიტანიჩი (45), 2:0 სიველი (59), 3:0 ეისერიკი (64), 4:0 ცვიტანიჩი (79), 5:0 დიგარი (87).

**სოშო–მარსელი 3:1**

**გოლები:** 1:0 პრივატი (18), 2:0 ბაკამბუ (40), 3:0 მორელი (46 ს.კარ.), 3:1 აიუ (55).

**გაძევება:** ლოპი (61, სოშო).

**პსჟ-აიაჩო 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 20 | 12 | 5 | 3 | 35-18 | 41 |
| 2. პსჟ | 20 | 11 | 6 | 3 | 36-12 | 39 |
| 3. მარსელი | 20 | 12 | 2 | 6 | 25-23 | 38 |
| 4. ბორდო | 20 | 7 | 11 | 2 | 23-14 | 32 |
| 5. ნიცა | 20 | 8 | 8 | 4 | 31-26 | 32 |
| 6. რენი | 20 | 10 | 2 | 8 | 29-26 | 32 |
| 7. ლორიანი | 20 | 8 | 7 | 5 | 32-31 | 31 |
| 8. ლილი | 20 | 7 | 9 | 4 | 26-20 | 30 |
| 9. მონპელიე | 20 | 8 | 5 | 7 | 31-24 | 29 |
| 10. ვალანსიენი | 20 | 8 | 5 | 7 | 31-29 | 29 |
| 11. სტ. ეტიენი | 20 | 7 | 7 | 6 | 26-16 | 28 |
| 12. ტულუზი | 20 | 7 | 6 | 7 | 27-22 | 27 |
| 13. ბასტია | 20 | 7 | 4 | 9 | 28-42 | 25 |
| 14. ბრესტი | 20 | 7 | 3 | 10 | 22-28 | 24 |
| 15. აიაჩო | 20 | 5 | 7 | 8 | 21-29 | 20 |
| 16. რეიმსი | 20 | 4 | 7 | 9 | 17-22 | 19 |
| 17. სოშო | 20 | 5 | 4 | 11 | 20-30 | 19 |
| 18. ევიანი | 20 | 5 | 4 | 11 | 22-34 | 19 |
| 19. ტრუა | 20 | 2 | 7 | 11 | 21-39 | 13 |
| 20. ნანსი | 20 | 1 | 9 | 10 | 17-35 | 12 |

შენიშვნა: "აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 18 – იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 12 – ცვიტანიჩი (ნიცა); 11 – გომისი (ლიონი); 9 – ბენ იედერი (ტულუზი)

საფრანგეთის ჩემპიონატი პარასკევს განახლდა და უმალ ტურის მთავარი სენსაცია დაფიქსირდა. ლიგა 1-ის ერთ-ერთმა ლიდერმა და მთავარმა ფავორიტმა პსჟ-მ, საკუთარ მოედანზე "აიაჩოს" ვერაფერი დააკლო და უმნიშვნელოვანესი ორი ქულა დაკარგა. მასპინძელთა ცუდ გამოსვლაზე, რა თქმა უნდა, **ტიაგო მოტას** გაძევებამაც იმოქმედა, მაგრამ ეს თავის გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება, რადგან ბრაზილიელი არბიტრმა 45-ე წუთზე გააძევა, პარიზელებს კი, ტაიმის ბოლო წუთამდე, აუტსაიდერის კარში ერთი გოლი მაინც უნდა გაეტანათ.

ამ შეხვედრაში **ლუკას მოურას** დებიუტი შედგა, მაგრამ ბრაზილიელი ფეხბურთელი კარგი მეკვლე ვერ გამოდგა. მასპინძლები, საბოლოო ჯამში, ძალიან დიდ უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ კარში ზუსტად დარტყმას ვერაფრით ახერხებდნენ. თავად განსაჯეთ: სულ პარიზელებმა მეტოქის კარისკენ 25-ჯერ დაარტყეს, აქედან ზუსტი მხოლოდ 4 გამოდგა.

*"ერთადერთი რაც დღეს დაგვაკლდა იყო გოლი. ზოგადად ცუდად კი ვითამაშეთ, მაგრამ მეორე ტაიმში ძალიან დიდ უპირატესობას ვფლობდით და ეს მიუხედავად იმისა, რომ მთელი 45 წუთი კაცნაკლულებმა ვითამაშეთ. მოტას გაძევების მომენტი არ დამინახავს, ამიტომ ახლა ვერაფერს გეტყვით. რაც შეეხება ლუკას მოურას, მან საკმაოდ კარგად ითამაშა და დაგვანახვა, რომ ძალიან ნიჭიერი, სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელია. ნულოვანი ფრის გამო ძალიან დამწუხრებული ვართ, მაგრამ რაზ ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი,"* – განაცხადა მატჩის შემდეგ **კარლო ანჩელოტიმ**.

მე-20 ტურის პირველი მატჩი "ჟოფრუა გიშარზე" გაიმართა. "სენტ ეტიენმა" და "ტულუზმა" მაყურებელს უხვგოლიანი სანახაობა შესთავაზეს. საინტერესოა, რომ გოლის ავტორი ოთხი ფეხბურთელიდან, სამისთვის ეს ბურთი ამ სეზონში პირველი იყო. **იოან მოლომაც** თავისი პირველი გოლი გაიტანა, ოღონდ "სენტ ეტიენში", რომლის რიგებშიც ეს მისი დებიუტი იყო, ზოგადად კი "ნანსიდან" განათხოვრებული ფეხბურთელის ანგარიშზე 4 გოლია. იოლი მისახვედრია, რომ სამი ბურთი მან "ნანსის" შემადგენლობაში გაიტანა. აუცილებლად უნდა გამოვყოთ **ლოიკ პერენი**, რომელმაც ლიგა 1-ში თავის გამოჩენა ორწლიანი პაუზის შემდეგ შეძლო და ამ ბურთით, "სენტ ეტიენის" 493 წუთიანი მშრალი სერია დაასრულა – "მწვანეებს" ბოლო გოლი 23 ნოემბერს, "ვალანსიენთან" მატჩში ჰქონდათ გატანილი.

ძალიან გაუჭირდა "ლიონს", რომელმაც აუტსაიდერ "ტრუას" **მაქსიმ გონალონის** და **სამუელ უმტიტის** გოლების წყალობით მოუგო. ამ უკანასკნელმა, "ლიონის" შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა. მასპინძელთა მხრიდან კი თავი **ბენჟამენ ნივემ** გამოიჩინა. ტურის წინაც აღვნიშნეთ, რომ ეს ფეხბურთელი გოლებს ექსკლუზიურად მხოლოდ "ოლიმპიკებს" უტანს და ვივარაუდეთ, რომ "ლიონს" საფრთხე, პირველ რიგში, სწორედ მისგან უნდა დამუქრებოდა. ჩვენი ვარაუდი გამართლა და ნივემ ანგარიში გაათანაბრა, თუმცა პარტნიორებმა მას მხარი ვერ აუბეს და "ტრუამ" მორიგი მარცხი განიცადა.

შაბათის მატჩებიდან ასევე უნდა გამოვყოთ "ბორდოს" და "მონპელიეს" კარგი თამაში. ჟირონდელებმა, ზედიზედ ხუთი ფრის და 6-მატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ, როგორც იქნა, გამარჯვება მოიპოვეს. "მონპელიემ" კი ბოლო ხუთ შეხვედრაში მეოთხედ მოიგო და "ლორიანის" 5-მატჩიანი წაუგებელი სერია დაასრულა. ჩემპიონის მხრიდან თავი **გაეტან შარბონიემ** გამოიჩინა, რომელიც ცვლილებაზე გამოვიდა და ორი გოლი გაიტანა.

კვირას, მორიგი საოცარი მატჩი ჩაატარა "ნიცამ", რომელიც მართლაც შესანიშნავ ფორმაშია – ზღვისპირელებმა ბოლო 10 მატჩიდან 7 მოიგეს, 2 ფრედ დაასრულეს და მხოლოდ ერთხელ, ისიც "ლიონთან" წააგეს. **კლოდ პუელის** შეგირდებმა "ვალანსიენი" გაანადგურეს და მეხუთე ადგილზე გადაინაცვლეს. მასპინძელთა მხრიდან განსაკუთრებით არგენტინელები გამოირჩნენ – **დარიო ცვიტანიჩმა** 2 გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასი გააკეთა, მცველმა **რენატო სიველიმ** კი გოლს, ასევე საგოლე პასი დაუმატა. სხვათა შორის, ცვიტანიჩის ანგარიშზე უკვე 12 გოლია, აქედან 9 ფორვარდმა ბოლო 9 შეხვედრაში გაიტანა.

**20-წლამდელთა კოპა ამერიკა. I ჯგუფური ეტაპი. II ტური.**

# არგენტინამ ისევ წააგო

## წააგო ბრაზილიამაც

**A ჯგუფი**

**არგენტინა–პარაგვაი 1:2**

**გოლები:** 1:0 ვიეტო (38), 1:1 დერლის გონსალესი (61), 1:2 კ. დომინგესი (68).

**ჩილე–ბოლივია 2:0**

**გოლები:** 1:0 ნ. კასტილიო (52), 2:0 კ. კუევასი (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩილე | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 2. კოლუმბია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. პარაგვაი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. არგენტინა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 5. ბოლივია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

**B ჯგუფი**

**ბრაზილია–ურუგვაი 2:3**

**გოლები:** 0:1 ლაქსალტი (6), 0:2 როლანი (48-პენ), 1:2 ე. ველასკესი (71-საკ. კარში), 2:2 მარკოს ჟუნიორი (72), 2:3 ნ. ლოპესი (90).

**ეკვადორი–ვენესუელა 0:1**

**გოლი:** 0:1 ხ. მარტინესი (28).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ურუგვაი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-5 | 4 |
| 2. ვენესუელა | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. პერუ | 1 | 0 | 1 | 0 | 3-3 | 1 |
| 4. ბრაზილია | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 5. ეკვადორი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |

**ბომბარდირები:** 2 - ნ. კასტილიო (ჩილე), ნ. ლოპესი (ურუგვაი), როლანი (ურუგვაი).



არგენტინლები მოედანს უხასიათოდ ტოვებდნენ...

**20-წლამდელთა კოპა ამერიკა ისევე გაგრძელდა, როგორც დაიწყო – სენსაციებით. ტურნირის მასპინძელმა არგენტინის ნაკრებმა, ზედიზედ მეორე მარცხი განიცადა. წააგო ბრაზილიამაც, რომელსაც ორი ტურის შემდეგ მხოლოდ 1 ქულა აქვს, თუმცა "სელესაოს" თავის მართლება იმით მაინც შეუძლია, რომ მათი მეტოქე ურუგვაის ნაკრები იყო.**

არგენტინა პარაგვაისთან შეხვედრაში **ლუსიანო ვიეტოს** გოლის წყალობით იგებდა, მაგრამ "ალბისელესტემ" უპირატესობა ვერც განავრცო და ვერც შეინარჩუნა, მეორე ტაიმში ორი გოლი გაუშვა და მოედანი დამარცხებულმა დატოვა. ტურნირის დაწყების წინ, ერთ-ერთი ფავორიტად მიჩნეული გუნდი, ორი ტურის შემდეგ, ნული ქულით მეოთხე ადგილს იკავებს და თუ გონს არ მოეგო, ჩემპიონის ტიტულის კი არა, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც უნდა დაივიწყოს.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფების სამი გამარჯვებული მომდევნო ეტაპზე გადის, სადაც ერთი 6-გუნდიანი ჯგუფი შეიქმნება, რომელიც გაარკვევს კიდეც ჩემპიონის ვინაობას და გარდა ამისა, პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდები, ზაფხულში, თურქეთში გასამართი მუნდიალის საგზურს მიიღებენ.

არანაკლებ რთულ მდგომარეობაშია ბრაზილიის ნაკრები, რომელმაც პირველ ტურში ეკვადორს ვერ მოუგო, ამჯერად კი ურუგვაისთან დამარცხდა. თავიდან "სელესტა" დაწინაურდა, მაგრამ ბრაზილიელებმა 2-წუთიან მონაკვეთში მეტოქეს ორი გოლი გაუტანეს და ანგარიში გაათანაბრეს. ასეთი გმირობის შემდეგ, "სელესაოს" დამარცხება თითქოს წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ასე არ ფიქრობდა **ნიკოლას ლოპესი** – "რომას" უნიჭიერესმა ფორვარდმა, შეხვედრის ბოლო წუთზე, პირველი გოლის ავტორის, **დიეგო ლაქსალტის** გადაცემით ისარგებლა და ჯგუფში საკუთარი ნაკრები გაალიდერა.

საკმაოდ კარგად გამოიყურება ჩილეს ნაკრები, რომელმაც ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო. **მარიო სალასის** ბიჭებმა, პირველ ტურში არგენტინა დაამარცხეს, მეორე ტურში კი ბოლივიას სძლიეს. ისევ გაიტანა **ნიკოლას კასტილიომ**, რომელიც ბომბარდირთა დავაში ორ ურუგვაელთან, ნიკოლას ლოპესთან და **დიეგო როლანთან** ერთად ლიდერობს.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



...ბრაზილიელებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორტმუნდის ბორუსია



ნური შაჰინი „ბორუსიაში“ ადრე 8 ნომერი იყო, ახლა კი 18-ით ითამაშებს

# რას უპირებს კლოპი შაჰინს?

## ამ ფორმისთვის ნურიმ 2 მილიონი ევრო მოიკლო

**პარასკევს დორტმუნდის „ბორუსიამ“ ამ სატრანსფერო პერიოდში ბუნდესლიგის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი სრულყო და გაახმაურა: თურქი ნახევარმცველი ნური შაჰინი, რომელიც „ბორუსიაში“ 2008-დან 2011 წლამდე თამაშობდა, მერე კი „რეალში“ გადავიდა, საიდანაც ბოლოს „ლივერპულში“ იყო განათხოვრებული, დორტმუნდში დაბრუნდა! შაბათის ნომერში შაჰინის წარსულის შესახებ დეტალურად ვწერდით, ახლა კი მისი ხელმეორე დორტმუნდული პერსპექტივა მიმოვიხილოთ.**

*„შაჰინის შესაძლებლობებში ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება. მას მერე, რაც გუნდიდან წავიდა, ჩვენთან ბევრი რამ შეიცვალა და ცხადია, რომ „დორტმუნდის“ სტილზე თავიდან მოსარგებად დრო დასჭირდება. საკმარისი დრო გვაქვს იმისათვის, რომ მასზე ვიმუშავოთ. ცუდ ფორმაში არ არის, რადგან ინგლისში შესვენება არ ყოფილა,* - აცხადებს იურგენი და დასძენს, - *მისი გადმობირებით ნახევარდაცვაში ჩვენი შესაძლებლობები იზრდება. თუმცა შაჰინს მხოლოდ საყრდენ ნახევარმცველად განვიხილავ. ბრენდან როჯერსისგან განსხვავებით, მე მას გამთამაშებლად არ ვათამაშებ. სამაგიეროდ, შესაძლებელია, რომ სხვა საყრდენი წავნიო ხოლმე წინ.“* - ეს „დორტმუნდის“ გენერალური მენეჯერის, **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** სიტყვებია.

„რეალში“ ნურის ხელფასი ყოველწლიურად 5 მილიონი ევრო გახლდათ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დორტმუნდში წელიწადში 3 მილიონს მიიღებს. შაჰინი BVB-ში საარენდო ხელშეკრულებით დაბრუნდა - დორტმუნდელებმა „დაკარგული შვილი“ წელიწად-ნახევრით ინათხოვრეს და „ბილდის“ ცნობით, 2014 წელს „ბორუსიას“ მისი სრულფასოვანი შესყიდვა 10 მილიონზე ნაკლებად შეეძლება. შეგახსენებთ, რომ „რეალმა“ 2011 წელს შაჰინი სწორედ 10 მილიონად იყიდა.

ტერესო ისაა, თუ რას უპირებს კლოპი თურქ ნახევარმცველს - „ბორუსიას“ ნახევარდაცვაში ხომ დიდი კონკურენციაა.

კლოპი ამ კონტექსტში **ილქაი გიუნდოგანს** გულისხმობს, რომელიც დორტმუნდელებმა სწორედ ნურის შემცვლელად იყიდეს. „ბორუსიას“ შაჰინის გარდა სამი მაღალი კლასის საყრდენი ნახევარმცველი ჰყავს - **სებასტიან კელი**, ზემოთ ხსენებული გიუნდოგანი და **სვენ ბენდერი**. რაკი კლოპს **ნევენ სუბოტიჩის** შემდეგ, **ფელიპე სანტანაც** გამოაკლდა (მცირე დროით, მაგრამ მაინც), იურგენს შეუძლია, დაცვის ცენტრში ბენდერი გაამწესოს, მის ადგილზე კი შაჰინი ათამაშოს. ერთი სიტყვით, კლოპს შაჰინის ტრანსფერით მეტი შესაძლებლობები უჩნდება.


იურგენ კლოპი შაჰინის შესაძლებლობებში ასი პროცენტით დარწმუნებულია

თავად **ნური შაჰინი**, რომელსაც „დორტმუნდის“ ფორმით ბუნდესლიგაში 135 მატჩი აქვს ჩატარებული, „ბორუსიას“ მშობლიურ კლუბს უწოდებს და „სახლში დაბრუნებით“ ბედნიერია: *„უბედნიერესი ვარ იმის გამო, რომ სახლში დავბრუნდი. სხვათა შორის, მადრიდში მალევე შევნიშნე, რომ სინამდვილეში დორტმუნდში ყოფნა მერჩივნა, მაგრამ მაშინ უკვე გვიანი იყო. დარწმუნებული ვარ, რომ „ბორუსიაში“ ძალიან თბილად მიმიღებენ,“* - განაცხადა 24 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა მის საპრეზენტაციო პრესკონფერენციაზე.

იმისათვის, რომ დაბრუნებულიყო კლუბში, სადაც საფეხბურთო კარიერა დაიწყო, საიდანაც მთელმა მსოფლიომ გაიცნო და სადაც 2011 წელს გერმანიის ჩემპიონი გახდა, შაჰინმა საკმაოდ ბევრ ფულზე თქვა უარი. *„ნური ჩვენს შეთავაზებას დაუფიქრებლად დათანხმდა. შეხვედრისთანავე შევატყვეთ, რომ მას ძალიან უნდოდა „ბორუსიაში“ დაბრუნება,“* - ეს „დორტმუნდის“ გენერალური მენეჯერის, **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** სიტყვებია.

დიდხანს არც „რეალთან“ მოლაპარაკებები გაგრძელებულა. „ლივერპულთან“ გაფორმებული საარენდო კონტრაქტი უპრობლემოდ გაწყდა, რადგან მერსისაიდელთა თავკაც ბრენდან როჯერსს შაჰინი არაფერში სჭირდებოდა, „დორტმუნდსა“ და „რეალს“ შორის კი პირველი მოლაპარაკებები ოთხშაბათს შედგა. აღსანიშნავია, რომ „ბორუსიასთან“ ერთად, შაჰინის „მილანშიც“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ნურიმ „როსონერიში“ გადასვლას „სახლში დაბრუნება“ ამჯობინა. ცხადია, მას ჩემპიონთა ლიგაშიც შეუძლია თამაში...

### უდიდესი კონკურენცია ნახევარდაცვაში

ამრიგად, ცრემლიანი გამომშვიდობებიდან ზუსტად 624 დღეში შაჰინი დორტმუნდში დაბრუნდა და ახლა საინტერესო ისაა, თუ რას უპირებს კლოპი თურქ ნახევარმცველს - „ბორუსიას“ ნახევარდაცვაში ხომ დიდი კონკურენციაა.

### შმელცერის ახალი კონტრაქტი, ლიოვე წავიდა

მიუხედავად კონკურენციის გამძაფრებისა, „ბორუსიას“ ნახევარმცველები შაჰინის ტრანსფერით გახარებულები არიან. *„კონკურენცია ძალიან კარგია და წყალი არ გაუვა იმას, რომ ნური გაგვაძლიერებს. შაჰინის გადმოსვლა ჩვენთვის მეტ კრეატიულობასაც ნიშნავს. დარწმუნებული ვარ, რომ მწვრთნელი საინტერესო რაღაცებს მოიფიქრებს,“* - ამბობს 32 წლის კელი.

აქვე გეტყვით, რომ „დორტმუნდისა“ და გერმანიის ნაკრების 24 წლის მარცხენა მცველმა **მარსელ შმელცერმა** „ბორუსიასთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2017 წლამდე აქვს. შაბათს კი ცნობილი გახდა, რომ სათადარიგო მარცხენა მცველი **კრის ლიოვე** კარიერას „კაიზერსლაუტერნში“ გააგრძელებს. 23 წლის ლიოვეს სათამაშო პრაქტიკა სჭირდებოდა და გერმანიის ჩემპიონის სათადარიგოთა სკამზე ჯდომას, მეორე ბუნდესლიგაში გადასვლა ამჯობინა.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სნეიდერი: გალათასარაი თუ ლივერპული?

## თურქებმა ჰოლანდიელთან მოლაპარაკებები დაიწყეს, ახლა კი თამაშში ლივერპულიც ჩაერთო

**ვესლი სნეიდერმა** მილანის „ინტერიდან“ წასვლა რომ გადაწყვიტა, ამაზე ბევრჯერ ვწერდით. ამას წინათ ისიც გაცნობეთ, რომ მილანური გრანდი „გალათასარაის“ ჰოლანდიელი გამთამაშებლის სატრანსფერო თანხაზე შეუთანხმდა (ეს თვით **მასიმო მორატიმ** დაადასტურა) და ახლა თურქებმა თავად ფეხბურთელი უნდა დაითანხმონ. შაბათს გავრცელებული ცნობების თანახმად, „გალათასარაის“ ხელმძღვანელებმა 28 წლის ჰოლანდიელთან მოლაპარაკებები დაიწყეს - ეს ინფორმაცია მოგვიანებით თურქული გრანდის ოფიციალურმა ვებ-გვერდმაც დაადასტურა. თურქული პრესა წერდა, სნეიდერმა „გალას“ თანხმობა შეუთვალაო, მაგრამ შაბათ საღამოს ვესლის მრჩეველმა **სიორენ ლერბიმ** ეს ცნობა უარყო.

გუშინ ვითარება შეიცვალა, რადგან ინგლისური და იტალიური საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ, რომ სნეიდერისთვის ბრძოლაში „ლივერპულიც“ ჩაერთო. *„ვფიქრობ, რომ საჩქარო არაფერია. ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონო, რადგან ეს გადაწყვეტილება ჩემს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება. სატრანსფერო ფანჯარა ჯერ არ იხურება, ასე რომ, ფიქრისთვის საკმარისი დრო მაქვს,“* - უთხრა სნეიდერმა „სკაი იტალიას“.


ვესლი სნეიდერი ფიქრობს

ამბები

### ფრანკა და ვშოლეკი ჰანოვერში

„ჰანოვერს“ ამ სეზონში დიდი ამბიციები აქვს, რაც ამ კლუბმა ზამთრის სატრანსფერო სეზონზე კიდევ ერთხელ, ორი ტრანსფერით დაამტკიცა. გუშინ ცნობილი გახდა და საბოლოოდ დადასტურდა, რომ „ჰანოვერმა“ ბრაზილიური „კურიტიბადან“ საყრდენი ნახევარმცველი **ვილდი მუნის დოს სანტოსი**, იგივე **ფრანკა** გადაიბირა. 21 წლის ნიჭიერმა ნახევარმცველმა **მირკო სლომკას** გუნდთან კონტრაქტი 2016 წლის 30 ივნისამდე გააფორმა და გუნდს ხვალიდან შეუერთდება. ამრიგად, **იოჰან ჯურუს** (25 წლის, „არსენალიდან“) და **ანდრე ჰოფმანის** (19, „დუისბურგიდან“) შემდეგ, ფრანკა იანვარში „წითლების“ მესამე ახალწვეულია.

აქვე გეტყვით, რომ ფაქტობრივად გადაწყვეტილია 20 წლის პოლონელი მარჯვენა ნახევარმცველის, **პაველ ვშოლეკის** „ჰანოვერში“ გადაბარგებაც, რომელიც გერმანულ კლუბში ვარშავას „პოლონიადან“ გადავა. ვშოლეკი ჰანოვერში ზეგ ჩავა და თუ სამედიცინო შემოწმებას წარმატებით გაივლის, კონტრაქტს 2016 წლამდე გაუფორმებენ.

### კალაიო ნაპოლიში დაბრუნდა

„ნაპოლიმ“ „სიენადან“ **ემანუელე კალაიო** გადაიბირა. 31 წლის თავდამსხმელის მიმართ ინტერესს „პალერმოც“ იჩენდა, მაგრამ ფეხბურთელმა არჩევანი „ნაპოლიზე“ შეაჩერა. აღსანიშნავია, რომ კალაიომ ტოსკანელთა რიგებში იტალიის მიმდინარე ჩემპიონატის 18-ივე შეხვედრაში ისპარეზა და 4 გოლი გაიტანა, რაც საკმაოდ კარგი შედეგია იმის გათვალისწინებით, რომ „სიენა“ იტალიაში აუტსაიდერია. აქვე შეგახსენებთ, რომ კალაიო „ნაპოლიში“ ერთხელ უკვე თამაშობდა - ნეაპოლური გრანდის ღირსებას 2005-დან 2008 წლამდე იცავდა.

### ვერდერმა სტევანოვიჩი ზვოლეს ათხოვა

ბრემენის „ვერდერმა“ **ალექსანდარ სტევანოვიჩი** სეზონის ბოლომდე ჰოლანდიურ „ზვოლეში“ გაანათხოვრა. ეს ინფორმაცია შაბათს „მუსიკოსების“ თავკაცმა თომას შააფმა დაადასტურა. შეგახსენებთ, რომ 20 წლის ნახევარმცველი „ვერდერში“ 2011 წელს „შალკეს“ 19-წლამდელთა გუნდიდან გადავიდა, მაგრამ ბრემენულ კლუბში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და ბუნდესლიგაში მხოლოდ სამ მატჩში ისპარეზა.

### შალკეს მარტინ იოლი გაწვრთნის?

ინგლისური პრესის ცნობით, „შალკეს“ ხელმძღვანელები მომდევნო სეზონისთვის „ფულჰემის“ ჰოლანდიელ თავკაც **მარტინ იოლს** უმიზნებენ. როგორც იცით, **ჰუუბ სტევენსის** გათავისუფლების შემდეგ გელზენკირხენული კლუბი **იენს კელერმა** ჩაიბარა, რომელიც „შალკეში“ სეზონის ბოლომდე იმუშავებს. ზაფხულიდან კი, „ხუმარებს“ ახალი მწვრთნელის დანიშვნა აქვთ გადაწყვეტილი და როგორც ირკვევა, მიზანი სწორედ 56 წლის იოლისკენ მიმართეს, რომელსაც „ფულჰემთან“ კონტრაქტი სწორედ ზაფხულში უმთავრდება. აღსანიშნავია, რომ „ფულჰემის“ შეფებს იოლთან ახალი კონტრაქტის გაფორმება სურთ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

სერია A XX ტური

# ლიდერის კვალდაკვალ

## ნუთუ იუვე კრიზისშია?

**XX ტურის** მთავარი მოვლენა „იუვენტუსის" კიდევ ერთი წაფორხილებაა, რითაც კარგად ისარგებლეს როგორც „ლაციომ", ისე „ნაპოლიმ" - ანუ, უახლოესმა მდევრებმა. შესაბამისად, სკუდეტოსთვის ბრძოლამ უკვე რეალური კონტურები მიიღო და „ვეკია სენიორაც" აღარ გამოიყურება ისეთ ფავორიტად, როგორიც აქამდე ჩანდა. თუმცა, იქამდე „ინტერმა" ჩაატარა თავისი შეხვედრა და როგორც იქნა, მოიგო...

### ნავსი გატყდა...

„ინტერმა" წარუმატებელ მატჩთა სერია შეწყვიტა და საკუთარ კედლებში „პესკარა" დაამარცხა. „დელფინთა" ძლევა საგმირო საქმე ნამდვილად არ არის, მაგრამ არც გარჯა უნდა დავუკარგოთ მილანელ ფეხბურთელებს, მით უმეტეს, **ანდრეა სტრამაჩონის** სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახალგაზრდა სპეციალისტს ძირითადი შემადგენლობის სამი მცველი აკლდა: **ანდრეა რანოკია, ჟუან ჟესუსი** და **ვალტერ სამუელი.**

*გან წინ სათასო პაექრობაა და ფორმაში უნდა იყოს. შეამჩნევდით, ძირითად შემადგენლობაში 18 წლის მარკო ბენასი დავაყენე, რომელმაც იმედები სრულად გამიმართლა. ახალგაზრდულ გუნდში ბევრი ტალანტი გვყავს და მათთვის გზის გახსნა აუცილებელია".*

### კრიზისი?

„სამპდორიასთან" მატჩის მსგავსად, „იუვენტუსი" „პარმასთანაც" დაწინაურდა, თუმცა ანგარიშის შენარჩუნება ვერც ამჯერად მოახერხა და კიდევ ერთხელ დაკარგა ქულები. ეს უკვე დამართა მცველს საკუთარ კარში ჩააჭრევინა ბურთი. მოკლედ, ფლოკარი მატჩის გმირი გახდა, „ბიანკოჩელესტემ" კი უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. რომაელებმა კიდევ უფრო განიმტკიცეს პოზიციები და ლიდერამდე სამიოდე ქულა აშორებთ.

უფრო იოლად მოიგო „ნაპოლიმ", რომელმაც „პალერმოს" არავითარი შანსი არ დაუტოვა. გოლების გატანა საკუთარ თავზე შუახაზელებმა აიღეს და ჯერ **კრისტიან მაჯომ** იხეირა, შემდეგ კი **გეკჰან ინლერმაც** გამოიჩინა თავი. ეს ყველაფერი პირველ ტაიმში მოხდა და ცხადი იყო, რომ ნეაპოლელები მოგებას აღარ გაუშვებდნენ ხელიდან. მეორე ნახევარში, შეცვლაზე შესულმა **ლორენცო ინსინიემ** ერთიც გაიტანა და შეხვედრის საბოლოო შედეგი დააფიქსირა, 3:0. რომ არა დაკლებული ორი ქულა, ლიდერთა ტრიო კიდევ უფრო გამოკვეთილი იქნებოდა.




ლაციო ფლოკარის გოლს ზეიმობს

ლომბარდიელებმა ორი უპასუხო გოლი გაუტანეს სტუმრებს, რომელთაგან ერთი **როდრიგო პალასიოს**, ხოლო მეორე **ფრედი გუარინის** ანგარიშზეა. პალასიომ **ანტონიო კასანოსგან** დიდებული პასი მიიღო, ერთი მეურვე ჩამოიცილა და უზუსტესი დარტყმით ბურთი მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგორა. პალასიომ მეორე გოლშიც ლომის წილი დაიდო, ფლანგზე გაინავარდა და გუარინს საგოლედ უპასა. მოკლედ, როდრიგო მატჩის გმირი გახდა, თუმცა არც კასანოს და იმავე გუარინის დავიწყება ეგების. ასევე, უნდა აღვნიშნოთ ახალგაზრდა **მარკო ბენსასის** ნაყოფიერი გარჯა, რომელიც სწორედ საკადრო პრობლემების გამო მოხვდა ძირითად შემადგენლობაში - 18 წლის ნახევარმცველი დამაჯერებლად გაისარჯა და ალბათ, ამიერიდან უფრო ხშირად მოხვდება არა თუ განაცხადში, თუნდაც ძირითად შემადგენლობაში. ნამატჩევს, ანდრეა სტრამაჩონიმ შემდეგი განაცხადა:

*„მთავარია, რომ ნავსი გავტეხეთ და სამი ქულა მოვიპოვეთ. მახარებს ისიც, რომ სახიფათო მომენტების რეალიზაციის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი გვქონდა, რადგან მიმდინარე სეზონში ეს ჩვენი მთავარი პრობლემაა. რატომ გამოვცვალე ასე ნაადრევად კასანო? - მინდოდა ტომაზო როკის ეთამაშა, რად-*

ფიქრებელია და კითხვას ბადებს: კრიზისი? - ნამატჩევს **ანტონიო კონტემ** გულშემატკივრებს სიმშვიდისკენ მოუწოდა:

*„ჩვენც ადამიანები ვართ და ყველა შეხვედრას მაღალ დონეზე ვერ ჩავატარებთ. გვქონდა უპირატესობა, მაგრამ მომენტები ვერ გამოვიყენეთ და დავისაჯეთ კიდეც. კრიზისი? - არა მგონია, მომდევნო ტურში ყველაფერი დალაგდება".*

ტურინელთაგან **ანდრეა პირლომ** გაიტანა, ემილიელთა რიგებში კი **ნიკოლა სანსონე** გამოირჩა, რომელმაც მეორე ტაიმში **კარვალიო ამაური** შეცვალა. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში, სანსონემ „ინტერსაც" გაუტანა და მთლიანობაში, შესანიშნავად ირჯება.

### მდევრები სრული სვლით

„ლაციო" აღარ ხუმრობს - **ვლადიმირ პეტკოვიჩის** შეგირდებმა „ატალანტა" მეორე ტაიმში გატეხეს და მორიგი ქულები ჩაიწერეს აქტივში. ბერგამოელები მწყობრად იცავდნენ თავს, **მიროსლავ კლოზეს** კი მინიმუმ ორი მცველი ფეხდაფეხ დაყვებოდა. პეტკოვიჩმა **სერჯო ფლოკარი** ჩართო თამაშში და სწორედ მან ითავა მხსნელის როლი - ჯერ თავად გაიტანა, შემდეგ კი სტუ-

### ფიასკო

2013 წელი ყველაზე ცუდად „ფიორენტინასთვის" დაიწყო... ფლორენციელებმა მიჯრით მეორე შეხვედრა წააგეს და მნიშვნელოვნად გაიუარესეს სატურნირო მდგომარეობა. სულ ახლახან, „ვიოლა" ლამის სკუდეტოს მაძიებლად ითვლებოდა, დღეს კი ჩემპიონთა ლიგის ზონამდე მთელი ხუთი ქულა აშორებს. რაღაც მოიშალა გუნდის მექანიზმში და **ვინჩენცო მონტელას** ზომების მიღება მართებს. ფლორენციელებმა გახსნეს ანგარიში, მაგრამ შემდეგ სამი გაუშვეს და ქულებიც ფრიულიში დატოვეს. უდინელთაგან ისევ **ანტონიო დი ნატალე** და **ლუის მურიელი** გამოირჩნენ - ამ ტანდემის შეჩერება სულ უფრო რთული ხდება...

„რომას" მექანიზმში დიდი ხანია რაღაც მოშლილია და ჯერჯერობით ვერც **ზდენეკ ზემანი** ახერხებს მდგომარეობის გამოსწორებას. ეგ კი არა, „ჯალოროსი" ჩეხის ხელში კიდევ უფრო არასტაბილური და შესაბამისად, არაპროგნოზირებადია. რომაელებმა „კატანიასთან" ბევრი მომენტი შექმნეს, მაგრამ ბოძებული შანსები ქარს გაატანეს და მორიგი მარცხი იწვნიეს. ზემანის გუნდი ჩემპიონთა ლიგის ზონას თითქმის უიმედოდ დაშორდა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

**ბოლონია-კიევო 4:0**

**გოლები:**
**ბოლონია (4-2-3-1):** ალიარდი – გარიჩი, პორტანოვა, ანტონსონი, კერუბინი – პერესი, კრხინი – დიამანტი (87. სორენსენი), გაბიადინი, კონე (85. პაციენცა) – ჯილარდინო (79. აკვაფრესკა).
**კიევო (4-3-3):** სორენტინო - სარდო, ცეზარი, ანდრეოლი, იოკიჩი – გუანა (18. პალოსკი), ლ. რიგონი, კოფიე – სტოიანი (52. პელისიერი), თერეუ (65. ლუსიანო), ვაჩეკი.
**გაფრთხილება:** ანტონსონი, კონე – ცეზარი, იოკიჩი, ლ. რიგონი, კოფიე, პალოსკი.
**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 8-7(5-2); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.
**მაყურებელი:** 20 000

**ინტერი-პესკარა 2:0**

**გოლები:** 1:0 პალასიო (31), 2:0 გუარინი (54).
**ინტერი (3-4-1-2):** ჰანდანოვიჩი – სილვესტრი, კამბიასო, კივუ – ჯონათან, ძანეტი, ბენასი, პერეირა – გუარინი (78. მუდინგაი) – კასანო (68. როკი), პალასიო (88. მილიტო).
**პესკარა (4-3-1-2):** პერინი – ბალცანო, ტერლიცი, კაპუანო, მოდესტო – ნიელსენი (63. კაშონე), კოლუჩი, ბარნასონი – ვეისი (82. კაპრარი) – ჯონატასი, სელიკი (77. აბრუსკატო).
**გაფრთხილება:** ბენასი, პალასიო – ბალცანო, სელიკი.
**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 7-8; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 10-8(4-2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.
**მაყურებელი:** 40 000

**ტორინო-სიენა 3:2**

**გოლები:** 1:0 ბრიგი (5), 1:1 რეჯინალდო (32), 2:1 ბიანკი (38), 3:1 ჩერჩი (45), 3:2 პაოლუჩი (76).
**ტორინო (4-4-2):** ჟილე – დამბროზიო, დი ჩეზარე, როდრიგესი, კასერესი – ბირსა (79. სუჩუ), ბრიგი, ბაშა, სანსონე (79. მეჯორინი) – ჩერჩი, ბიანკი.
**სიენა (3-5-2):** პეგოლო – ნეტო, პაჩი, ფელიპე - ბელმონტე (57. სესტუ), ვალიანი (41. პაოლუჩი), დელ გროსო, ვერგასოლა, ბოლცონი (73. დელა როკა) – როზინა, რეჯინალდო.
**გაფრთხილება:** ბიანკი - ნეტო, პაჩი, დელ გროსო, რეჯინალდო.
**კუთხური:** 0-12; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 5-13(3-7); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.
**მაყურებელი:** 15 000

**კალიარი-ჯენოა 2:1**

**გოლები:** 0:1 პიზანო (48), 1:1 საუ (55), 2:1 კონტი (82).
**კალიარი (4-3-1-2):** ავრამოვი – პიზანო, ასტორი, როსეტინი, აველარი – დესენა (57. რიბეირო), კონტი, ეკდალი (82. ნენე) – ნაინგოლანი – იბარბო, საუ (87. კაზარინი).
**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – პიზანო, მანფრედინი, გრანკვისტი, ანტონელი – კუჩკა, მათუზალემი (58. სეიმური), როსი (46. პიშიტელა), ბერტოლაჩი (73. ფლორო ფლორესი) – ანტონელი, ბორიელო.
**გაფრთხილება:** პიზანო, დესენა, კონტი - პიზანო, გრანკვისტი, ანტონელი.
**გაძევება:** სეიმური (82. ჯენოა).
**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 20-17; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 13-8(5-5); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.
**მაყურებელი:** 10 000

**კატანია-რომა 1:0**

**გოლი:** 1:0 გომესი (62).
**კატანია (4-3-3):** ანდუხარი – ბელუში, ლეგროტალიე, სპოლი, მარკეზე – ისკო, სალიფუ (61. პალიალუნგა), ალმირონი (82. კასტრო) – ბარიენტოსი, ბერგესიო, გომესი (78. რიკიუტი).
**რომა (4-3-3):** გოიკოეჩეა – პირისი (57. მარკინიოსი), ბურდისო, კასტანი, ბალცარეტი – ბრედლი, პანაიოტისი, ფლორენცი – ლამელა, დესტრო, მარკინიო (71. დოდო).
**გაფრთხილება:** ბელუში, ლეგროტალიე, მარკეზე, ბერგესიო - კასტანი, ბალცარეტი, დესტრო.
**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 17-18; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 13-11(4-2); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.
**მაყურებელი:** 16 000

**ლაციო-ატალანტა 2:0**

**გოლები:** 1:0 ფლოკარი (67), 2:0 ბრივიო (77-საკ. კარში).
**ლაციო (4-1-4-1):** მარკეტი – კონკო, ბიავა, სიანი, რადუ – ლედესმა - ერნანესი, კანდრევა (46. ფლოკარი), მაური, ლულიჩი (46. ცანა) – კლოზე (86. კავანდა).
**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – რაიმონდი, სტენდარდო, კანინი, ბრივიო - ჯორჯი, კარმონა, ჩიგარინი, ბონავენტურა – მორალესი - დენისი.
**გაფრთხილება:** სიანი, კანდრევა - რაიმონდი, სტენდარდო, ჩიგარინი, დე ლუკა.
**გაძევება:** კარმონა (83. ატალანტა).
**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 8-5(4-1); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.
**მაყურებელი:** 40 000

**ნაპოლი-პალერმო 3:0**

**გოლები:** 1:0 მაჯო (30), 2:0 ინლერი (34), 3:0 ინსინიე (73).
**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანკტისი – გამბერინი, კამპანიარო, ბრიტოსი (78. ფერნანდესი) – მაჯო, ბერამი, ინლერი, ცუნიგა – ჰამშიკი (87. [illegible]) – პანდევი (63. ინსინიე), კავანი.
**პალერმო (4-3-2-1):** უჯკანი – ფონ ბერგენი, გარსია, არონიკა – მორგანელა, ბარეტო, რიოსი (54. დონატი), ანსელიმო, დოსენა - ბრიენცა (65. დიბალა), ბუდანი (46. მიკოლი).
**გაფრთხილება:** ანსელიმო, ბარეტო (პალერმო).
**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 9-6(4-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.
**მაყურებელი:** 45 000

**პარმა-იუვენტუსი 1:1**

**გოლები:** 0:1 პირლო (52), 1:1 სანსონე (77).
**პარმა (3-5-2):** მირანტე – ძაკარდო, სანტაკროჩე, პალეტა - ბიაბიანი, მარკიონი (82. ასკუა), ვალდესი, პაროლო, გობი - ამაური (69. სანსონე), ბელფოდილი.
**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – ბარცალი, ბონუჩი, კასერესი – ლიხტშტაინერი, ვიდალი, პირლო, პოგბა, პადოინი (65. დე ჩელიე) – ჯოვინკო, კვალიარელა (68. ვუჩინიჩი).
**გაფრთხილება:** პალეტა, ასკუა - პადოინი.
**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 8-14; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 6-14(2-9); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.
**მაყურებელი:** 25 000

**უდინეზე-ფიორენტინა 3:1**

**გოლები:** 0:1 ბრკიჩი (20-საკ. კარში), 1:1 დი ნატალე (45-პენ.), 2:1 დი ნატალე (66), 3:1 მურიელი (67).
**უდინეზე (3-5-2):** ბრკიჩი (40. პადელი) – ერუ, დანილო, დომიცი – ბასტა, პერეირა (46. ალანი), პინცი, ლაძარი, პასკუალე – მურიელი (78. სილვა მოისესი), დი ნატალე.
**ფიორენტინა (3-5-2):** ნეტო – გონსალო, ტომოვიჩი (71. ტონი), სავიჩი – კუადრადო (78. რომულო), აკვილანი, მილიაჩო, ბორხა ვალერო, პასკუალი – იოვეტიჩი, ლიაიჩი (78. სეფეროვიჩი).
**გაფრთხილება:** პინცი, ლაძარი - გონსალო, აკვილანი, ბორხა ვალერო.
**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 13-6; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 8-11(5-2); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.
**მაყურებელი:** 18 000

**სამპდორია-მილანი 0:0**

**სამპდორია (3-5-2):** რომერო – დე სილვესტრი, გასტალდელო, კოსტა – პალომბო, კრსტიჩიჩი (88. მუსტაფი), ობიანგი, პოლი (79. ტისონე), ესტიგარიბია (71. სორიანო) – ედერი, იკარდი.
**მილანი (4-3-3):** აბიატი – დე შილიო, მექსე, საპატა, კონსტანტი - მონტოლივო, ამბროზინი (26. ფლამინი), ბოატენგი – ბოიანი (87. ნოჩერინო), ელ შაარავი (68. რობინიო), ნიანგი.
**გაფრთხილება:** გასტადელო – მექსე, ნიანგი.
**კუთხური:** 10-9; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 9-10(5-5); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.
**მაყურებელი:** 28 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 20 | 14 | 3 | 3 | 41-14 | 45 |
| 2. ლაციო | 20 | 13 | 3 | 4 | 29-18 | 42 |
| 3. ნაპოლი | 20 | 13 | 3 | 4 | 40-18 | 40 |
| 4. ინტერი | 20 | 12 | 2 | 6 | 32-22 | 38 |
| 5. ფიორენტინა | 20 | 10 | 5 | 5 | 37-24 | 35 |
| 6. რომა | 20 | 10 | 2 | 8 | 42-34 | 32 |
| 7. მილანი | 20 | 9 | 4 | 7 | 36-27 | 31 |
| 8. უდინეზე | 20 | 7 | 9 | 4 | 32-27 | 30 |
| 9. პარმა | 20 | 8 | 6 | 6 | 28-26 | 30 |
| 10. კატანია | 20 | 8 | 5 | 7 | 27-27 | 29 |
| 11. კიევო | 20 | 7 | 3 | 10 | 21-33 | 24 |
| 12. ტორინო | 20 | 5 | 9 | 6 | 23-24 | 23 |
| 13. ატალანტა | 20 | 7 | 3 | 10 | 18-30 | 22 |
| 14. ბოლონია | 20 | 6 | 3 | 11 | 25-26 | 21 |
| 15. სამპდორია | 20 | 6 | 4 | 10 | 22-28 | 21 |
| 16. პესკარა | 20 | 6 | 2 | 12 | 17-37 | 20 |
| 17. კალიარი | 20 | 5 | 4 | 11 | 19-36 | 19 |
| 18. ჯენოა | 20 | 4 | 5 | 11 | 21-31 | 17 |
| 19. პალერმო | 20 | 3 | 6 | 11 | 16-32 | 15 |
| 20. სიენა | 20 | 4 | 5 | 11 | 19-31 | 11 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ნაპოლი – 2, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

ბომბარდირები: 16 - კავანი (ნაპოლი); 14 – ელ შაარავი (მილანი), დი ნატალე (უდინეზე); 10 - კლოზე (ლაციო), ლამელა (რომა), ოსვალდო (რომა); 8 - მილიტო (ინტერი), იოვეტიჩი (ფიორენტინა), პაცინი (მილანი), ჯილარდინო (ბოლონია).

**სერია C1/A**

ტრიტიუმი-სან მარინო 2:5, ალბინოლეფე-კრემონეზე 1:1, ლეჩე-კუნეო 2:0, პავია-სუდტიროლი 2:1, პორტოგრუაროლუმეცანე 2:1, ტრაპანი-ფერალპიზალო 4:1, ტრევიზო-ენტელა 0:0, რეჯინა-კარპი დღეს.

**სერია C1/B**

აველინო-კარარეზე 2:1, კატანძარო-ლატინა 1:3, ფროზინონე-გუბიო 2:0, პერუჯა-ბარლეტა 0:1, პიზა-ანდრია 1:0, სორენტო-პაგანეზე 0:0, ვიარეჯო-ბენევენტო 0:0, ნოჩერინა-პრატო გადაიდო.

**მომდევნო ტური**

19 იანვარი: პალერმო-ლაციო, იუვენტუსი-უდინეზე.

20 იანვარი: ფიორენტინა-ნაპოლი, კიევო-პარმა, სიენა-სამპდორია, პესკარა-ტორინო, მილანი-ბოლონია, ატალანტა-კალიარი, ჯენოა-კატანია, რომა-ინტერი.

ესპანეთი. ლა ლიგა. XIX ტური

# ბარსა: არის პირველი წრის რეკორდი!

## რა ფასი აქვს სამეფო კლუბს რონალდოს გარეშე?

**„ბარსელონა" ლა ლიგის ისტორიის საუკეთესო მიღწევას შესწვდა - პირველი წრე 55 ქულით დაასრულა. მეტიც, მალაგაში გუნდს ტიტო ვილანოვა ხელმძღვანელობდა! ლიონელ მესიმ კი მორიგი გოლი გაიტანა (28-ე ნახევარ ჩემპიონატში). საპირისპიროდ მიდის ჟოზე მოურინიოს საქმეები, რომლის გუნდმაც კრიშტიანო რონალდოს გარეშე ვერ მოუგო ბოლოადგილოსან „ოსასუნას" და ახლა „ბარსას" 18 ქულით ჩამორჩება.**

### ნუ დაუჯერებთ ასისტენტს!

*„თუკი წესების დარღვევა საჯარიმოს გარეთ იყო, მაშინ მადლობა რეფერის"*, - ეს სიტყვები **ფრანსისკო მედინა ლუნა „პიტის"** ეკუთვნის, „რაიო ვალეკანოს" კაპიტანს. სწორედ მატჩის მეორე ნახევრის შუაში მომხდარი ინციდენტი აღმოჩნდა გადამწყვეტი, რის გამოც „რაიო ვალეკანო" ისტორიას ეთამაშება - სეზონის პირველი ნახევარი 31 ქულით დაამთავრა! **პაკო ხემესის** „ელვებმა" ეს ეფექტურად, თანაც „საფეხბურთო კათედრალზე" მოახერხეს, თუმცა როგორც უკვე ვთქვით, მსაჯის შეცდომის გამოც.

პირველ ტაიმში ბასკები აქტიურობდნენ, „რაიო" მეკარე **რუბენ მარტინესს** უნდა უმადლოდეს, რომ გოლი არ გავიდა, მან დუელი **არიც ადურისს** მოუგო. სამივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა - **რობერტო ტრაშორასმა** შორეული პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა **ალჰასან ბანგურა** და გვინეელმაც არ დაუკარგა თანაგუნდელს ამაგი. ამის შემდეგ **მარსელო ბიელსამ** თამაშში **ფერნანდო ლორენტე** ჩართო, რამაც შედეგი კინაღამ მაშინვე გამოიღო, თუმცა ლორენტეს და ადურისს მაგრად არ გაუმართლათ იმ დღეს კარში რომ რუბენი იდგა. საკამათო სტუმართა მეორე გოლი იყო, **გურპეგიმ ალეხანდრო დომინგესი** საჯარიმოს გარეთ მოცელა, **პერეს მონტერო** ჯარიმას ნიშნავდა, როცა ასისტენტისგან ცრუ სიგნალი მიიღო - პენალტი პიტიმ გოლად აქცია. „ბილბაო" ასე იოლად არ ნებდება და **მიკელ სან ხოსემ** ერთი გოლი გაქვითა, შემდეგ კი „ელვები" სულაც ათნი დარჩნენ მოედანზე - ხელით ითამაშა **ალეხანდრო გალვესმა**, მაგრამ მადრიდელებმა გამარჯვება ხელიდან აღარ გაუშვეს.

**მარსელო ბიელსა** (ბილბაო): *„ორ გუნდს შორის სხვაობა გოლია. გოლი კი არასწორად გავიდა. მოკლედ, არაფერი განსაკუთრებული - ჩვეული ბიზნესია".*

**პაკო ხემესი** (რაიო ვალეკანო): *„ამ გუნდს აქვს პოტენციალი „რაიოს" ისტორიაში დაიმკვიდროს ადგილი".*

### მესი? რონი? არა - ებერტი!

„ვალიადოლიდი" 25 წლის **პატრიკ ებერტის** გარეშე კაპიკის ფასია - ბოლოს როცა გერმანელი სასტარტოში იყო გოლი და საგოლე პასი მიითვალა, გუნდმა კი სტუმრად „სევილია" დაამარცხა. მომდევნო თამაშში პატრიკი დაიმტვრა და „ვალიადოლიდმაც" უმისოდ 5-მატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხო. ებერტი დაბრუნდა და „მალიორკას" კარში დუბლით და საგოლე პასით გამოირჩა. განსაკუთრებით აღსანიშნავი მისი პირველი გოლია: უძლიერესი დარტყმა „ცხრიანში", დაახლოებით 18 მეტრიდან. მალევე „მალიორკამ" **ვიქტორ კასადესუსის** თავურით უპასუხა.

თამაში მთავრდებოდა, როცა ებერტმა საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ჭვინტით შეეხო ბურთს **ოსკარ გონსალესი** და გამარჯვების გოლი გაიტანა. მატჩის ბოლოს ებერტმა სტუმრები კონტრშეტევაზე დაიჭირა.

ისეთი შთაბეჭდილება, რომ არ დარჩეს, თითქოს, ბალეარელები გულხელდაკრეფილები უყურებდნენ მოვლენათა განვითარებას ვიტყვით, რომ პირველ ტაიმში **ჯოვანი დოს სანტოსმა** ხარიხას გაარტყა ბურთი, ვიქტორს პენალტი არ დაუდეს, ხოლო მეორეში **ნსუეს** გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო გააუქმეს.

**მიროსლავ ჯუკიჩი** (ვალიადოლიდი): *„საკმაო ქულები დაგვიგროვდა, მაგრამ ჯერ არაფრისთვის არ მიგვიღწევია, უბრალოდ სწორი მიმართულებით ვმუშაობთ. სიმართლე გითხრათ, ამ თამაშითაც არ ვარ კმაყოფილი - ბიჭებს თავდაჯერება აკლდათ".*

**ხოაკინ კაპაროსი** (მალიორკა): *„მეტი დავიმსახურეთ, მატჩის მიმდინარეობას ვაკონტროლებდით. მე მგონი, შევცდი მოედანზე მიშელ პერეირა რომ გამოვიყვანე - სხვაგან ქრის მისი გონება".*

### პეტროვის მოსვლამდე

მატჩის 23-ე წუთზე ნილბით მოთამაშე **კრისტიან სტუანიმ** ბურთი მოპარა სტუმართა მცველს და მარჯვენა ფლანგიდან დაბალი ბურთი ჩააწოდა, მეკარეს წამით დაასწრო **სერხიო გარსიამ** და მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა. ორივე გუნდი ელიტაში დარჩენისთვის იბრძვის - „ესპანიოლმა" ახლა დაიწყო საქმეების გამოსწორება, „სელტა" კი კრიზისშია - ბოლო ხუთ შეხვედრაში 4 წააგო. მეორე ტაიმში „ესპანიოლი" დაცვაში თამაშით დაკმაყოფილდა, საგოლე შანსები კი მხოლოდ სტანდარტული მდგომარეობებისას იქმნებოდა. „ესპანიოლის" მცველებმა მარწუხებში მოაქციეს **იაგო ასპასი** და მას ფეხი არ გაანძრევინეს.



**ვისი ბრალია რეალის მორიგი წარუმატებლობა?**

„ესპანიოლში" სიახლეებიცაა: **მარტინ პეტროვი** მოდის, ხოლო **კრისტიან გომესი** „პანათინაიკოსში" მიდის.

**ხავიერ აგირე** (ესპანიოლი): *„კმაყოფილი ვარ. დღითიდღე უკეთ ვთამაშობთ, თუმცა ეს ჯერ საკმარისი არაა".*

### კაკა გამოჩნდა და ნეტა, არც გამოჩენილიყო

**ჟოზე მოურინიოს** „რეალი" ვერ იგებს თამაშების 25%-ს. თუ **კრიშტიანო რონალდო** არ თამაშობს ეს მაჩვენებელი 35%-მდე იზრდება. კიდევ კარგი, „სამეფო კლუბის" თამაშებს ძალზე იშვიათად აცდენს პორტუგალიელი, თორემ ჟოზე მოურინიოს ბედი აქამდე გადაწყდებოდა - პამპლონაში „რეალმა" უსახური ფეხბურთი ითამაშა და იოტისოდენადაც ვერ სჯობდა იმ მომენტისთვის ჩემპიონატის ბოლოადგილოსან გუნდს. შედეგად - მორიგი ორი ქულა დაკარგა.

მართალია, **კაკას** (ბრაზილიელმა იდიოტურ სიტუაციაში მიიღო მეორე გაფრთხილება - მეტოქეს ჯარიმის შესრულებაში ხელს უშლიდა) გაძევების შემდეგ **ხოსე კალეხონმა** გოლი გაიტანა, მაგრამ მსაჯებმა მცირე თამაშგარე შენიშნეს. სხვა მხრივ ჟოზეს გუნდს ხეირიანი არაფერი გაუკეთებია - 90 წუთის განმავლობაში „რეალმა" კარში ზუსტად ერთხელ დაარტყა და ეს შეცვლაზე შესულმა **ქარიმ ბენზემამ** მოახერხა.

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„თავისთავად ცხადია, რომ ხვალ შეიძლება „ბარსელონას" 18 ქულით ჩამოვრჩეთ. მინდა ავხსნა ეს ჩამორჩენა, თუმცა გრძელი ისტორიაა. ჩემპიონატის დასაწყისში მოხდა ისეთი რაღაცები, რაზეც ახლა საუბარი არ მსურს, მერე კი, როცა სხვაობა უკვე დიდი იყო, წინ წასული გუნდი ნერვების დაუძაბავად თამაშობდა, მდევარს კი ამის ფუფუნება არ ჰქონდა. აი, რა მოხდა პირველი 6-7 ტურის დროს, არ ვიტყვი. „სელტასთან" თამაშში ძალიან მომეწონა იკერი. ის იყო დიდი გუნდის მეკარე. დღეს ბურთს იშვიათად ეხებოდა, თუმცა ფაქტია, ორივე თამაშში გუნდმა დაცვაში კარგად ითამაშა და ორივე შემთხვევაში კარში იკერი იდგა. ის არ ითამაშებს თასის მატჩში, აი, „ვალენსიასთან" კი... ჯერ ადრეა, ვერ გეტყვით, ითამაშებს თუ არა იკერი"*

### სოლდადოს დუბლით

ტურის ერთ-ერთი საინტერესო დაპირისპირება „მესტალიაზე" შედგა, სადაც „ვალენსიამ" ორი კუთხური ორ გოლად აქცია „სევილიას" კარში: ორჯერვე ეპიზოდს **რობერტო სოლდადო** აგვირგვინებდა. ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა.

ფაქტია, **ერნესტო ვალვერდეს** ხელში „ღამურები" პროგრესირებენ, რაც მან **პელეგრინო** შეცვალა, „ვალენსიამ" 8-დან 7 მატჩი მოიგო.

### ამაყი მშობელი

მიუხედავად იმისა, რომ „ბეტისს" **ბენიატი** და **კანიასი** არ ჰყავდა, სწორედ ნახევარდაცვაში უკეთესი თამაშით აჯობა „ლევანტეს". აღსანიშნავია 31 წლის **რუბენ კასტროს** დიდებული თამაში: მის ანგარიშზე გოლი და საგოლე პასია. ვფიქრობთ, ასაკის მიუხედავად ეს ფეხბურთელი ნაკრებში გასინჯვას იმსახურებს.

**პეპე მელი** (ბეტისი): *„მოედანს ისე ვტოვებდი, როგორც ამაყი მშობელი - ეს „ბეტისი" ძალიან მომწონს".*

### გაკოტრების მიუხედავად

თამაშამდე ერთი დღით ადრე „დეპორტივომ" თავი გაკოტრებულად გამოაცხადა, შემდეგ კი სან სებასტიანში „ანოეტას" ეწვია და 10 კაცით ბასკეთიდან ქულა წაიღო. „ატლეტიკომ" კი „სარაგოსა" დაამარცხა - 2:0. ერთ-ერთი გოლი **რადამელ ფალკაოს** ანგარიშზეა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## პორტუგალია

ლიგა საგრეში. XIV ტური

**გიმარაეში-მარიტიმუ 1:1**
**გოლები:** 0:1 დანილო დიასი (2), 1:1 ბალდე (94)
**გაძევება:** მარსიო როსარიო (72. მარიტიმუ)

**ნასიონალი-ბრაგა 3:2**
**გოლები:** 0:1 ბარბოზა (37), 1:1 მექშერი (58), 2:1 ბარსელოსი (61), 3:1 ისმაილი (77. ს.კ.), 3:2 ედერი (83)
**გაძევება:** უგო ვიანა (84. ბრაგა)

**ჟილ ვისენტე-რიუ ავე 0:1**
**გოლი:** 0:1 მარსელო (35)

**სეტუბალი-მორეირენშე 5:0**
**გოლები:** 1:0 მეიონგი (26), 2:0 მეიონგი (31), 3:0 მეიონგი (46), 4:0 პ. სანტოსი (54), 5:0 ბრუნინიო (85)
**გაძევება:** ვაგნერი (37. მორეირენშე), აუგუსტო (50. მორეირენშე)

**ფერეირა-აკადემიკა 1:0**
**გოლი:** 1:0 ურტადო (52)
**გაძევება:** რიკარდო (87. ფერეირა)

**ოლანენშე-სპორტინგი 0:2**
**გოლები:** 0:1 ლაბიადი (2), 0:2 ა. სილვა (56)

**ბენფიკა-პორტუ 2:2**
**გოლები:** 0:1 მანგალა (7), 1:1 მატიჩი (9), 1:2 ჯ. მარტინესი (14), 2:2 გაიტანი (16)

**ბეირა მარი-ეშტორილი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 14 | 11 | 3 | 0 | 37-11 | 36 |
| 2. პორტუ | 13 | 10 | 3 | 0 | 28-6 | 33 |
| 3. ბრაგა | 14 | 8 | 2 | 4 | 30-18 | 26 |
| 4. ფერეირა | 14 | 6 | 7 | 1 | 17-10 | 25 |
| 5. რიუ ავე | 14 | 6 | 3 | 5 | 17-17 | 21 |
| 6. გიმარაეში | 14 | 4 | 5 | 5 | 14-21 | 17 |
| 7. ეშტორილი | 13 | 4 | 3 | 6 | 19-20 | 15 |
| 8. მარიტიმუ | 14 | 3 | 6 | 5 | 12-22 | 15 |
| 9. ნასიონალი | 14 | 4 | 3 | 7 | 19-26 | 15 |
| 10. სპორტინგი | 14 | 3 | 6 | 5 | 13-16 | 15 |
| 11. სეტუბალი | 13 | 3 | 5 | 5 | 18-24 | 14 |
| 12. ოლანენშე | 14 | 3 | 5 | 6 | 16-22 | 14 |
| 13. ბეირა მარი | 13 | 3 | 5 | 5 | 19-24 | 14 |
| 14. აკადემიკა | 14 | 2 | 7 | 5 | 19-23 | 13 |
| 15. ჟილ ვისენტე | 14 | 2 | 6 | 6 | 12-19 | 12 |
| 16. მორეირენშე | 14 | 1 | 5 | 8 | 14-25 | 8 |

**ბომბარდირები:** 13 - ოსკარ კარდოსო (ბენფიკა), ალბერტ მეიონგი (სეტუბალი); 12 - ჯექსონ მარტინესი (პორტუ).

**ბილბაო-ვალეკანო 1:2**

**გოლები:** 0:1 ლ. ბანგურა (48), 0:2 პიტი (65-პენ), 1:2 სან ხოსე (77)

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ეკიზა, ამორებიეტა (49. გურპეგი), დე მარკოსი - სან ხოსე, ანდერი - სუსაეტა, მუნიაინი (58. ფ. ლორენტე), ი. გომესი - ადურისი (92. ტოკერო).

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - ტიტო, გალვესი, ამატი (46. ხორდი), კასადო - ფუეგო, ტრაშორასი - ლ. ბანგურა, ა. დომინგესი, პიტი (89. ადრიანი) - ლეო კარილიო (70. დელიბაშიჩი).

**გაფრთხილება:** დე მარკოსი, სან ხოსე, გურპეგი, ანდერი - გალვესი, ამატი, ლეო კარილიო, კასადო, დომინგესი

**გაძევება:** გალვესი (89)

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 14-23; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 18-12 (7-6); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 31 000

**ვალიადოლიდი-მალიორკა 3:1**

**გოლები:** 1:0 ებერტი (21), 1:1 ვიქტორი (37), 2:1 ოსკარი (87), 3:1 ებერტი (90)

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** დ. ერნანდესი - რუკავინა, სერენო, ვალიენტე, ბალენსიაგა - რუბიო, სასტრე - ებერტი, ოსკარი (90. ბარახა), ომარი (71. ბუენო) - ლარსონი (79. გერა).

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - ნსუე, ნუნიეში, ჟერომელი (88. ჰემედი), ბიგასი - პინა, მარტი (85. ფონტასი) - არისმენდი, ჯოვანი დოს სანტოსი, ლუნა (55. მ. პერეირა) - ვიქტორი.

**გაფრთხილება:** სასტრე, სერენო - ჯოვანი დოს სანტოსი, ბიგასი, ჟერომელი, ლუნა

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 14-9; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 14-12 (8-4); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 21 000

**ესპანიოლი-სელტა 1:0**

**გოლი:** 1:0 ს. გარსია (24)

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხ. ლოპესი, კოლოტო, ფორლინი, კაპდევილა - ვ. სანჩესი, ბაენა - სტუანი, ვერდიუ (76. ალფონსო), სიმაო (83. ლონგო) - ს. გარსია.

**სელტა (4-2-3-1):** ვარასი - ხონი, კაბრალი, დემიდოვი, ლაგო - ოუბინია, ა. ლოპესი - ა. ფერნანდესი (58. დე ლუკასი), ბერმეხო (72. პარკი), კრონ-დელი (69. ტონი) - ასპასი.

**გაფრთხილება:** ფორლინი, ხ. ლოპესი, სანჩესი, სიმაო, ბაენა, კოლოტო - ა. ლოპესი

**კუთხური:** 7-8; **ჯარიმა:** 19-19; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 14-12 (4-1); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 18 500

**ოსასუნა-რეალი 0:0**

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, რუბენი, არიბასი, დამია - ლოლო, ოიერი - სეხუდო (85. ხ. ლორენტე), ნინო, არმენტეროსი - კიკე სოლა.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, ვარანი, ალბიოლი, ფ. კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია (57. ბენზემა), მოდრიჩი (67. იოზილი), კალეხონი - იგუაინი (57. კაკა).

**გაფრთხილება:** რუბენი, ოიერი, არმენტეროსი, ლოლო - კაკა, ჩაბი ალონსო, იოზილი

**გაძევება:** კაკა (60)

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 5-8; **კარში დარტყმა:** 13-9 (2-1); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 17 000

**ვალენსია-სევილია 2:0**

**გოლები:** 1:0 სოლდადო (50), 2:0 სოლდადო (88)

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ჟ. პერეირა, რამი, რ. კოშტა, გუარდადო - ალბელდა (40. ტინო კოსტა), ბანეგა - პარეხო (89. რუისი), ჟონასი, პიატი (81. ვალდესი) - სოლდადო.

**სევილია (4-2-3-1):** დ. ლოპესი - სისინიო (61. პეროტი), ფასიო, სპაჰიჩი, ფ. ნავარო - მედელი, კონდობია - ხესუს ნავასი, რაკიტიჩი, რეიესი (82. სტევანოვიჩი) - ნეგრედო.

**გაფრთხილება:** პერეირა, რუისი - სპაჰიჩი, ნავარო, რაკიტიჩი

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 21-14; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 17-6 (4-1); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 32 000

**ბეტისი-ლევანტე 2:0**

**გოლები:** 1:0 კემპბელი (7), 2:0 რ. კასტრო (63)

**ბეტისი (4-2-3-1):** ადრიანი - ჩიკა, ამაია, მარიო, ნაჩო - რ. პერესი, ნონო (81. დორადო) - კემპბელი (87. აგრა), რ. კასტრო, ვადილიო (56. ედერი) - მოლინა.

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ლელი, ბალესტეროსი, დ. ნავარო, ხუანფრანი - დიოპი, მიჩელი - ელ-ჟარი (71. რიოსი), რუბენ გარსია, ხუანლუ (46. მარტინსი) - როხერი (61. ანხელი).

**გაფრთხილება:** პერესი, ნაჩო - დიოპი, ელ-ჟარი, როხერი, ხუანფრანი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 13-9 (4-3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 38 000

**სოსიედადი-დეპორტივო 1:1**

**გოლები:** 0:1 პიცი (27), 1:1 ველა (45)

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, ანსოტეგი, ელუსტონდო, დე ლა ბელა - პარდო (69. გ. კასტრო), ილარამენდი - ველა, ჩაბი პრიეტო, გრიზმანი - აგირეჩე (77. იფრანი).

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - მ. პაბლო, მარჩენა, ზე კაშტრო, ევალდო - ბერგანტინიოსი, ხ. ვასკესი (55. ასუნსაო) - გამა, ანდრე სანტოსი (65. სილვიო), პიცი - რიკი (62. ოლივეირა).

**გაფრთხილება:** ილარამენდი, ანსოტეგი, კასტრო - ევალდო, პაბლო, ასუნსაო, ზე კაშტრო

**გაძევება:** ევალდო (64)

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 10-14; **თამაშგარე:** 8-2; **კარში დარტყმა:** 11-20 (2-7); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 22 000

**ატლეტიკო-სარაგოსა 2:0**

**გოლები:** 1:0 ტიაგო (31), 2:0 ფალკაო (38-პენ)

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - კოკე, ტიაგო (64. მ. სუარესი), გაბი, არდა თურანი (84. რ. გარსია) - დ. კოშტა (74. კ. როდრიგესი), ფალკაო.

**სარაგოსა (4-4-2):** რობერტო - სეპუნარუ, პინტერი, ლოოვენსი, პარედესი (47. ვ. როდრიგესი) - სუკულინი (59. ე. ორიოლი), ხოსე მარი, აპონიო, აბრაამი - მონტანიესი (78. ალამო), პოშტიგა.

**გაფრთხილება:** მირანდა - პარედესი, სეპუნარუ, ხოსე მარი

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 14-4 (5-1); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 49 000

**მალაგა-ბარსელონა 1:3**

**გოლები:** 0:1 მესი (27), 0:2 ფაბრეგასი (50), 0:3 ტ. ალკანტარა (82), 1:3 ბუონანოტე (83)

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - ხ. სანჩესი, დემიკელისი, ველიგტონი, მონრეალი - ნაჩო კამაჩო, ტულალანი (იტურა) - ხოაკინი (82. პორტილიო), ისკო, ელიზეუ (62. ბუონანოტე)- სანტა კრუსი.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი (73. ტ. ალკანტარა) - პედრო (77. სანჩესი), მესი, ინიესტა.

**გაფრთხილება:** კამაჩო - ფაბრეგასი, ბუსკეტსი

**კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 17-14; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 7-12 (2-4); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 29 000

**ხეტაფე-გრანადა** დღეს. 23:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 19 | 18 | 1 | 0 | 64-20 | 55 |
| 2. ატლეტიკო | 19 | 14 | 2 | 3 | 40-18 | 44 |
| 3. რეალი | 19 | 11 | 4 | 4 | 45-20 | 37 |
| 4. ბეტისი | 19 | 11 | 1 | 7 | 30-29 | 34 |
| 5. მალაგა | 19 | 9 | 4 | 6 | 29-16 | 31 |
| 6. ვალეკანო | 19 | 10 | 1 | 8 | 27-34 | 31 |
| 7. ვალენსია | 19 | 9 | 3 | 7 | 27-27 | 30 |
| 8. ლევანტე | 19 | 9 | 3 | 7 | 24-27 | 30 |
| 9. სოსიედადი | 19 | 7 | 5 | 7 | 28-25 | 26 |
| 10. ვალიადოლიდი | 19 | 7 | 4 | 8 | 27-25 | 25 |
| 11. ხეტაფე | 18 | 7 | 3 | 8 | 22-28 | 24 |
| 12. სევილია | 19 | 6 | 4 | 9 | 23-28 | 22 |
| 13. სარაგოსა | 19 | 7 | 1 | 11 | 21-28 | 22 |
| 14. ბილბაო | 19 | 6 | 3 | 10 | 23-39 | 21 |
| 15. სელტა | 19 | 5 | 3 | 11 | 19-24 | 18 |
| 16. ესპანიოლი | 19 | 4 | 6 | 9 | 20-30 | 18 |
| 17. მალიორკა | 19 | 4 | 5 | 10 | 18-33 | 17 |
| 18. გრანადა | 18 | 4 | 4 | 10 | 14-27 | 16 |
| 19. დეპორტივო | 19 | 3 | 7 | 9 | 23-40 | 16 |
| 20. ოსასუნა | 19 | 3 | 6 | 10 | 14-20 | 15 |

**ბომბარდირები:** 28 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 18 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 16 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 11 - არიც ადურისი (ბილბაო), რობერტო სოლდადო (ვალენსია), რუბენ კასტრო (ბეტისი).

**სეგუნდა დივიზიონი.**

**XXI ტური**

**გვადალახარა-ელჩე 0:0**

**ბარსელონა II-ხერესი 4:2**
**გოლები:** 1:0 დეულოფეუ (19), 1:1 პორკარი (52), 1:2 პორკარი (65), 2:2 ესპინოსა (72), 3:2 ლ. ალბერტო (73), 4:2 რომანი (90)

**ალმერია-ვილიარეალი 1:1**
**გოლები:** 1:0 კორონა (49), 1:1 მელბერგი (63)
**გაძევება:** პელერანო (60. ალმერია)

**სპორტინგი-მირანდესი 1:1**
**გოლები:** 1:0 ტრეხო (17), 1:1 მუხიკა (27)

**რეალი II-ჟირონა 0:0**

**ერკულესი-რასინგი 2:0**
**გოლები:** 1:0 პორტილიო (5), 2:0 პორტილიო (68-პენ)

**უესკა-უელვა 3:1**
**გოლები:** 0:1 ჩული (6), 1:1 ბორხა (70), 2:1 კამაჩო (76-პენ), 3:1 ნაჩო ნოვო (84)

**პონფერადინა-ლუგო 0:1**
**გოლი:** 0:1 პიტა (55)

**საბადელი-ალკორკონი 2:0**
**გოლები:** 1:0 პესი (28), 2:0 ლანსაროტე (54)

**კორდობა-ნუმანსია 1:0**
**გოლი:** 1:0 გარაი (26)

**ლას პალმასი-მურსია 3:2**
**გოლები:** 1:0 ტიევი (1), 2:0 მომო (4), 2:1 კრისტიანი (20), 2:2 ე. სანჩესი (75-პენ), 3:2 ვიტოლო (90)
**გაძევება:** ბარბოზა (71. ლას პალმასი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 21 | 15 | 4 | 2 | 31-11 | 49 |
| 2. ჟირონა | 21 | 11 | 5 | 5 | 37-21 | 38 |
| 3. ალმერია | 21 | 11 | 5 | 5 | 32-22 | 38 |
| 4. ალკორკონი | 21 | 12 | 2 | 7 | 33-27 | 38 |
| 5. ბარსელონა II | 21 | 10 | 5 | 6 | 47-34 | 35 |
| 6. ლას პალმასი | 21 | 9 | 6 | 6 | 31-29 | 33 |
| 7. ვილიარეალი | 21 | 8 | 8 | 5 | 25-19 | 32 |
| 8. პონფერადინა | 21 | 10 | 1 | 10 | 29-28 | 31 |
| 9. საბადელი | 21 | 8 | 6 | 7 | 29-23 | 30 |
| 10. კორდობა | 21 | 8 | 6 | 7 | 22-23 | 30 |
| 11. ლუგო | 21 | 8 | 6 | 7 | 21-24 | 30 |
| 12. ნუმანსია | 21 | 7 | 7 | 7 | 26-27 | 28 |
| 13. უელვა | 21 | 8 | 4 | 9 | 26-34 | 28 |
| 14. მურსია | 21 | 7 | 5 | 9 | 25-25 | 26 |
| 15. სპორტინგი | 21 | 6 | 8 | 7 | 27-28 | 26 |
| 16. რეალი II | 21 | 6 | 4 | 11 | 35-38 | 22 |
| 17. გვადალახარა | 21 | 5 | 7 | 9 | 23-29 | 22 |
| 18. ხერესი | 21 | 5 | 7 | 9 | 22-33 | 22 |
| 19. უესკა | 21 | 4 | 8 | 9 | 21-30 | 20 |
| 20. მირანდესი | 21 | 3 | 9 | 9 | 17-25 | 18 |
| 21. რასინგი | 21 | 4 | 6 | 11 | 16-30 | 18 |
| 22. ერკულესი | 21 | 4 | 5 | 12 | 19-34 | 17 |

**ბომბარდირები:** 12 - ორიოლ რიერა (ალკორკონი), ჟერარდ დეულოფეუ (ბარსელონა II); 11 - იური (პონფერადინა).

**მომდევნო ტური**

18 იანვარი: **ესპანიოლი-მალიორკა**

19 იანვარი: **გრანადა-რაიო ვალეკანო, რეალ სოსიედადი-ბარსელონა, ხეტაფე-სევილია, მალაგა-სელტა.**

20 იანვარი: **ოსასუნა-დეპორტივო, ვალიადოლიდი-სარაგოსა, ატლეტიკო-ლევანტე, ვალენსია-რეალი.**

21 იანვარი: **ბეტისი-ბილბაო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფიორენტინა


ვინჩენცო მონტელა

# მონტელა ლამპარდს უხმობს

"ფიორენტინას" მთავარი მწვრთნელი **ვინჩენცო მონტელა** პრესას სატრანსფერო თემებზე ესაუბრა და საინტერესო განცხადებები გააკეთა. შეგახსენებთ, რომ ფლორენციელებმა უკვე გადაიბირეს 25 წლის **ჯუზეპე როსი** და როგორც ჩანს, გუნდის გაძლიერებას კიდევ აპირებენ:

*"როსის ტრანსფერმა ძალიან გამახარა, რადგან მისი გადაბირება ჯერ კიდევ "რომაში" მუშაობისას მინდოდა. ძალიან სწრაფია, საგოლე ალღო აქვს და არც ტექნიკა დაეწუნება. კიდევ ვის გადმოყვანას ვისურვებდი? - ფრენკ ლამპარდის, რომელმაც განაცხადა, რომ "ფიორენტინა" ძალიან ესიმპათიურება. მისმა ფრაზამ გამახარა და დამაფიქრა კიდეც. თუ ინგლისელი თანახმაა ხანდახან თადარიგშიც იჯდეს, დიდი სიამოვნებით გადავიბირებდით. მართალია, 34 წლისაა, მაგრამ ასაკს არასდროს ვაქცევდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ანტონიო დი ნატალე? - ახლო მეგობრები ვართ და ზუსტად ვიცი, რომ კარიერას "უდინეზეში" დაასრულებს. ვეცდებით, კიდევ ერთი ნახევარმცველი დავიმატოთ, რადგან შუა ხაზში როტაცია აუცილებელია".*

**ლაშა წიკლაური**

მოსაზრება

# უფრო ახალგაზრდული, უფრო იტალიური

"მილანის" მესვეურები სატრანსფერო ბაზარზე პასიურობას ხშირი განცხადებებით აბალანსებენ - ხან **სილვიო ბერლუსკონი** გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს კლუბის პოლიტიკასთან დაკავშირებით და ხანაც, **ადრიანო გალიანია** ავანსცენაზე. ამჯერად, ჟურნალისტებს გალიანი გაესაუბრა და განაცხადა, რომ "მილანი" კიდევ უფრო ახალგაზრდული და კიდევ უფრო იტალიური უნდა გახდეს:

*"მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო შეხვედრა ტურინში ჩავატარეთ და ეს მიუხედავად იმისა, რომ თასის გათამაშებას დავემშვიდობეთ. სწორედ ისეთი "მილანის" ხილვა მსურს, როგორიც იმ შეხვედრაში ვიხილე. როდესაც მატჩს ტრიბუნიდან ვადევნებდი თვალს, მაშინ დავაკვირდი, რომ ძირითად შემადგენლობაში ბევრი ახალგაზრდა გვყავდა და ამიტომ, თამაშის ტემპიც არნახულად მაღალი იყო. სხვათა შორის, დიდად არც მეტოქე ჩამოგვრჩა და სანახაობრივი ფეხბურთი გაჩაღდა. როდესაც გადავთვალე, ორივე გუნდში სასტარტო შემადგენლობის 22 ფეხბურთელიდან 15 იტალიელი იყო, რაც თანამედროვე ფეხბურთში იშვიათი ამბავია. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩვენებს მეტი გასაქანი უნდა მივცეთ. მომავალში, კიდევ უფრო ახალგაზრდული და კიდევ უფრო იტალიური "მილანის" ხილვა მსურს".*

**ლაშა წიკლაური**

ამბები

## მესის და რონალდოს გასაუბრება მესიჯებით

ტელეკომპანია „ალ ჯაზირამ" სარეკლამო ვიდეოკლიპი დაამზადა, რომელიც ესპანურ ლა ლიგაში მოახლოებულ „ელ კლასიკოს" პრომოუშენია. კლიპში მხოლოდ ორი მონაწილეა: **კრიშტიანო რონალდო** და **ლიონელ მესი!**

კლიპის შინაარსი ასეთია: რონალდო და მესი ერთმანეთს უმესიჯებენ - *„კლასიკოს ველი"*, - წერს მესი; *„მეც ძალიან მიყვარს შენ წინააღმდეგ გოლების გატანა"*, პასუხობს პორტუგალიელი; *„ჰა ჰა, მაშინ მე კიდევ უფრო მეტი რეკორდის დამყარება მომიწევს"* - ასეთია არგენტინელის საპასუხო მესიჯი; *„ბლა ბლა ბლა"*, - იხტიბარს არ იტეხს რონი; *„განახავ მარტში"*, - *„მუქარაზე"* გადადის მესი; *„ერთი სული მაქვს"*, პასუხობს რონალდო და კლიპიც მთავრდება.

შეგახსენებთ, რომ „ელ კლასიკო" მარტის დასაწყისში გაიმართება.

## ვისი ხილვა სურთ მადრიდის რეალში?

„მარკას" ახალი გამოკითხვის მიხედვით, „რეალში" ყველაზე მეტად **დავიდ სილვას** (მანჩესტერ სიტი) და **რადამელ ფალკაოს** (ატლეტიკო) ხილვა სურთ.

შარშანდელი გამოკითხვის აშკარა ლიდერი **ფერნანდო ლორენტე** (ბილბაო) კი მიივიწყეს - ბასკის მადრიდში გადასვლას კლუბის წევრთა მხოლოდ 29,7% ემხრობა. ასევე მკვეთრად დაეცა მათი რიცხვი, ვისაც „რეალში" **სერხიო აგუეროს** (მანჩესტერ სიტი) და **ნეიმარის** (სანტოსი) ნახვა სურს.

დავიდ სილვას ტრანსფერს მხარს 76,7% უჭერს, მეორე ადგილზე რადამელ „ელ ტიგრე" ფალკაოა ხმათა 70,7%-ით.

მესამე ადგილზე კი ყველასთვის მოულოდნელად „მალაგას" ნახევარმცველი **ისკო** გავიდა 48,2%-ით.

## პარი სენ-ჟერმენმა თვალი ადრიანოს დაადგა

ესპანური პრესა ბევრს წერს „პარი სენ-ჟერმენის" გაზრდილ სატრანსფერო ამბიციებზე. ამჯერად ყურადღების ცენტრში „ბარსელონას" უნივერსალი ბრაზილიელი მცველი **ადრიანო** მოექცა - პსჟ-ს 28 წლის ადრიანო სურსო.

ადრიანო „ბარსელონაში" 2010 წელს „სევილიადან" გადავიდა. ამ სეზონში მან 11 მატჩში 5 გოლი გაიტანა, რაც მცველისთვის შესანიშნავი მაჩვენებელია. ადრიანოს საბაზრო ფასი 15 მილიონი ევროა.

## მესის ახალი ბუცები – ოქროს ბურთი 2012



როგორი დაძაბული ბრძოლაცაა საუკეთესოობისთვის **ლიონელ მესისა** და **კრიშტიანო რონალდოს** შორის, ისეთივე კონკურენციაა მათი ბუცებით მომმარაგებელ ფირმებს - „ადიდასსა" და „ნაიკს" შორის.

სულ ახლახან კრიშტიანო რონალდოსთვის „ნაიკმა" ახალი ბუცები შეკერა, კონკურენტებს ვალში არც „ადიდასი" დარჩენია, რომელმაც სპეციალურად „ოქროს ბურთის" მოგების აღსანიშნავად ლეოს ახალი ბუცები უსახსოვრა.

## ფიფამ ოქროს ბურთის გამოკითხვა გააყალბა?

არაბული ტელეარხი „ალ ჯაზირა" სკანდალს აგორებს „ოქროს ბურთთან" დაკავშირებით. არხის ცნობით, ხმების ნაწილი გაყალბებულია!

„ალ ჯაზირას" ცნობით, ჩეხეთის ნაკრების კაპიტანმა **ტომაშ როსიცკიმ** ხმა **მარიო ბალოტელის** მისცა, თუმცა საბოლოო დოკუმენტში წერია, თითქოს მას ხმა ლეო მესისთვის მიეცა. *„მე ხმა ბალოტელის მივეცი"*, – აცხადებს როსიცკი.

ანალოგიურ სიტუაციაშია ბრაზილიელთა კაპიტანი **ტიაგო სილვა:** *„მე ხმა კრიშტიანოს მივეცი, თუმცა ფიფას მიხედვით, ხმა მესისთვის მიმიცია. ეს ყველაფერი ძალზე სამწუხაროა"*.

ფიფამ უმალვე უარყო ბრალდება: *„საბოლოო დოკუმენტი ზედმიწევნით ზუსტია. ყველაფერი გადავამოწმეთ და შეცდომა არსადაა. ყველას შეუძლია სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია მისცეს თავის მოქმედებას, თუ რატომ არ ახსოვთ, ვის მისცეს ხმა"*.

შეგახსენებთ, რომ 7 იანვარს ფიფას „ოქროს ბურთის" მფლობელი 25 წლის ლეო მესი გახდა, მეორე ადგილზე კი **კრიშტიანო რონალდო** გავიდა.

ამბობენ, რომ გაბონის მწვრთნელ **პაულუ დუარტეს**, რომელიც პორტუგალიელია, ხმა რონალდოსთვის მიუცია, თუმცა ფიფას სიაში მისი ხმა მესის სასარგებლოდ არის დაფიქსირებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**





ორიენტირი: სოჭი-2014



# ჯაბა გელაშვილი იწყებს და აგრძელებს

დეკემბრის შუა რიცხვებში მიღებული ტრავმის შემდეგ საქართველოს სამთომოთხილამურეთა ნაკრები გუნდის კანდიდატმა **გიგა გელაშვილმა** ახლახან განაახლა ვარჯიშები ავსტრიის თოვლიან ტრასებზე და უკვე სეზონის პირველ შეჯიბრებაშიც იასპარეზა. საერთაშორისო ფედერაციის (FIS) ეგიდით გამართულ სარეიტინგო ტურნირში, რომელიც გუშინ დასრულდა საფრანგეთის ქალაქ ლეს უშეს ტრასებზე, ჯაბა გელაშვილი სამჯერ დადგა გიგანტური სლალომის სტარტზე. პირველად 26-ე ადგილზე გავიდა, შემდეგ მეხუთე იყო და ბოლოს - მეექვსე.

გუშინვე, როგორც ამ მასალის ტელეფონით მიღებისას, ჩვენი სამთომოთხილამურეების მწვრთნელმა **გერა აბრამიშვილმა** გვითხრა, რომ ჯაბა გელაშვილი ახალ შეჯიბრებაში ჩაერთვება.

**თენგიზ თომაშვილი**

მშვილდოსნობა. საქართველოს პირველობა

# მოისრეებმა მშვილდები გადადეს

**მშვილდოსანთა ზამთრის ჩემპიონატის თარიღმა რამდენიმე დღით გადაიწია. ფედერაციას მისი დაწყება 19 იანვარს სურდა, თუმცა ტექნიკურ-მატერიალური პრობლემების გამო ეს შეუძლებელი ხდება და სავარაუდოდ, იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში ჩატარდება. მისი გადადების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ინვენტარის პრობლემაა - ფედერაციას შედარებით მოძველებული ძველი ფარების ნაცვლად ახლების დამზადება სურს და სწორედ ეს პროცესი ჭიანურდება. უფრო კონკრეტულად - თანხის გადარიცხვისა.**



შეგახსენებთ, რომ ესაა ზამთრის ანუ დარბაზის პირველობა, რომელიც 18-მეტრიან სასროლეთზე ტარდება. ეს არაოლიმპიური დისციპლინაა და შედარებით არაპრესტიჟულიც, თუმცა ზამთარში სატურნირო პრაქტიკის მისაღებად ჩინებული შანსია. ამიტომ მას ვერც უმნიშვნელოს ვუწოდებთ, როგორც სეზონის მთავარი ანუ ოლიმპიური სტარტებისთვის მოსამზადებელს, თუმცა კონკრეტულად ამ ტურნირს სხვა, ბევრად სერიოზული დატვირთვა აქვს - მან უნდა გამოავლინოს ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 26 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით პოლონურ რზესზოვში ევროპის ზამთრის ჩემპიონატში იასპარეზებს. აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენები პოლონეთში ამ ტიტულის დასაცავად ჩავლენ - ორი წლის წინათ, 2011 წელს ესპანურ კამბრილსში მათ პირველობა არავის დაუთმეს. იმედია, ისინი არც პოლონეთში შეირცხვენენ თავს.

ამასობაში კვლავ ღიად რჩება ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხი. სამაგიეროდ, შეგვიძლია ვილაპარაკოთ მოდელზე, რომლის დანერგვასაც საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის ახალარჩეული ძველი პრეზიდენტი **თენგიზ ტერუნაშვილი** აპირებს - უფროსებს, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს, ბიჭებსა თუ გოგოებს ცალ-ცალკე მწვრთნელი ეყოლება ანუ ჯამში ექვსი დამრიგებელი, რომლებსაც კურატორობას მეშვიდე კაცი - მთავარი მწვრთნელი გაუწევს. ჯერჯერობით ეს მხოლოდ იდეის დონეზეა, თუმცა მსგავსი მოდელი ბევრ წამყვან ქვეყანაში მოქმედებს. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ამ საკითხთან დაკავშირებით მშვილდოსნები.

რაც შეეხება ჩვენი ნაკრების საერთაშორისო კალენდარს, ცხადია, ეს საკითხი საბოლოოდ მწვრთნელთა შტაბის დამტკიცების შემდეგ გაირკვევა, თუმცა, სავარაუდოდ, ჩვენები 15-20 აპრილს ფრანგულ რიომში „დიდ პრიზზე" და მაისის ბოლოს მეზობელ სომხეთში, ეჩმიაძინში გასამართ ევროპის „დიდ პრიზზე" ნამდვილად გამოვლენ, აი, შუალედში - 14-19 მაისს შანხაიში გასამართ მსოფლიოს თასზე ისვრიან თუ არა, ჯერ ვერ გეტყვით - ეს ბიუჯეტზეა დამოკიდებული. ალბათ, ქალთა მთავარ ნაკრებს თუ ჩინეთში გაუშვებენ, მაშინ ეჩმიაძინში სათადარიგო შემადგენლობა წავა გამოცდილების და სატურნირო პრაქტიკის მისაღებად. ივნისში ჩვენს სამეზობლოში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა - 10-16 ივნისს ანთალიაში მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი იმართება. ეს ტრადიციულად ერთ-ერთი ზეპრესტიჟული შეჯიბრებაა, რომელიც სიძლიერით მსოფლიოს პირველობას არ ჩამოუვარდება. ჩვენები იქ მუდმივად მონაწილეობენ და ერთხელ **ხათუნა ნარიმანიძე** ამ უძლიერესი შეჯიბრების გამარჯვებულიც გახდა. იმედია, ჩვენები წლეულს იქაც გამოვლენ, რადგან გზის ხარჯი ნაკლებია და ამდენად, ჩვენთვის ხელსაყრელი შეჯიბრებაა.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რეგიონი. წლის მონაგარი



მარცხნიდან: გიორგი გოგშელიძე, ლადო ხინჩეგაშვილი და ლაშა შავდათუაშვილი

# რა თქმა უნდა აქაც – ლაშა!

ტრადიციად იქცა „ლელოს" შიდა ქართლის ბიუროს მიერ რეგიონის წლის საუკეთესოს სპორტსმენის გამოსავლენი გამოკითხვა. რა თქმა უნდა, გასაკვირი არავისთვის ყოფილა, რომ წლის საუკეთესო სპორტსმენი ჩვენი გამოკითხვითაც ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** გახდა. მეორე და მესამე პოზიციაც ოლიმპიადაზე მოპოვებული მედლების ხარისხის შესაბამისად ვერცხლის პრიზიორმა **ლადო ხინჩეგაშვილმა** და ბრინჯაოს მედლის მფლობელმა **გიორგი გოგშელიძემ** დაიკავეს. წლის გუნდად ფეხბურთში საქართველოს თასის მფლობელი გორის „დილა" იქნა აღიარებული, ხოლო წლის აღმოჩენად ბირთვის და ბადროს მტყორცნელი, 15 წლის **გიორგი მუჯარიძე**.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# გორი – 2012

**როგორი მიღწევებით დაასრულეს გასული წელი გორელმა სპორტსმენებმა? გვესაუბრება ქალაქის სპორტის სამსახურის უფროსი გია პაპიტაშვილი.**

„გორში ძიუდოს და თავისუფალი ჭიდაობის ნაყოფიერი მუშაობა, პირველ ყოვლისა, ოლიმპიადამ დაადასტურა. ლონდონში ხუთი მონაწილე გვყავდა და სამი შინ მედლით დაბრუნდა. მართალია ოთარ თუშიშვილი უმედლოდ დარჩა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მან ამჯერად მეოთხედ იასპარეზა პლანეტის უმნიშვნელოვანეს სპორტულ ფორუმზე! სასიხარულოა, რომ რამდენიმეწლიანი ჩავარდნის შემდეგ კრივშიც დავიმსახურეთ დიდ შეჯიბრებაში მედალი - ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ჩვენივე კრივის სკოლის აღზრდილი **რატი ტლაშაძე.** დიდი ხნის ლოდინის შემდეგ წარმატებული სპორტსმენი გამოჩნდა მძლეოსნობაშიც. ბირთვისმკვრელი **გიორგი მუჯარიძე** უკონკურენტოა საქართველოში თანატოლებს შორის მან განვლილი წლის ყველა შეჯიბრება პირველი ადგილით დაასრულა და ერთხელაც აზერბაიჯანის ღია პირველობა მოიგო. 2012 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი გუნდური გამარჯვებად კი უდავოდ გორის ფეხბურთელთა კლუბ „დილას" მიერ ჩვენი ქვეყნის თასის მოპოვება უნდა ჩაითვალოს. მოგეხსენებათ, ეს კლუბი მიმდინარე სეზონში უკვე ჩემპიონობისთვის იბრძვის. ფეხბურთში „დილას" წარმატებებმა თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე მაყურებელი მრავლად მიიყვანა, ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში ვარჯიშის მსურველთა რიცხვი კი შთამბეჭდავად გაზარდა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტთან არსებული საფეხბურთო სკოლის გარდა, ნაყოფიერად მუშაობს საფეხბურთო აკადემია „ქართლი 2011", სადაც ასევე რამდენიმე ასეულ ნორჩ ფეხბურთელს აოსტატებენ მწვრთნელები. გუნდური სახეობებიდან აღსანიშნავია ცენტრალური სასპორტო სკოლის ჭაბუკ ხელბურთელთა და კალათბურთელთა პროგრესი. რამდენიმე ხელბურთელი ხაქართველოს ჭაბუკთა ნაკრებშიც მიიწვიეს. ამავე სასპორტო სკოლის ინდივიდუალური სახეობებიდან კმაყოფილი ვართ ჭადრაკის, კიკბოქსინგის, კარატეს სექციების მუშაობით. შთამბეჭდავია მოცურავეთა შედეგები. მათ უკვე დაიმკვიდრეს ადგილი ჩვენი ქვეყნის წამყვან გუნდებს შორის.

შარშან დასრულდა ცენტრალური სასპორტო და კრივის სკოლების რემონტი, მოეწყო ტრიბუნები „დილას" სტადიონზე. მიმდინარე წლისთვის თავისუფალი ჭიდაობის დარბაზის ასაშენებლად, როგორც იქნა, გამოიყო საჭირო თანხა. იმედი გვაქვს წლეულს სარაგბო მოედნის და სპორტის სასახლის 2012 წელში დაგეგმილი მშენებლობის საქმეშიც იქნება რეალური ძვრები, რასაც შესაბამისად უფრო მეტი წარმატებები მოჰყვება" - გვითხრა გია პაპიტაშვილმა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

● ჭადრაკი

# ფინალში მოსახვედრად კოეფიციენტი არ ეყო

ორი ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობდა ტალინში სახელოვანი დიდოსტატის - პაულ კერესის 22-ე მემორიალში. განსაკუთრებით **მაკა ფურცელაძემ** იყოჩაღა: რაპიდში (ყოველი პარტიისთვის 15 წუთს + 5 წამი თითოეული სვლისთვის) შვეიცარიული სისტემით მან შვიდი შესაძლებლიდან 5,5 ქულა მოაგროვა - დაამარცხა ანაიდ ჰანზატჯანი, არდი ტედრემა (ორივე - ესტონეთი), ულდის მელდერისი (ლატვია) და ტატიანა ფომინა (ესტონეთი), დაუზავდა ტონი რაუკს, სანდერ კუკსა და ოტომარ ლანდას (სამივე - ესტონეთი), მოაგროვა 5,5 ქულა და მესამე-მეცხრე ადგილები გაიყო, კოეფიციენტით მე-7 ადგილი დაიკავა, რის გამოც მემორიალის ფინალში ვერ მოხვდა. იქ კი თამაშის უფლება დიდოსტატებმა - ევგენი სვეშნიკოვმა (ლატვია), ნიკიტა მაიოროვმა (ბელარუსი) - 6-6, ილზე ბერზინამ, დინა რეიზნიეცე-ოზოლამ (ორივე - ლატვია) და ვიდმანტას მალიშაუსკასმა (ლიტვა) მოიპოვეს.

კიდევ ერთი ქართველი მოჭადრაკე - ფიდეს ოსტატი **ვარლამ ვეფხვიშვილი** 4,5 ქულით 26-ე ადგილზე გავიდა.

**ვაჟა დანელია**

# მსოფლიოს თასზე – მხოლოდ ჯობავა

წლეულს 10 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით ნორვეგიულ ტრომსიოში მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს თასი გათამაშდება, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის ახალი ციკლის შესარჩევი ტურნირიცაა.

შეჯიბრებაში სხვადასხვა კონტინენტის 128 წარმომადგენელი იასპარეზებს. მოჭადრაკეთა ერთ ნაწილს უკვე განაღდებული აქვს თასზე გამოსვლის უფლება. მათ შორის გახლავთ გალელი დიდოსტატი **ბაადურ ჯობავა** (2702). მან ეს უფლება შარშან ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვა. ტრომსიოში, ასევე, იასპარეზებენ: მსოფლიოს ჩემპიონი ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), 2011 წლის მსოფლიოს თასის ნახევარფინალისტები - პიოტრ სვიდლერი, ალექსანდრ გრიშჩუკი (ორივე - რუსეთი), ვასილი ივანჩუკი, მსოფლიოს ექსჩემპიონი რუსლან პონომარიოვი (ორივე - უკრაინა), ქალთა მსოფლიოს ჩემპიონი ანა უშენინა (უკრაინა), ასევე, მაღალი რეიტინგის მქონე დიდოსტატები - მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2861), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2810), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2802), თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2793), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2780), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2781), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2769), ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი, 2758), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2771), გატა კამსკი (აშშ, 2740), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2766), ვან ჰაო (ჩინეთი, 2752) და სხვები.

ქართველთაგან მსოფლიოს თასზე მოხვედრის შანსი, ჯობავას გარდა,



სხვა მოჭადრაკეებსაც შეუძლიათ, თუ წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე 23 ვაკანტური ადგილიდან ერთ-ერთს დაიკავებენ.

**ვაჟა დანელია**

# ისევ წარუმატებლად

გასულ უქმეებზე ერევანში სომხეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის - ანდრანიკ მარგარიანის მემორიალში, რომელშიც 10 მოჭადრაკე მონაწილეობს წრიული სისტემით, ორი ტურის პარტიები გათამაშდა. სამწუხაროდ, საერთაშორისო ოსტატებმა - **დავით ბენიძემ** და **შოთა აზალაძემ** ვერაფრით გამოიჩინეს თავი და განვლილ ორ ტურში მხოლოდ ნახევარი ქულა მოიპოვეს: მე-6 ტურში აზალაძე ანდრეი ბორიშპოლეცს (უკრაინა) დაუზავდა, გუშინ კი თეთრი ფიგურებით კარენ გრიგორიანთან (სომხეთი) დამარცხდა, დავით ბენიძემ შესაბამისად, ალექსეი გოგანოვთან (რუსეთი) და ბარიშპოლეცთან წააგო.

დანარჩენი პარტიები კი ასე დამთავრდა:

**VI ტური.** ლევონ ბაბუჯიანი (სომხეთი) - შტეფან ჟილკა (ჩეხეთი) 1:0, მარტინ კრავციჟი (უკრაინა) - ტიგრან ჰარუთიუნიანი (სომხეთი) 1:0, კარენ გრიგორიანი (სომხეთი) - ჰოვანეს გაბუზიანი (სომხეთი) 0,5:0,5. **VII ტური.** გაბუზიანი - ბაბუჯიანი 1:0, ჰარუთიუნიანი - გოგანოვი 0:1, ჟილკა - კრავციჟი 0,5:0,5.

შვიდი ტურის შემდეგ: კრავციჟი - 5,5, გრიგორიანი, გოგანოვი - 5-5, ბარიშპოლეცი - 4, გაბუზიანი, ბაბუჯიანი - 3-3, აზალაძე, ჰარუთიუნიანი, ბენიძე - 2,5-2,5, ჟილკა - 2 ქულა.

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: ბაბუჯიანი - კრავციჟი, გოგანოვი - ჟილკა, ბარიშპოლეცი - ჰარუთიუნიანი, გრიგორიანი - ბენიძე, გაბუზიანი - აზალაძე.

**ვაჟა დანელია**




# წინ, უკან გახედვით...

ახალი, 2013 წელი ქართულ სპორტშიც დიდი იმედებით დაიწყო. შარშანდელმა შედეგებმა ბევრ რამეზე დაგვაფიქრა. ერთ და ორ პრობლემას როგორმე კი მოევლებოდა, მაგრამ ახლა აღარავის ეეჭვება, რომ გასატარებელია კომპლექსური, რადიკალური ცვლილებები. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მზადყოფნა ამ ცვლილებებისთვის აშკარად გამოიკვეთა თუნდაც იმ ნაბიჯებით, რაც ამ სამინისტროში გადაიდგა ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ.

მაინც, რა იყო მთავარი? ბევრი რამ, მაგრამ უპირველესად სპორტის სფეროს დეპოლიტიზაციამ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ძველი შეხედულებების შეცვლა ადვილი სულაც არ იყო, მავანთათვის ამიტომ მოჩანდა თითქოს ზოგიერთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ფორმის და არა შინაარსის შეცვლით. მერე და მერე ვნებები დაცხრა და ფაქტობრივად პირველმა დიდმა გამოცდამ - სპორტულ ფედერაციებში დემოკრატიულმა არჩევნებმა საბოლოო ჯამში მაინც წარმატებით ჩაიარა. სხვა საქმეა, შემდეგ როგორ წარიმართება მუშაობა თვით ფედერაციებში. ამას დრო გამოაჩენს.

არ შეიძლება წინ გადადგმულ ნაბიჯად არ ჩაითვალოს სპორტის აკადემიის აღსადგენად გაწეული, თამამად ვიტყოდით, ძალზე ენერგიული შრომა. კადრები თუ არ გვეყოლება, ქართულ სპორტს არც მომავალი ექნება. თუმცა, ისიც პირდაპირ ვთქვათ, რომ ხსენებული სასწავლებლის დახურვით შექმნილი ვაკუუმი ძნელი დასაძლევი იქნება კარგა ხანს და გარკვეულ პერიოდში ქართული სპორტის, ზოგადად ქვეყნისთვის სპორტის სოციალურ ფუნქციაზეც უარყოფითად აისახება.

გადავხედოთ რა ხდება საერთო მიზნებისთვის შიდა სპორტული სამყაროს ინტერესების გასაერთიანებლად. პირველი ნაბიჯები აქაც გადაიდგა, გასაკეთებელი თუმცა ბევრია - უპირველესად ამ სფეროში მმართველობის ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, ისევე როგორც ევროსტრუქტურებში ინტეგრაციისთვის უფრო ქმედითი ნაბიჯების გადასადგმელად. არ შეიძლება არ გვახარებდეს, რომ ოლიმპიური სპორტის განვითარების და სპორტის საყოველთაო ხელმისაწვდომობის ის მოდელი, რომელიც აპრობირებულია ევროპის ქვეყნებში ჩვენთან კი, მიუხედავად ენთუზიასტთა დიდი მცდელობისა, ადრე ვერ ჰპოვა სათანადო გასაქანი, უკვე რეალიზაციის რელსებზეა შემდგარი.

დიახ, ქართულმა სპორტმა წინ უნდა იაროს, მაგრამ უკანაც უნდა ვიხედებოდეთ, რომ შეცდომები არ განმეორდეს. დღეს მეტი შეგვიძლია და მეტიც მოგვეთხოვება!

● შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** ამ დღეებში წერდით, რომ 1973 წელს საქართველოს დინამოელთა ნაკრებმა გუნდმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა საკლუბო თასი. მაინტერესებს ვინ გამოდიოდა ამ გუნდის შემადგენლობაში?

**გიგა ლომიძე**
თბილისი

**პასუხი:** თქვენ მიერ ხსენებულ ასპარეზობაში გუნდმა წარმატებას მიაღწია მწვრთნელ გურამ დათიაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც სულ ახლახან გარდაიცვალა. გუნდი მართლაც შესანიშნავი ფალავნებით იყო დაკომპლექტებული. აქვე გთავაზობთ ჩემპიონთა შემადგენლობის ფოტოს, რომელიც „ლელოს" არქივშია შემორჩენილი.

**მარცხნიდან:** სხედან - ჯემალ მეგრელიშვილი, თეიმურაზ ლეჟავა, ბაქსანა ლეკვეიშვილი, თამაზ კიკნაძე, ვახტანგ ბლაგიძე; დგანან - მიხეილ სალაძე, გურამ დათიაშვილი, ვახტანგ ბუხნიკაშვილი, თემურ ქურციკიძე, ავთანდილ მაისურაძე, ესტატე გოგლიჩიძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

### ფარიკაობა



მარცხნიდან: ბექა ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი, სანდრო ბაზაძე

# მუშკეტერებმა ხმლები იშიშვლეს

წლეულს მარტის მიწურულს კადეტი და ახალგაზრდა მოფარიკავეები ხორვატიაში მსოფლიოს პირველობაზე გამოვლენ, მანამდე კი 25 თებერვლიდან ბუდაპეშტში ევროპის პირველობაზე მოსინჯავენ ძალებს.

ამ შეჯიბრებებისთვის მონდომებით ემზადებიან ქართველი მოფარიკავეებიც. მსოფლიო და ევროპის თასების ეტაპების მრავალგზის გამარჯვებულმა და პრიზიორმა **სანდრო ბაზაძემ** იტალიურ უდინეში მსოფლიოს თასის ეტაპზე იასპარეზა. ქვეჯგუფიდან პლეი ოფში 21-ე ნომრით გავიდა, იქ პირველი შეხვედრა რუს დანიილ ბუბენჩიკოვს მოუგო - 15:9, შემდეგ გერმანელ მაქსიმილიან კინდლერს სძლია - 15:12, მესამე წრეში კი უნგრელ მარტინ შინგერთან დათმო პაექრობა - 12:15 და საბოლოოდ მე-13 ადგილს დასჯერდა, თუმცა ეს შედეგიც საკმარისი აღმოჩნდა თანატოლთა შორის მსოფლიო რეიტინგში მე-7 ადგილზე გადაენაცვლა.

უდინეს ახალგაზრდა მოხმალავეთა ტურნირი გერმანელმა რიხარდ ჰუბერმა მოიგო, რომელმაც ფინალში თანამემამულე რობინ შროედერს აჯობა. ბრინჯაოს მედლები ანდრაშ ზატმარსა (უნგრეთი) და მაქსენს ლამბერტს (საფრანგეთი) ერგოთ. იტალიაშივე გაიმართა რაპირით მოფარიკავეთა შეჯიბრება, რომელშიც თბილისელმა **ლუკა ღლანიძემ** პლეი ოფის პირველივე ორთაბრძოლა ალესანდრ ბერტოლაზისთან წააგო და 37-ე ადგილი ხვდა.

19 იანვარს სანდრო ბაზაძე პარიზთან ახლოს მდებარე დურდანს ესტუმრება და **მიხეილ მარდალეიშვილთან** ერთად მსოფლიოს თასის ეტაპზე გამოვა. მომდევნო მსგავს შეჯიბრებაზე ქართველი მოხმალავენი თანატოლებს 16 თებერვალს უნგრეთის დედაქალაქში გაუწევენ მეტოქეობას.

მსოფლიო და ევროპის პირველობებისთვის ემზადება მოხმალავე **საბა სულამანიძეც**, რომელიც უნგრეთის დედაქალაქში კადეტებსა და ახალგაზრდებშიც გამოვა (მსაჯად არის მიწვეული საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი **დავით სახვაძე**). გასულ უქმეებზე იგი ლონდონში კადეტთა ევროპის თასის ეტაპზე ცდიდა ძალებს, სადაც კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნის 76 წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. ჩვენებურმა მერვედფინალამდე დაუმარცხებლად განვლო გზა, იქ კი ფრანგ მეტოქეს დანებდა 14:15 და მე-16 ადგილზე გავიდა. 15 წლის **ნიკა შენგელიამ** ლონდონში 48-ე ადგილი დაიკავა.

ოთხი იანვრიდან კიევში იმყოფება და უკრაინის ნაკრებთან ერთად ემზადება **ბექა ბაზაძე**, რომელიც 18 იანვარს ბულგარულ პლოვდივში მოხმალავეთა გრანპრიზე იასპარეზებს.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

### ჩოგბურთი

# სოფიო ქვაცაბაია ფინალშია

ანთალიაში დღეს დამთავრდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომლის წყვილთა ფინალში ითამაშებს თბილისელი **სოფიო ქვაცაბაია.** ჩვენებურმა უკრაინელ მარიანა ზაკარლიუკთან ერთად (მე-4 ნომრად არიან განთესილი) სტარტზე ანგელინა კლიმოვას (გერმანია) და იოანა პოსირკას (რუმინეთი) აჯობა - 6:2, 6:2, მერე მარით ბოონსტრა (ჰოლანდია) და ტაისია ზაკარლიუკი (უკრაინა) ჩამოიშორა გზიდან - 7:6, 7:6, ნახევარფინალში პირველ ნომრად განთესილი რეკა-ლუკა იანის (უნგრეთი) და ისაბელა შინიკოვას (ბულგარეთი) დუეტი დაამარცხა - 4:6, 6:4, 13:11. გადამწყვეტ პაექრობაში ილინე ბოიეკენსისა და ისალინ ბონავენტურეს (ორივე-ბელგია) მძლეველ (1:6, 6:3, 12:10) მეორე ნომრებს - ჩიაკი ოკადაუეს (იაპონია) და მელის სეზერს (თურქეთი) დაუპირისპირდებიან.

ერთეულთა თანრიგის ფინალში რეკა-ლუკა იანიმ მარით ბოონსტრა დაამარცხა - 6:1, 1:6, 7:6.

გუშინ ანთალიაშივე დაიწყო 10.000-იანი ქალთა საერთაშორისო ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი, რომლის ძირითად ბადეში ისევ ითამაშებს სოფიო ქვაცაბაია, რომელიც, სავარაუდოდ, მეხუთე ნომრად განითესება.

**ვაჟა დანელია**

### თარიღები და მოვლენები

## 14 - 15 იანვარი

**14. 1965 წ.** დაიბადა **სპარტაკ ქარსაულიძე** - თავისუფალი ჭიდაობა.

**14. 1970 წ.** პრაღაში სსრკ ვაჟ ხელბურთელთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ბრწყინვალედ ითამაშა თბილისელმა **ჯემალ ცერცვაძემ,** 20:16 დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი - ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გუნდი.

**14. 1993 წ.** დაფუძნდა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია.

**15. 1931 წ.** დაიბადა **ოთარ ხაზარაძე** - ალპინიზმი.

**15. 1939 წ.** დაიბადა **ავერი მატკავა** - ნიჩბოსნობა.

**15. 2012 წ.** კარიერაში ჩოგბურთელმა **ანა ტატიშვილმა** პირველად მოიგო მატჩი ავსტრალიის ღია პირველობაზე.

### ქართველები NBA-ში




ატლანტა-იუტა. მეოთხე პერიოდის მე-15 წამზე ფაჩულიამ ეს ტყორცნა გამოიყენა და ფეივორსს წესების დარღვევა აიძულა

# იუ-ტაში

## შემოტრიალება ზაზასეულად და თოკოს 100 პროცენტი

თბილისში შაბათი რომ თენდებოდა „ატლანტა ჰოქსმა" „იუტა ჯაზს" უმასპინძლა და მარცხს სასწაულებრივ გადაურჩა - 103:95 ჯორჯიელთა სასარგებლოდ. მეორე დღეს **ზაზა ფაჩულიას** თანაგუნდელები აღმოსავლეთის კონფერენციის ბოლოადგილოსან „ვაშინგტონ უიზარდსს" ესტუმრნენ და 83:93 დამარცხდნენ.

ზემოთ დავწერეთ მარცხს სასწაულებრივ გადაურჩნენო. მართლაც, მესამე პერიოდის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე იუტელები 75:60-ს იგებდნენ. თან იმდენად კარგად გამოიყურებოდნენ, ძნელი წარმოსადგენი იყო, უპირატესობა დაეთმოთ, თუმცა ახალგაზრდა **ჯენკინსის** სამქულიანი თამაშის შემოტრიალების საწინდარი გახდა. ამ საქმეში ლომის წილი დაიდო ფაჩულიამ, რომელმაც მეოთხე პერიოდის საწყის ორ წუთში 6 ქულა ჩააგდო და სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა - 76:80. ამის შემდეგ ქართველმა ცენტრმა ორი ჯარიმა მიიღო (სულ ხუთი მოუგროვდა, NBA-ში მოედანს 6 ფოლის შემდეგ ტოვებენ) და მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** სათადარიგოთა შორის გაამწესა. ჯორჯიელებმა მის გარეშეც მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე.

მეორე საღამოს „ვაშინგტონთან" მარცხის გამო „ატლანტას" აღმოსავლეთის კონფერენციის ცხრილში **თორნიკე შენგელიას** „ბრუკლინ ნეთსი" წამოეწია. ორივეს 21-21 გამარჯვება და 15-15 მარცხი აქვს. ისინი მეოთხე-მეხუთე ადგილებს ინაწილებენ.

ბოლო მატჩი ბრუკლინელებმა „ფინიქსთან" ჩაატარეს და 20 ქულის სხვაობით გაიმარჯვეს. შეგახსენებთ, რომ ფინიქსელთა რიგებში პოლონელი **მარცინ გორტატი** (9 ქულა, 8 მოხსნა) და სლოვენიელი **გორან დრაგიჩი** (12 ქულა, 3 პასი) თამაშობენ. საქართველოს ნაკრებს ევრობასკეტზე სწორედ პოლონეთსა და სლოვენიასთან მოუწევს დაპირისპირება. ისიც გეცოდინებათ, რომ „ფინიქსის" სამწვრთნელო შტაბშია ქართველთა დამრიგებელი **იგორ კოკოშკოვი,** რომელმაც შენგელია საქმეში ნახა. ახალგაზრდა ქართველმა თავდამსხმელმა 2 წუთში მეტოქის კალათს ორჯერ შეუტია და ასპროცენტიანი შედეგი უჩვენა - 4 ქულა.

**ატლანტა-იუტა 103:95**

**ზაზა ფაჩულია:** 20 წუთი, 12 ქულა (7-დან 5 ორქულიანი, 3-დან 2 საჯარიმო), 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა, 5 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 3:54 | 16-14 | ჰორფორდი შეცვალა |
| **II პერიოდი** | | |
| 11:04 | 25-24 | ფოლი: 1 |
| 10:32 | 27-26 | ორქულიანი: 2ქ |
| 9:45 | 29-28 | პასი: 1 (უილიამსი 2ქ) |
| 8:11 | 29-31 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 6:20 | 35-35 | ჰორფორდმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | | |
| 6:52 | 61-51 | კორვერი შეცვალა |
| 6:28 | 63-53 | ორქულიანი: 4ქ |
| 5:09 | 67-56 | ფოლი: 2 |
| 4:46 | 68-56 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 4:05 | 70-56 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 4:03 | 70-58 | ორქულიანი: 6ქ |
| 1:20 | 75-63 | ჩაჭრა: 1 (ჯეფერსონს აართვა) |
| 0:04 | 76-68 | ფოლი: 3 |
| 0:04 | 76-68 | შეცდომა: 1 |
| **IV პერიოდი** | | |
| 11:45 | 76-70 | ორქულიანი: 8ქ |
| 11:45 | 76-70 | საჯარიმო: არაზუსტი |
| 11:19 | 76-70 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 11:04 | 76-70 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 11:04 | 76-72 | ორქულიანი: 10ქ |
| 9:59 | 80-76 | საჯარიმოები: 2/2 (12ქ) |
| 9:30 | 80-76 | ფოლი: 4 |
| 8:40 | 82-76 | ფოლი: 5 |
| 8:40 | 82-76 | ჰორფორდმა შეცვალა |

**ვაშინგტონი-ატლანტა 93:83**

**ზაზა ფაჩულია:** 17 წუთი, 5 ქულა, 6 მოხსნა, 1 შეცდომა, 2 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 6:37 | ჰარისი შეცვალა | 9-14 |
| 2:47 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 | 15-21 |
| 2:41 | ფოლი: 1 | 15-21 |
| 2:41 | შეცდომა: 1 | 15-21 |
| 2:03 | ორქულიანი: არაზუსტი | 15-22 |
| **III პერიოდი** | | |
| 10:10 | ჰარისი შეცვალა | 50-57 |
| 10:10 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 | 50-57 |
| 9:27 | ორქულიანი: 2ქ | 52-58 |
| 8:00 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 | 52-60 |
| 7:28 | ფოლი: 2 | 52-61 |
| 6:50 | მოხსნა: შეტ-0, დაც-4 | 54-61 |
| 5:28 | მოხსნა: შეტ-0, დაც-5 | 56-65 |
| 5:07 | საჯარიმოები: 2/1 (3ქ) | 57-65 |
| 4:13 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 | 57-68 |
| 3:38 | ორქულიანი: 5ქ | 61-68 |
| **IV პერიოდი** | | |
| 11:40 | ორქულიანი: არაზუსტი | 66-73 |
| 11:19 | ჯენკინსმა შეცვალა | 66-73 |

**ბრუკლინი-ფინიქსი 99:79**

**თორნიკე შენგელია:** 2 წუთი, 4ქ (2-დან 2 ორქულიანი), 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა.

| | | |
|---|---|---|
| **IV პერიოდი** | | |
| 2:06 | 75-93 | ჯონსონი შეცვალა |
| 2:01 | 75-93 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 1:28 | 77-95 | ორქულიანი: 2ქ |
| 1:17 | 77-95 | ჩაჭრა: 1 (მარშალს აართვა) |
| 1:14 | 77-97 | ორქულიანი: 4ქ |

**ვაჟა სიმონიშვილი**

### სუმო. ჰაცუ ბაშო. 13-27 იანვარი

# დღეს ქართული დუელია



13 იანვარს, ტოკიოში წლის პირველი (ექვსიდან) ბაშო დაიწყო. პირველი დღე წარმატებული გამოდგა ქართველი სუმოისტებისათვის **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ) იორიკირის ილეთით ოსი **არანი** დაამარცხა, ხოლო **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი) იკიოის** მოუგო. მძიმეწონოსანმა გაგამარუმ მისთვის მოუხერხებელი პოზიციიდან შეძლო თავის დაღწევა, კონტრშეტევაზე გადავიდა და მუცლით მოისროლა ოსი ფალავანი დოჰიოდან. ტოჩინოშინს კი სულ არ გასჭირვებია, უმალ ჩაიგდო მეტოქის მავაში ხელში და მალევე გააკეთა ილეთი მარცხენა ხელით.

დღეს ქართველთა დუელია: ტოჩინოშინი გაგამარუს წინააღმდეგ. ეს თანამემამულეთა მეხუთე დაპირისპირება იქნება. ანგარიში ჯერჯერობით 2:2-ია.

**I დღე**

**(მნიშვნელოვანი ბრძოლები):** ჰაკუჰო-შოჰოზანი (ოშიტაოში), ჰარუმაფუჯი-ტოჩიოძანი (იორიკირი), კისენოსატო-ამინიშიკი (ოშიტაოში), კაკურიუ-მიოგირიუ (შიტატედაშინაგე), კოტოოშუ-ტოიონოშიმა (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-კიოკუტენჰო (იორიკირი), გოეიდო-კაისეი (სუკუინაგე), ბარუტო-ტოიოჰიბიკი (უვატენაგე), **გაგამარუ**-არანი (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-იკიოი (იორიკირი).

**II დღე**

**(მნიშვნელოვანი წყვილები):** ჰარუმაფუჯი-მიოგირიუ, ჰაკუჰო-ამინიშიკი, კაკურიუ-ტოჩიოძანი, კოტოოშუ-შოჰოზანი, ბარუტო-კოტოშოგიკუ, კისენოსატო-კიოკუტენჰო, გოეიდო-ტოიონოშიმა, კაისეი-ტოიოჰიბიკი, არანი-იკიოი, **გაგამარუ-ტოჩინოშინი.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ლეგიონერი

**იტალიის ჩემპიონატი**

**კანტუ-ვირტუსი 79:64**

**მანუჩარ მარკოიშვილი (კანტუ):** 24 წუთი, 11 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი.

**ესპანეთის ჩემპიონატი**

**უნიკახა-კახასოლი 70:81**

**ბექა ბურჯანაძე (კახასოლი):** 3 წუთი, 3 ქულა.

**უკრაინის ჩემპიონატი**

**ბუდიველნიკი-ხიმიკი 89:67**

**გიორგი ცინცაძე (ბუდიველნიკი):** 24 წუთი, 11 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლეგიონერები

# ჰაინეკენზე ქართველები პლეი ოფში ითამაშებენ

**ევროთასების გათამაშებაში წარმატებით ასპარეზობენ ქართველ მორაგბეთა ფრანგული კლუბები. ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, ყველაზე პრესტიჟულ „ჰაინეკენის თასზე" პლეი ოფის საგზური ჩვენებურთა ორმა კლუბმა, „კლერმონმა" და „ტულონმა" მოიპოვა.**

ერთადერთი „ქართული გუნდი", რომელიც ტურნირის დასაწყისიდანვე უშანსოდ იყო, საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგია". ამ გუნდმა ყველა თამაში წააგო და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა. მეხუთე ტურში ედინბურგელები შინ დამარცხდნენ ირლანდიურ „მანსტერთან" - 17:26.

ამ გამარჯვებით სტუმართა გუნდმა პლეი ოფში გასვლის შანსი შეინარჩუნა. ბასილაია ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს.

ამავე ჯგუფში პრინციპული შეხვედრა გაიმართა პარიზში, სადაც გათამაშების ლიდერმა, ინგლისურმა „სარასენზმა" მასპინძელი „მეტრო რასინგი" დაძაბულ და საკმაოდ საინტერესო ბრძოლაში 37:28 დაამარცხა.

ბოლოსწინა ტურში მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსი დაკარგა D ჯგუფში მოასპარეზე **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა". ჩვენებურის გუნდმა სტუმრად ითამაშა უშუალო კონკურენტ ინგლისურ „ნორსჰემპთონთან" და 12:18 დამარცხდა.

ბოლო ტურში კასტრელები შინ ეთამაშებიან ჯგუფის ლიდერს, ირლანდიურ „ალსტერს", თუმცა პრემიალური ქულით გამარჯვების შემთხვევაში 18 ქულას დააგროვებენ და მაქსიმუმ მეორე ადგილს დაიკავებენ, რაც პლეი ოფში მოსახვედრად საკმარისი არ იქნება. „ნორსჰემპთონთან" დაპირისპირებაში ფეიქრიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა და არბიტრმა 36-ე წუთზე სინბინში გაუშვა.

ამავე ჯგუფში „ალსტერმა" შინ მოუგო აუტსაიდერს, შოტლანდიურ „გლაზგოს" - 23:6.

მეოთხედფინალის საგზური ერთი ტურით ადრე გაინაღდა **დავით ზირაქაშვილისა და ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონმა". ჩვენებურთა ეს გუნდი დაუმარცხებლად ასპარეზობს და ჯგუფში პირველი ადგილი არავის დაუთმო. „ვულკანებმა" ბოლოსწინა ტურში ინგლისური „ექსეტერი" გაანადგურეს - 46:3. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 47-ე წუთზე შეცვალეს, კოლელიშვილი განაცხადში არ იყო.

კლერმონელებს 23 ქულა დაუგროვდათ და უახლოეს მდევარ ირლანდიურ „ლენსტერს" რვა ქულით უსწრებენ. „ჰაინეკენის თასის" ამჟამინდელმა მფლობელებმა თავის მხრივ შინ მოუგეს აუტსაიდერს, უელსურ „ჰლანეჰლის" - 33:14.

ასევე დაუმარცხებლად ასპარეზობს და პლეი ოფის საგზური ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა". ჩვენებურთა ამ გუნდმა ბოლოსწინა ტურში შინ მოუგო უელსურ „კარდიფს" - 45:25. თამაში საკმაოდ უხვლელოიანი გამოდგა. მასპინძელთა შვიდ ლელოს კარდიფელებმა ოთხით უპასუხეს.

ქუბრიაშვილი თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო, ჩილაჩავა და მიქაუტაძე განაცხადში არ იყვნენ.

ამავე ჯგუფში პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიე", რომელმაც სტუმრად შეძლო ინგლისური „სეილ შარქსის" დამარცხება - 27:6. მონპელიელებს ახლა 18 ქულა აქვთ და მეორეადგილოსნებს შორის საუკეთესო მაჩვენებელი აქვთ. შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალში ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი გადის.

ბოლო ტურში „მონპელიე" შინ მიიღებს „ტულონს" და უბრალო, პრემიალური ქულის გარეშე მოგებაც საკმარისი იქნება საიმისოდ, რომ პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვოს.

„სეილ შარქსთან" დაპირისპირებაში გორგოძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 72-ე წუთზე შეცვალეს, ნარიაშვილი თამაშში 46-ე წუთიდან ჩაერთო, ჟღენტი ტრავმირებულია.


ბურთით ანტონ ფეიქრიშვილი

## ჰაინეკენის თასი

### A ჯგუფი

მეტრო რასინგი-სარასენზი 28:37, ედინბურგი-მანსტერი 17:26

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სარასენზი - 18 ქულა, 2. მანსტერი - 15, 3. მეტრო რასინგი - 12, 4. ედინბურგი - 0.

**VI ტური**

მანსტერი-მეტრო რასინგი, სარასენზი-ედინბურგი

### B ჯგუფი

ტულუზი-ბენეტონი 35:14, ოსფრიზი-ლესტერ ტაიგერზი 15:15

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 18 ქულა, 2. ლესტერ ტაიგერზი - 16, 3. ოსფრიზი - 11, 4. ბენეტონი - 1.

**VI ტური**

ლენსტერი-ტულუზი, ბენეტონი-ოსფრიზი

### C ჯგუფი

ზებრე-ბიარიცი 6:32, ჰარლიქვინზი-ქონოთი 47:8

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჰარლიქვინზი - 24 ქულა, 2. ბიარიცი - 14, 3. ქონოთი - 8, 4. ზებრე - 0.

**VI ტური**

ბიარიცი-ჰარლიქვინზი, ქონოთი-ზებრე

### D ჯგუფი

ნორსჰემპთონი-კასტრი 18:12, ალსტერი-გლაზგო 23:6

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ალსტერი - 19 ქულა, 2. ნორსჰემპთონი - 14, 3. კასტრი - 13, 4. გლაზგო - 2.

**VI ტური**

გლაზგო-ნორსჰემპთონი, კასტრი-ალსტერი

### E ჯგუფი

ლენსტერი-ჰლანეჰლი 33:14, კლერმონი-ექსტერი 46:3

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 23 ქულა, 2. ლენსტერი - 15, 3. ექსეტერი - 9, 4. ჰლანეჰლი - 2.

**VI ტური**

ჰლანეჰლი-კლერმონი, ექსეტერი-ლენსტერი

### F ჯგუფი

სეილ შარქსი-მონპელიე 6:27, ტულონი-კარდიფი 45:25

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 23 ქულა, 2. მონპელიე - 18, 3. სეილ შარქსი - 4, 4. კარდიფი - 1.

**VI ტური**

მონპელიე-ტულონი, კარდიფი-სეილ შარქსი

„ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან პრაქტიკულად უკვე გაინაღდა პლეი ოფში ადგილი E ჯგუფში მოასპარეზე **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსემ". პარიზელებმა, მართალია, სტუმრად წააგეს უშუალო კონკურენტ „გრენობლთან", მაგრამ მეტოქეს პრემიალური ქულის აღების საშუალება არ მისცეს და სხვაობა ამ გუნდებს შორის ახლა ხუთი ქულაა. ჟვანია ძირითად შემადგენლობაში იყო და 59-ე წუთზე შეცვალეს.

ამავე ჯგუფში ინგლისურმა „ლონდონ ველშმა" შინ დაამარცხა დიდი ანგარიშით იტალიური „პრატო" - 62:5.

ბოლოსწინა ტურში დამარცხდა A ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდი. **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანმა" შინ უმასპინძლა ინგლისურ "ლონდონ აირიშს" და 14:20 წააგო. ამ წარუმატებლობის შემდეგ მარსანელებმა პლეი ოფში მოხვედრის ყველანაირი შანსი დაკარგეს. მჭედლიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

ჯგუფის აუტსაიდერი **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდო" კი, ასევე საკუთარ მოედანზე დამარცხდა ინგლისურ „გლოსტერთან" - 26:31. ნავროზაშვილი განაცხადში არ იყო.

## ემლინ ჩელენჯ კაპი

### A ჯგუფი

მონ დე მარსანი-ლონდონ აირიში 14:20, ბორდო-გლოსტერი 26:31

**სატურნირო მდგომარეობა**

1. გლოსტერი - 22 ქულა, 2. ლონდინ აირიში - 15, 3. მონ დე მარსანი - 10, 4. ბორდო - 1.

**VI ტური**

გლოსტერი-მონ დე მარსანი, ლონდონ აირიში-ბორდო

### B ჯგუფი

როვიგო-ვორსტერი 17:80, გერნიკა-პერპინიანი 15:50

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვორსტერი - 20 ქულა, 2. პერპინიანი - 20, 3. გერნიკა - 8, 4. როვიგო - 1.

**VI ტური**

პერპინიანი-როვიგო, ვორსტერი-გერნიკა

### C ჯგუფი

ბაიონი-ნიუპორტი 25:22, ვოსფსი-მოლიანო 71:7

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვოსფსი - 21 ქულა, 2. ბაიონი - 15, 3. ნიუპორტი - 12, 4. მოლიანო - 0.

**VI ტური**

ნიუპორტი-ვოსფსი, მოლიანო-ბაიონი

### D ჯგუფი

კალვიზანო-ბუქარესტი 34:20, ბასი-აჟენი 19:16

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბასი - 24 ქულა, 2. აჟენი - 13, 3. ბუქარესტი - 9, 4. კალვიზანო - 7.

**VI ტური**

აჟენი-კალვიზანო, ბასი-ბუქარესტი

### E ჯგუფი

ლონდონ ველში-პრატო 62:5, გრენობლი-სტად ფრანსე 15:9

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტად ფრანსე - 20 ქულა, 2. გრენობლი - 15, 3. ლონდონ ველში - 9, 4. პრატო - 2.

**VI ტური**

პრატო-გრენობლი, სტად ფრანსე-ლონდონ ველში

■ ■ ■

ამასობაში განახლდა შეჯიბრება საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში, სადაც ლიდერთა შორის ქართველ მორაგბეთა სულ უფრო ცოტა გუნდი ინარჩუნებს ადგილს. საუკეთესო მაჩვენებელი „ქართული გუნდებიდან" **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკს" აქვს, რომელმაც მე-17 ტურში სტუმრად დაამარცხა „ექსი" 24:30 და ახლა 53 ქულით მეორე ადგილზეა.

დათუნაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნაცარაშვილი თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო და 19 წუთში ლელო გაიტანა, ასეიშვილმა მოედანი 58-ე წუთზე დატოვა.

„ორიაკს" ოთხი ქულით ჩამორჩება და მე-4 ადგილზეა **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივი", რომელმაც მოულოდნელად შინ წააგო „კარკასონთან" - 16:22. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში ბრიველები საკუთარ მოედანზე პირველად დამარცხდნენ.

ქართველი მორაგბეები ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. ხინჩაგიშვილმა და შველიძემ სრულად ითამაშეს, ნატრიაშვილი 73-ე წუთზე შეცვალეს.

ისევ დამარცხდა **გურამ კავთიძის** „ლიონი", რომელსაც სეზონის წინ საკმაოდ დიდი ამბიციები ჰქონდა. ლიონელები, ამჯერად, სტუმრად ვერას გახდნენ ერთ-ერთ აუტსაიდერთან, **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიესთან" - 16:20. შეყლაშვილმა სრულად ითამაშა, კავთიძე განაცხადში არ იყო.

საკუთარ მოედანზე დამარცხდა გათამაშების ლიდერ „ოიონაქსთან" **ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, გიორგი კობერიძის, გიორგი თეთრაშვილისა** და **ვახტანგ ახობაძის** „ალბი" - 11:13. თოდუამ სრულად ითამაშა, ახობაძე თამაშში 62-ე წუთიდან ჩაერთო, მაისურაძე ცხრა წუთის შემდეგ შეცვალეს, თეთრაშვილი და კობერიძე განაცხადში არ იყვნენ.

**შალვა სუთიაშვილისა** და **დავით აშვეთიას** „მასი", რომელიც 18 ქულით ბოლო ადგილზეა, შინ დაუზავდა „ოშს" - 9:9. სუთიაშვილი თამაშში 56-ე წუთიდან ჩაერთო, აშვეთია ერთი წუთის შემდეგ შეცვალეს.

### II დივიზიონი

**XVII ტური**

მასი-ოში 9:9, ექსი-ორიაკი 24:30, დაქსი-ლა როშელი 15:25, ნარბონი-კოლომიე 22:19, ბეზიე-ლიონი 20:16, ბრივი-კარკასონი 16:22, ალბი-ოიონაქსი 11:13.

**სატურნირო მდგოამრეობა**

1. ოინაქსი - 69 ქულა, 2. ორიაკი - 53, 3. ლა როშელი - 50, 4. პო - 49, 5. ბრივი - 48, 6. კარკასონი - 48, 7. ტარბი - 46, 8. ლიონი - 42, 9. ალბი - 38, 10. ნარბონი - 35, 11. კოლომიე - 34, 12. ოში - 31, 13. ექსი - 25, 14. დაქსი - 24, 15. ბეზიე - 21, 16. მასი - 18.

**XVIII ტური**

მასი-კარკასონი, ლა როშელი-ნარბონი, ოიონაქსი-ტარბი, დაქსი-ბეზიე, ორიაკი-კოლომიე, ოში-ექსი, ალბი-პო, ლიონი-ბრივი.

**ბესიკ ჯანგავაძე**


გიორგი ნაცარაშვილი (მარჯვნივ)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი

# სერენა აზარენკამ უნდა შეაჩეროს

ავსტრალიის ღია პირველობის წინ, ქალთა ბადეში მთავარ ფავორიტად ისევ **სერენა უილიამსი** მოიაზრება. ამერიკელს აქ ხუთჯერ გაუმარჯვია - თანაც ტიტული მოპოვებული აქვს როგორც მთავარი ფავორიტის რანგში, ასევე რეიტინგის დაბალ ადგილზე მყოფს. ამჯერად, ბუკმეიკერები მას ყველაზე დიდ შანსს აძლევენ, ვისაც კი ოდესმე ჰქონია, არადა, სერენა სულაც არ იმყოფება რეიტინგის პირველ პოზიციაზე. რა თქმა უნდა, ამერიკელმა სრულად დაიმსახურა მთავარი ფავორიტის სტატუსი, თუნდაც შარშანდელი წარმატებებისთვის. გასულ წელს უილიამსმა მოიგო ოთხი დიდი ტურნირი - უიმბლდონი, ოლიმპიადა, აშშ-ის ღია პირველობა და WTA-ის შემაჯამებელი ტურნირი. და ახლა ის კლასიფიკაციის უმაღლეს საფეხურზე დაბრუნებასთან ძალიან ახლოსაა. წარმატების შემთხვევაში, სერენა გახდება ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი პირველი ნომერი ერთეულთა თანრიგში. ამჟამად რეკორდსმენი **კრის ევერტია**, რომელიც ბოლოს მსოფლიოს რეიტინგს სათავეში 1985 წლის 24 ნოემბერს ედგა 30 წლისა და 11 თვის ასაკში. სერენა კი უკვე 31 წლის გახლავთ.

სერენას მდგომარეობა კომფორტულია - მისთვის ფინალში გასვლაც საკმარისი იქნება კლასიფიკაციაში პირველობის გასანაღდებლად. ქალთა ბადის კენჭისყრას უნდა გაერკვია - სავარაუდოდ, ვინ გადაელობებოდა ამერიკელს ნახევარფინალში - **მარია შარაპოვა** თუ **ვიქტორია აზარენკა**. თუმცა, რა თქმა უნდა, ნახევარფინალამდე ნებისმიერი ჩოგბურთელისგან მოსალოდნელია საფრთხე, რადგან ბოლო წლებში, ქალთა ჩოგბურთის ლიდერები ისე სტაბილურები არ არიან, როგორც მამაკაცების ტურში.

მაგრამ მაინც, სერენას ყველაზე სახიფათო მეტოქეები უკვე ნახსენები შარაპოვა და აზარენკა არიან. თუ ოლიმპიადას გავიხსენებთ, ამერიკელმა იქ არც ერთს შანსი არ დაუტოვა. საბოლოოდ, შარაპოვამ ვერცხლი აიღო, აზარენკამ - ბრინჯაო. მაგრამ იქ უილიამსი ბადეში მარიას მხარეს რომ აღმოჩენილიყო, სავარაუდოდ, ვერცხლი ბელარუსს დარჩებოდა. ამჟამად კენჭისყრამ უილიამსი ბადის ზედა მხარეს გაუშვა - აზარენკასთან, ხოლო შარაპოვას ნახევარში **აგნიეშკა რადვანსკა** მოხვდა, პოლონელმა 2013 წელს ორი ტურნირის მოგება მოასწრო და შემთხვევით არ უკავია მეოთხე ადგილი, მაგრამ უილიამსის ფონზე ნამდვილ საჩუქრად მოჩანს.



მაგრამ თუ აზარენკას არ გაუმართლა ნახევარფინალში პოტენციური მეტოქის მხრივ, სამაგიეროდ, მის მეოთხედში აღმოჩნდა ყველაზე ნაკლებად სახიფათო მოწინააღმდეგე. როლან გაროსის ფინალისტი და აშშ-ის ღიას ნახევარფინალისტი **სარა ერანი** გასული წლის ბოლოს ველარ ბრწყინავდა და ეს სეზონიც არც ისე კარგად დაიწყო - ბრისბენსა და სიდნეიში ადრეულ ეტაპზე დამარცხდა შესაბამისად, **დანიელ ჰანტუხოვასთან** და **დომინიკა ციბულკოვასთან**. უილიამსის მეოთხედში აღმოჩნდა წლის პირველ ტურნირებში ჩავარდნილი **პეტრა კვიტოვა**; რადვანსკას მეოთხედფინალში შეიძლება შეხვდეს **ნა ლი**, შარაპოვას კი, შესაბამისად, **ანჟელიკ კერბერი** ერგო.

რაც შეეხება განთესვის ლიდერთა საწყის მატჩებს, აქაც განსხვავებული სიტუაციაა, თუმცა ტურნირის პირველ კვირას არც ერთ მათგანს სერიოზული გამოცდა არ ელოდება. აზარენკა მეორე წრეში შეიძლება შეხვდეს ნიჭიერ **კაროლინა პლიშკოვას**, მესამეში კი რადვანსკას, ოღონდ არა აგნიეშკას, არამედ **ურუსულას**, რომელმაც განთესვის 31-ე ნომერი მიიღო. სერენას მეტოქეებიდან, **იაროსლავა შვედოვას** გარდა, არავის გამოყოფა არ ღირს. აგნიეშკას პოტენციური მეტოქე 1/16 ფინალში - **მონა ბარტელია**, რომელიც ამ სეზონში კარგად გამოდის საშუალო დონის ტურნირებზე. თავდაპირველად, გერმანელი ოკლენდში გახდა ნახევარფინალისტი, გასულ კვირას კი ამავე სტადიაზე მიაღწია ჰობარტში. დაბოლოს, მარია შარაპოვას მესამე წრეში **ვენუს უილიამის** ემუქრება. რა თქმა უნდა, თავის უმცროს დასთან შედარებით, ის ძველებურად სახიფათო არ არის, მაგრამ ცალკე აღებული ტურნირისთვის ან მატჩისთვის სერიოზულად მოძაბადება შეუძლია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ავსტრალიის ღია პირველობა. ქალების ბადე

1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

აზარენკა (ბლრ, 1)
ნიკულესკუ (რუმ)
დანილიდუ (საბ)
პლიშკოვა (ჩეხ)
კუმხუმი (ტაილ)
არვიდსონი (შვედ)
ჰემპტონი (აშშ)
უ. რადვანსკა (პოლ, 31)
ლეპჩენკო (აშშ, 21)
ჰერცოგი (სლოვენ)
გარსია (საფ)
ვესნინი (რუს)
იოჰანსონი (საფ)
ამანმურადოვა (უზბ)
სოლერ-ესპინოსა (ესპ)
ვინჩი (იტა, 16)
ვოზნიაცკი (დან, 10)
ლისიცკი (გერ)
ჰლავაჩკოვა (ჩეხ)
ვეკიჩი (ხორ)
გავრილოვა (რუს)
დევისი (აშშ)
ცურენკო (უკრ)
პავლიუჩენკოვა (რუს, 24)
ჰსიე (ტაივ, 26)
არუაბარენა (ესპ)
კუზნეცოვა (რუს)
დომინგეს ლინო (ესპ)
პუტინცევა (ყაზ)
მაკჰეილი (აშშ)
სუარეს ნავარო (ესპ)
ერანი (იტა, 7)
ს. უილიამსი (აშშ, 3)
გალოვიტცი (რუმ)
რიბარიკოვა (სლოვაკ)
მუგურუსა (ესპ)
მორიტა (იაპ)
ტატიშვილი (საქ)
ბეკი (გერ)
შვედოვა (ყაზ, 28)
ვიკმაიერი (ბელ, 20)
ბაიდოშოვა (ავსტრა)
არნი (უნგ)
ჩეპელოვა (სლოვაკ)
მარინო (კან)
პენგი (ჩინ)
კინგი (აშშ)
კირილენკო (რუს, 14)
პეტროვა (რუს, 12)
დატე (იაპ)
პეერი (ისრ)
პანოვა (რუს)
ტორო-ფლორი (ესპ)
იოვანოვსკი (სერ)
ლუჩიჩი (ხორ)
საფაროვა (ჩეხ, 17)
სტივენსი (აშშ, 29)
ჰალეპი (რუმ)
მლადენოვიჩი (საფ)
ბაბოში (უნგ)
იუდინი (აშშ)
რობსონი (ბრიტ)
სკიავონე (იტა)
კვიტოვა (ჩეხ, 8)

### 1/16 ფინალის სავარაუდო წყვილები

(თუ განთესილები პირველ ორ წრეს გაივლიან)

აზარენკა (ბლრ, 1)-უ. რადვანსკა (პოლ, 31)
ლეპჩენკო (აშშ, 21)-ვინჩი (იტა, 16)
ვოზნიაცკი (დან, 10)-პავლიუჩენკოვა (რუს, 24)
ჰსიე (ტაივ, 26)-ერანი (იტა, 7)
ს. უილიამსი (აშშ, 3)-შვედოვა (ყაზ, 28)
ვიკმაიერი (ბელ, 20)-კირილენკო (რუს, 14)
პეტროვა (რუს, 12)-საფაროვა (ჩეხ, 17)
სტივენსი (აშშ, 29)-კვიტოვა (ჩეხ, 8)
ნა ლი (ჩინ, 6)-კირსტეა (რუმ, 27)
გორგესი (გერ, 18)-სტოსური (ჩეხ, 9)
იანკოვიჩი (სერ, 22)-ივანოვიჩი (სერ, 13)
ბარტელი (გერ, 32)-ა. რადვანსკა (პოლ, 4)
კერბერი (გერ, 5)-პაჩეკი (ავსტრია, 30)
მაკაროვა (რუს, 19)-ბარტოლი (საფ, 11)
ციბულკოვა (სლოვ, 15)-ზაკოპალოვა (ჩეხ, 23)
შარაპოვა (რუს, 3)-ვ. უილიამსი (აშშ, 25)

1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64

ნა ლი (ჩინ, 6)
კარატანჩევა (ყაზ)
პარმენტიე (საფ)
გოვორცოვა (ბლრ)
პლიშკოვა (ჩეხ)
ჯონსი (ავსტრა)
ვანდევეგე (აშშ)
კირსტეა (რუმ, 27)
გორგესი (გერ, 18)
დუშევინა (რუს)
ოპრანდი (შვეიც)
პირონკოვა (ბულ)
ჟანგი (ჩინ)
ჟენგი (ჩინ)
ჩანგი (ტაივ)
სტოსური (ავსტრა, 9)
ივანოვიჩი (სერ, 13)
ჩინკი (უნგ)
ჩანი (ტაივ)
ჰანტუხოვა (სლოვაკ)
კოლერი (პორ)
კნაპი (იტა)
ლარსონი (შვედ)
იანკოვიჩი (სერ, 22)
ბარტელი (გერ, 32)
პერვაკი (ყაზ)
უოტსონი (ბრიტ)
კადანტუ (რუმ)
ბეგუ (რუმ)
რუსი (ჰოლ)
ბოზუშიჩი (ავსტრა)
ა. რადვანსკა (პოლ, 4)
კერბერი (გერ, 5)
სვიტოლინა (უკრ)
ჰრადეცკა (ჩეხ)
ბერტენსი (ჰოლ)
დელაკუა (ავსტრა)
კისი (აშშ)
ფოგელი (შვეიც)
პაჩეკი (ავსტრია, 30)
მაკაროვა (რუს, 19)
ლარშერ ბრიტუ (პორ)
ჯორჯი (იტა)
ფორეტცი (საფ)
დოლონცი (სერ)
როგოვსკა (ავსტრა)
მედინა გარიგესი (ესპ)
ბარტოლი (საფ, 11)
ციბულკოვა (სლოვ, 15)
ბარტი (ავსტრა)
მინელა (ლუქ)
სავინიხი (რუს)
ფლიპკენსი (ბელ)
ბრატჩიკოვა (რუს)
სხეპერსი (ს. აფრ)
ზაკოპალოვა (ჩეხ, 23)
ვ. უილიამსი (აშშ, 25)
ვოსკობოევა (ყაზ)
კორნე (საფ)
ერაკოვიჩი (ზელ)
მარტიჩი (ხორ)
დოი (იაპ)
პუჩკოვა (რუს)
შარაპოვა (რუს, 2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რაგბი

# ბოკეს ოქროს თაობა ტულონში

## დენ კარტერს ისევ საფრანგეთში აბრუნებენ

**მოთამაშეთა მიგრაცია, როგორც ჩანს, მარტო ქართული რაგბის პრობლემა არ არის. ევროპაში, განსაკუთრებით კი საფრანგეთში, სადაც კლუბებს ყველაზე კარგი პირობები აქვთ, სამხრეთ ნახევარსფეროს წარმომადგენელთა მოძალებაა. ეს გასაგებიცაა, „სიყვარულის ქვეყანაში“ რიგით ახალზელანდიელს ან სამხრეთაფრიკელს, მინიმუმ სამჯერ მეტს უხდიან, ვიდრე სამშობლოში. აღარაფერს ვამბობთ ვარსკვლავებზე.**

ასე მაგალითად, „ოლ ბლექსის“ მგეზავის **დენ კარტერის** გადაბირება საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის „ტულონის“ მულტიმილიონერ პრეზიდენტს **მურად ბურჯელალს** სურდა. ის „ოქროს ბიჭუნას“ წელიწადში მილიონ ევროს სთავაზობდა. დენიმ - მილიონ ასიათასი მომეცითო, რაზეც ბურჯელალმა ცივი უარი შეუთვალა. იმიტომ კი არა, რომ გადახდა არ შეეძლო. უბრალოდ რაგბიში სიტუაციის „გაფუჭება“ არ მინდაო - ასე განმარტა უარის მიზეზი მურადმა.

ცნობისთვის, წელიწადში მილიონი ევრო, რაც საფეხბურთო საზომით უბრალოდ სასაცილოა, მხოლოდ ერთ მორაგბეს, „ტულონის“ მგეზავს, ლეგენდარულ ინგლისელს **ჯონი ვილკინსონს** აქვს.

აღსანიშნავია, რომ დენ კარტერზე ფრანგულმა კლუბებმა ნადირობა ისევ განაახლეს. მისი გადაბირება კვლავ ბურჯელალს და პარიზულ „მეტრო რასინგს“ უნდა. კარტერი უკვე თამაშობდა ფრანგულ „პერპინიანში“. მან ამ კლუბში 2009 წელს სამი თვე ითამაშა და ახალ ზელანდიაში მძიმე ტრავმით დაბრუნდა. ამჯერად „ტულონი“ და პარიზული კლუბი მასთან კონტრაქტის გაფორმებას 2014 წლის სეზონის იმ პერიოდისთვის აპირებენ, როცა სამხრეთ ნახევარსფეროში არდადეგებია.

*„მეტრო რასინგისა და „ტულონის“ წარმომადგენლები უკვე მესაუბრნენ. ისინი სერიოზულად არიან დაინტერესებული დენით. ამ ორი წინადადებიდან, მას უფრო პარიზული ვარიანტი ხიბლავს, თუმცა გადაწყვეტილი ჯერ არაფერია,“* - თქვა დენ კარტერის მენეჯერმა.

■ ■ ■

სანამ დენ კარტერი თავისი კარიერის შესაძლო განვითარებაზე ფიქრობს, უკვე ყველაფერი გარკვეულია სამხრეთ აფრიკის „ოქროს თაობის“ წამყვან მორაგბეებთან დაკავშირებით. მომავალი სეზონიდან. „ტულონში“ 2007 წლის მსოფლიოს თასის მფლობელი ხუთი სამხრეთაფრიკელი ითამაშებს.

**ჯო ფან ნიკერკი** დიდი ხანია ტულონელთა ღირსებას იცავს და ამ გუნდის კაპიტანია. წლევანდელი სეზონის დაწყების წინ „ტულონში“ ჩაირიცხა მეორეხაზელი **ბაკის ბოთა.** რამდენიმე კვირის უკან კლუბთან კონტრაქტი გააფორმა კიდევ ერთმა მეორეხაზელმა **დენი როსუმ,** რომელიც „ტულონს“ იაპონიის 2012-13 წლების ჩემპიონატის დასრულების შემდეგ შეუერთდება.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ ბურჯელალი დუბაიში დასასვენებლად ჩასულ სამხრეთაფრიკელ გარემარბს **ბრაიან ჰაბანას** შეხვდა და წინასწარ შეთანხმებას მიაღწია. კონტრაქტის პირობებზე დეტალურად მოგვიანებით იმსჯელებენ. შეგახსენებთ, რომ ჰაბანა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გარემარბია და ის 2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს.

კიდევ უფრო ახალი ინფორმაციაა, „ბოკეს“ ყოფილი კაპიტნის **ჯონ სმიტის** „ტულონში“ შესაძლო გადასვლა. ეს ცნობა ბაკის ბოთამ და ჯო ფან ნიკერკმა სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელეს. სმიტი დიდი ხანია ევროპაში გადმობარგდა და ინგლისის ჩემპიონის, „სარასენზის“ ღირსებას იცავს.

*„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს წითელ საძმოში. ბრაიან ჰაბანა, დენი როსუ და ჯონ სმიტ, ჩვენ თქვენთან ერთად უძლეველნი ვიქნებით“* - დაწერა „ტვიტერზე“ ჯო ფან ნიკერკმა.

*„ჩემთან ერთად მთელი გუნდი მოუთმენლად ელის ყველა სამხრეთაფრიკელს“* - ეს იმავე „ტვიტერზე“ ბაკის ბოთას სიტყვებია.

„ტულონი“, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ინტერნაციონალური გუნდი გახდა. საფრანგეთის წლევანდელი ჩემპიონის განაცხადში 38 მორაგბეა და აქედან თვრამეტი ფრანგია, რომელთაგან რეგულარულად თამაში სამს თუ ოთხს უწევს. ტულონელთა ღირსებას სამი ქართველი **(დავით ქუბრიაშვილი, ლევან ჩილაჩავა, კონსტანტინე მიქაუტაძე)**, ორი სამხრეთაფრიკელი, შვიდი ინგლისელი, სამი ახალზელანდიელი, ორი ავსტრალიელი, თითო-თითო არგენტინელი, სამოელი და უელსელი იცავს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ლეიკერსისთვის ყველაფერი დამთავრდა

არ სრულდება „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ პრობლემები. გასულ უქმეებზე კალიფორნიულმა გრანდმა მორიგი, ზედიზედ მეექვსე შეხვედრა წააგო, ამჯერად, საკუთარ მოედანზე „ოკლაჰომა თანდერი“. კვლავაც სერიოზული დანაკლისია წინა ხაზზე - ბოლო მატჩებს „ლეიკერსი“ **პაუ გასოლის, დუაიტ ჰოვარდისა** და **ჯორდან ჰილის** გარეშე ატარებდა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, მეტად უსიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა, კერძოდ, ფორვარდი წლევანდელ სეზონში ველარ შეძლებს მოედანზე გასვლას. ამის მიზეზი ფეხის ტრავმა გახლავთ. როგორც ჰილი ამბობს, მან დაზიანება მას შემდეგ მიიღო, რაც **კობი ბრაიანტმა** დააბიჯა ფეხზე. ჯორდანი ოპერაციას ვერ გადაურჩა, რის შემდეგაც, მისი აღდგენითი კურსი ექვს თვეს დაიკავებს.

„მალლებთან“ დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემის მოსაგვარებლად, „ლეიკერსმა“ თავისუფალი აგენტების ბაზარს მიაკითხა, საიდანაც 35 წლის მძიმე ფორვარდის **კენიონ მარტინის** აყვანას აპირებს. ეს კალათბურთელი შარშან, „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ რიგებში თამაშობდა და საშუალოდ მატჩში 5.2 ქულასა და 4.3 მოხსნას აგროვებდა. სხვათა შორის, მარტინთან კონტრაქტის გაფორმებით „ნიუ იორკ ნიქსიც“ არის დაინტერესებული.

ამასობაში, „ლეიკერსის“ ზედიზედ მეექვსე მარცხს გამოეხმაურა ამ გუნდის ლეგენდარული მოთამაშე **მეჯიქ ჯონსონი**. მან კომენტარი შეხვედრის შუაში გააკეთა, როცა „ოკლაჰომა“ 64:48-ს უგებდა მასპინძლებს.

*„ლეიკერსისთვის“ სეზონი დასრულებულია. არ იქნება არანაირი პლეი ოფი, არ იქნება არაფერი“,* - განაცხადა ჯონსონმა.

გაცილებით ოპტიმისტური განწყობა აქვს NBA-ის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვან მწვრთნელს **ფილ ჯექსონს**. მას მიაჩნია, რომ „ლეიკერსს“ კიდევ შეუძლია პლეი ოფში მოხვედრაზე ფიქრი.

*„მე ჯერ ისევ მჯერა, რომ „ლეიკერსი“ შეძლებს პლეი ოფში გასვლას. მათ საბოლოოდ უნდა მოაგვარონ პრობლემები დაცვაში, სხვა მხრივ, ამ გუნდს აქვს ნიჭიც და ოსტატობაც“,* - ამბობს ჯექსონი „ლოს ანჯელეს თაიმსთან“ კომენტარში.

**11 იანვარი**

**ტორონტო-შარლოტი 99:78**

29:16, 24:23, 23:19, 23:20

ტ: ანდერსონი (16), კალდერონი (15+6 პასი), ჯონსონი (13+8 მოხსნა), დევისი (12+8 მოხსნა), ფილდსი (8+11 მოხსნა).

შ: უოკერი (12+8 მოხსნა), კიდ-გილკრისტი (12), გორდონი (12), სეშენსი (11), ტეილორი (10).

**ბოსტონი-ჰიუსტონი 103:91**

24:21, 29:24, 25:21, 25:25

ბ: პირსი (23), გარნეტი (17+8 მოხსნა+4 დაფარება), სალინჯერი (14+11 მოხსნა), ლი (14), რონდო (12+8 პასი).

ჰ: ჰარდენი (24), პარსონსი (18), ლინი (12+6 პასი+3 ჩაჭრა), აშიქი (7+11 მოხსნა).

**ბრუკლინი-ფინიქსი 99:79**

21:25, 25:28, 28:13, 25:13

ბ: ჯონსონი (19), ბრუქსი (17), ბლეტჩი (15+8 მოხსნა), უილიამსი (15+6 პასი), ლოპესი (13+8 მოხსნა), ევანსი (7+15 მოხსნა).

ფ: დადლი (18), ბრაუნი (15+3 ჩაჭრა), სკოლა (12), დრაგიჩი (12).

**ატლანტა-იუტა 103:95**

22:25, 21:22, 25:29, 35:19

ა: ჰარისი (24), სმიტი (15+10 მოხსნა+6 პასი), უილიამსი (14), ჯონსონი (13+7 მოხსნა), ჰორფორდი (12), ფაჩულია (12).

ი: ფოიე (25), ჯეფერსონი (23+10 მოხსნა), მილსეპი (20+13 მოხსნა), ჰეივორდი (12).

**ნიუ იორკი-ჩიკაგო 101:108**

18:29, 18:28, 24:25, 41:26

ნ-ი: ენტონი (39+8 მოხსნა), სმიტი (13), პრიჯიონი (12+8 პასი+3 ჩაჭრა), უაიტი (11+3 ჩაჭრა), ჩენდლერი (9+18 მოხსნა).

ჩ: დენგი (33), ბუზერი (17), ჰემილტონი (14), ბელინელი (12), გიბსონი (12).

**მემფისი-სან ანტონიო 101:98 (ო)**

22:25, 29:18, 17:28, 27:24, 6:3

მ: გეი (23), კონლი (21), რენდოლფი (18+10 მოხსნა), არტური (14), გასოლი (10+3 დაფარება), ალენი (10+3 ჩაჭრა).

ს-ა: პარკერი (30), ჯინობილი (14), დანკანი (13+15 მოხსნა+3 დაფარება), სპლიტერი (13).

**ნიუ ორლეანი-მინესოტა 104:92**

14:29, 26:17, 30:15, 34:31

ნ-ო: ვასკესი (18+13 პასი), გორდონი (16), ანდერსონი (15+7 მოხსნა), სმიტი (14), ამინუ (12+13 მოხსნა+3 ჩაჭრა), მეისონი (10).

მ: რიდნური (20), პეკოვიჩი (18), კირილენკო (17), კანინგემი (12+9 მოხსნა), შვედი (11+7 პასი).

**მილუოკი-დეტროიტი 87:103**

20:25, 29:16, 11:33, 27:29

მ: ჯენინგსი (15), უდრიხი (15), ელისი (13).

დ: მონრო (26+11 მოხსნა), ნაითი (20), მაქსიელი (10+7 მოხსნა), სინგლერი (10), დრამონდი (8+11 მოხსნა).

**დენვერი-კლივლენდი 98:91**

23:30, 22:26, 27:20, 26:15

დ: გალინარი (23+7 მოხსნა), კუფოსი (21), ფარიდი (17+11 მოხსნა), იგუოდალა (13+11 მოხსნა), ლოუსონი (13+8 პასი).

კ: ირვინგი (28+7 პასი+5 ჩაჭრა), უეიტერსი (18), ტომპსონი (16+7 მოხსნა), მაილზი (11+7 მოხსნა).

**ლეიკერსი-ოკლაჰომა 101:116**

25:25, 23:39, 25:29, 28:23

ლ: ბრაიანტი (28), ჯეიმისონი (19+10 მოხსნა), უორლდ პისი (12), კლარკი (10+10 მოხსნა+3 დაფარება).

ო: დურანტი (42+8 მოხსნა), უესტბრუკი (27+7 მოხსნა+10 პასი), მარტინი (15).

**გ. სტეიტი-პორტლენდი 103:97**

28:19, 22:16, 28:28, 25:34

გ-ს: ლი (24+10 მოხსნა), კარი (22+12 პასი+3 ჩაჭრა), ტომპსონი (16), ლენდრი (15+7 მოხსნა), ჰ. ბარნსი (13+7 მოხსნა).

პ: ლილარდი (37), ბატუმი (16+9 მოხსნა), მეტიუზი (10+9 მოხსნა), ბებიტი (10), ჰიქსონი (7+12 მოხსნა).

**12 იანვარი**

**კლიპერსი-ორლანდო 101:104**

31:26, 26:23, 26:26, 18:29

კ: გრიფინი (30+8 მოხსნა+7 პასი), კროუფორდი (13), პოლი (10+16 პასი+4 ჩაჭრა), ჯორდანი (10), ბარნსი (10), გრინი (10).

ო: აფლალო (30+7 მოხსნა+7 პასი), რედიკი (21), ვუჩევიჩი (18+15 მოხსნა), ნელსონი (11+9 პასი).

**ვაშინგტონი-ატლანტა 93:83**

27:17, 24:33, 22:16, 20:17

ვ: ბილი (16+3 ჩაჭრა), პრაისი (16), უებსტერი (15), უოლი (14), ოკაფორი (10+10 მოხსნა), ნენე (8+10 მოხსნა).

ა: ტიგი (19), ჰორფორდი (16+12 მოხსნა), სმიტი (11+8 მოხსნა).

**ინდიანა-შარლოტი 96:88**

23:24, 20:21, 26:20, 27:23

ი: ჰილი (19), ოგასტინი (18), სტივენსონი (17+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), უესტი (14+12 მოხსნა+10 პასი).

შ: გორდონი (21), უოკერი (16+3 ჩაჭრა+3 დაფარება), უორიკი (13+7 მოხსნა), ჰენდერსონი (12).

**ფილადელფია-ჰიუსტონი 107:100**

29:25, 29:25, 27:26, 22:24

ფ: ჰოლიდეი (30+9 პასი+4 ჩაჭრა), ტ. იანგი (18+12 მოხსნა), რიჩარდსონი (16), ტერნერი (12+7 მოხსნა+6 პასი), ჰოიესი (10+8 მოხსნა+3 დაფარება).

ჰ: ჰარდენი (29+9 მოხსნა+6 პასი), პარსონსი (23+9 მოხსნა), აშიქი (16+10 მოხსნა), დელფინო (16).

**დეტროიტი-იუტა 87:90**

26:13, 24:26, 11:25, 26:26

დ: ნაითი (16), ბინუმი (13+3 ჩაჭრა), მონრო (12+11 მოხსნა).

ი: ჯეფერსონი (20+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), მილსეპი (17+7 მოხსნა), ფოიე (17+5 არიეპტ), ბერქსი (12).

**ჩიკაგო-ფინიქსი 81:97**

21:20, 21:29, 21:28, 18:20

ჩ: ბუზერი (15+10 მოხსნა), დენგი (13), ბატლერი (13), ჰემილტონი (12), ნოა (10+13 მოხსნა).

ფ: სკოლა (22+7 მოხსნა), ბიზლი (20), ტელფეირი (13), ბრაუნი (11), გორტატი (8+10 მოხსნა).

**დალასი-მემფისი 104:83**

25:18, 29:21, 34:23, 16:21

დ: მერიონი (20), ნოვიცკი (17), კამანი (14+7 მოხსნა), მაიო (11), ბრენდი (10+9 მოხსნა), კოლისონი (10+6 პასი+4 ჩაჭრა).

მ: გეი (12), არტური (11+9 მოხსნა), სელბი (10).

**საკრამენტო-მაიამი 99:128**

17:28, 27:38, 28:37, 27:25

ს: ტომასი (34), კაზინსი (11+8 მოხსნა), ჯონსონი (11), რობინსონი (10+10 მოხსნა).

მ: ჩელმერსი (34), ჯეიმსი (20+7 პასი+5 ჩაჭრა), ბოში (16), მილერი (12), უეიდი (11+7 პასი), ალენი (10).

**გია თვალაბეიშვილი**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ბრენტრი-ტელფორდი | 3:2 |
| ჰერეფორდი-ალფრეტონი | 3:3 |
| ლინკოლნი-ნიუპორტი | 2:4 |
| მენსფილდი-კიდერმინსტერი | 0:2 |
| ნანიტონი-ფორესტ გრინი | 1:1 |
| უოკინგი-ებსფლიტი | 1:0 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოსერი-კაენი | 1:2 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| პარიზი-კრეტეი | 0:3 |
| ლე პუარი-კარკეფუ | 3:1 |
| ბასტია-კევილი | 1:1 |
| შერბური-მეცი | 1:2 |
| ბულონი-ვანი | 0:3 |
| რედ სტარი-ეპინალი | 2:0 |
| რუანი-პონ დუ გარი | 3:0 |

**ბელგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დესელი-რუზელარე | 1:1 |
| უდენაარდე-ოსტენდე | 0:2 |
| ჰაისტი-ეუპენი | 1:2 |
| ლომელი-ანტვერპენი | 0:1 |
| ვიზე-ბორინაჟი | 1:2 |
| აალსტი-ვესტერლო | 1:1 |
| ვოლუვე-სტ. ტრუიდენი | 0:2 |
| ბრიუსელი-სტ. ნიკლაასი | 0:0 შეწყდა |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| არუკა-პორტიმონენსე | 2:0 |
| ტროფენსე-ავეში | 2:1 |
| მარიტიმუ B-ლეიძსოეში | 0:3 |
| ფეირენსე-ბელენენსეში | 2:2 |
| ატლეტიკო-პენაფიელი | 0:1 |
| ფრეამუნდე-უნიაო | 1:1 |
| კოვილია-გიმარაეში B | 2:0 |
| სპორტინგი B-ოლივეირენსე | 1:1 |
| ბრაგა B-ბენფიკა B | 0:0 |
| პორტუ B-ტონდელა | 1:1 |
| სტ. კლარა-ნავალი | 2:0 |

**შოტლანდია**

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დამბარტონი-პარტიკი | 2:0 |
| დანფერმლაინი-ეირდრი | 1:3 |
| ფალკირკი-მორტონი | 0:1 |
| ჰემილტონი-კოუდენბითი | 2:1 |
| ლივინგსტონი-რეითი | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალბიონი-ქუინი | 0:3 |
| ისტ ფაიფი-ბრეჩინი | 2:2 |
| ფორფარი-ეირი | 2:1 |
| სტენჰაუზმური-სტრანრარი | 0:0 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანენი-მონროუზი | 2:1 |
| კლაიდი-სტირლინგი | 2:1 |
| ელჯინი-ისტ სტირლინგი | 3:4 |
| ქუინზ პარკი-პიტერჰედი | 0:0 |
| რეინჯერსი-ბირუიკი | 4:2 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| აია-აეპ | 1:2 |
| დოქსა-ენოსისი | 1:1 |
| ოლიმპიაკოსი-აეკ | 0:2 |
| ომონია-აელ | 2:0 |
| ნეა სალამისი-ეთნიკოსი | 0:1 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| აეკ-ქსანტი | 1:0 |
| პანთრაკიკოსი-პლატანიასი | 1:1 |
| ლევადია-ოლიმპიაკოსი | 0:1 |
| იანინა-პანათინაიკოსი | 0:0 |
| ოფი-არისი | 2:0 |
| პანიონიოსი-ვერია | 1:1 |
| პაოკ-ატრომიტოსი | 0:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეთნიკოსი-ნიკი ვოლუ | 1:1 |
| ანაგენისი (ო)-ირაკლისი (პ) | 1:2 |
| აპოლონი-ანაგენისი (ე) | 2:0 |
| კალონი-ლარისა | 1:0 |
| კავალა-ფოკიკოსი | 1:0 |
| ოლიმპიაკოსი (ვ)-ერგოტელისი | 2:0 |
| პანახაიკი-ტრასივულოსი | 1:0 |
| პიერიკოსი-პანსერაიკოსი | 1:0 |
| ვიცასი-დოქსა | 1:1 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| ანტალია-ტრაბზონი | 2:3 |
| შივასი-ბურსა | 2:1 |
| 1461 ტრაბზონი-ფენერბაჰჩე | 0:2 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ებერისტვიტი-ეირბასი | 1:0 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| ირონი (ქ-შ)-ჰაპოელი (პ) | 1:1 |
| ირონი (რ-ჰ)-ბნეი იეჰუდა | 2:1 |
| მაკაბი (ნ)-აშდოდი | 2:0 |
| ბნეი შაჰნინი-ჰაპოელი (თ-ა) | 0:3 |
| მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (ა) | 3:1 |
| ბეითარი-ჰაპოელი (რ-გ) | 3:2 |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-ამერიკა | 0:2 |
| სანტოსი-ჩივასი | 2:0 |
| კრუს ასული-სან ლუისი | 2:1 |
| კერეტარო-პუმასი | 2:1 |
| მონტერეი-მორელია | 1:0 |
| ტიხუანა-ლეონი | 1:0 |
| ატლასი-პაჩუკა | 2:0 |
| ტოლუკა-პუებლა | 1:1 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| მელბურნ ვ-სენტრალ კოუსტი | 1:1 |
| ნიუკასლი-ბრისბენი | 1:0 |
| ველინგტონი-ვესტერნ სიდნეი | 0:2 |
| სიდნეი-მელბურნ ჰ | 2:1 |

**კალათბურთი**

**NBA**

| | |
|---|---|
| ნიუ იორკი-ნიუ ორლეანი | 100:87 |
| ტორონტო-მილუოკი | 96:107 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-ბაიროიტი | 84:72 |
| ბამბერგი-ტუბინგენი | 103:73 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| კოლოსოსი-პანათინაიკოსი | 59:67 |
| პერისტერი-რეტიმნო | 70:69 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| აველინო-სკავოლინი | 71:78 |
| ბიელა-კრემონა | 59:92 |
| ვარეზე-ვენეცია | 85:87 |
| კანტუ-ბოლონია | 79:64 |
| მონტეგრანარო-რომა | 84:86 (ო) |
| რეჯო ემილია-იუვე კაზერტა | 91:72 |
| ბრინდიზი-მილანი | 76:83 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-სარაგოსა | 93:88 (ო) |
| ბილბაო-კანარიასი | 78:70 |
| ხუვენტუდი-ობრადოირო | 89:87 |
| უნიკახა-კახასოლი | 70:81 |
| ესტუდიანტესი-ბარსელონა | 88:66 |
| რეალი-გრან კანარია | 90:54 |
| მანრესა-კახა ლაბორალი | 95:101 (ო) |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-მერსინი | 83:75 |
| ბანვითი-ალიაგა | 94:79 |
| ფენერბაჰჩე-ოლინი | 98:61 |

**ხელბურთი**

**მს. ჩემპიონატი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| გერმანია-ბრაზილია | 33:23 |
| არგენტინა-ჩერნოგორია | 28:26 |
| საფრანგეთი-ტუნისი | 30:27 |
| მაკედონია-ჩილე | 30:28 |
| ისლანდია-რუსეთი | 25:30 |
| დანია-კატარა | 41:27 |
| სერბეთი-კორეა | 31:22 |
| სლოვენია-ს. არაბეთი | 32:22 |
| პოლონეთი-ბელარუსი | 24:22 |
| ხორვატია-ავსტრალია | 36:13 |
| უნგრეთი-ეგვიპტე | 32:23 |
| ბრაზილია-არგენტინა | 24:20 |
| ტუნისი-გერმანია | 25:23 |
| ჩილე-ისლანდია | 22:38 |
| მაკედონია-კატარი | 34:30 |
| საფრანგეთი-ჩერნოგორია | 32:20 |
| რუსეთი-დანია | 27:31 |

**ჰოკეი**

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| გრაცი-ალბა | 3:1 |
| დორნბირნი-ოლიმპია | 4:1 |
| ზნოიმო-ვენა | 1:4 |
| ზაგრები-ინსბრუკი | 2:3 |
| ლინცი-ზალცბურგი | 1:0 |
| ვილახი-კლაგენფიურტი | 4:5 (ო) |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-იზერლონი | 2:3 (ბ) |
| ჰანოვერი-შტრაუბინგი | 5:3 |
| მიუნხენი-კრეფელდი | 3:2 (ბ) |
| აუგსბურგი-ნიურნბერგი | 3:2 (ბ) |
| დიუსელდორფი-ინგოლშტადტი | 6:2 |
| მანჰაიმი-ვოლფსბურგი | 2:1 |
| კიოლნი-ჰამბურგი | 4:3 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-რუსენბორგი | 7:5 |
| სტავანგერი-ტონსბერგი | 8:1 |
| სტრიერნენი-ლორენსკოგი | 1:2 |
| ფრისკ ასკერი-სპარტა | 6:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-ზვოლენი | 1:2 (ბ) |
| კოშიცე-პოპრადი | 4:1 |
| ტრენჩინი-მარტინი | 3:1 |
| პიესტანი-სკალიცა | 2:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლავია-ზლინი | 3:2 (ო) |
| კარლოვი ვარი-სპარტა | 0:2 |
| ვიტკოვიცე-ბუდეიოვიცე | 1:2 (ბ) |
| ბრნო-ხომუტოვი | 4:0 |
| ლიტვინოვი-პლზენი | 2:1 (ბ) |
| ლიბერეცი-კლადნო | 0:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი-ლანგნაუ | 1:4 |
| კლოტენი-დავოსი | 2:3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი




ბერნარდ ტომიჩი

# როგორც 113 წლის წინ

ჩოგბურთელებმა დაასრულეს ბოლო რეპეტიცია ავსტრალიის ღიას წინ და ისინი დღეიდან ჩაებნენ „დიდი სლემის" პირველ ტურნირში.

გასულ კვირას ორ-ორი ტურნირი გაიმართა ქალთა და მამაკაცთა პროფესიულ ტურში. უცნაური შემთხვევა მოხდა სიდნეიში WTA-ის ტურნირის ფინალში. პოლონელმა **აგნიეშკა რადვანსკამ** 6:0, 6:0 გაანადგურა სლოვაკი **დომინიკა ციბულკოვა**. საინტერესოა, რომ ბოლოს, სიდნეის ტურნირის ფინალში ასეთი ანგარიში 1890 წელს დაფიქსირდა.

23 წლის რადვანსკამ კარიერაში მეცხრე ტიტული მოიგო. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს ის დაუმარცხებლად თამაშობს - სიდნეიმდე მან ოკლენდის ტურნირზე აიღო მთავარი პრიზი.

ქალებს შორის მეორე ტურნირი ჩატარდა ახალი ზელანდიის ქალაქ ჰობარტში და იქაც ფინალში ყველაფერი ორ სეტში გადაწყდა. რუსმა **ელენა ვესნინამ** ხუთი ბრეიკი შეასრულა გერმანელ **მონა ბარტელთან** მატჩში, თავად ორჯერ დათმო საკუთარი მოწოდება და 6:3, 6:4 მოიგო. ამით ვესნინამ კარიერაში პირველი ტიტულის მოგება მოახერხა.

■ ■ ■

ასევე გატეხა ნავსი და კარიერაში პირველი ტიტული აიღო ავსტრალიელმა **ბერნარდ ტომიჩმა.** მან სიდნეის ფინალში სამ სეტში მოუგო 26 წლის სამხრეთაფრიკელ **კევინ ანდერსონს** - 6:3, 6:7, 6:3. გადამწყვეტი მატჩი საათი და 55 წუთი გაგრძელდა, რომლის დროსაც, ტომიჩმა ორი ბრეიკი და შვიდი ეისი შეასრულა, ანდერსონმა ერთხელაც ვერ აიღო მეტოქის მოწოდება, თუმცა 13 ეისის ჩაწოდება მოახერხა.

როგორც ჩანს, ავსტრალიური ჩოგბურთის მთავარი იმედი **ბერნარდ ტომიჩი** კარგად მოემზადა ახალი სეზონისთვის.

შეგახსენებთ, რომ 20 წლის ჩოგბურთელმა გასულ კვირას, ჰოპმანის თასზე მსოფლიოს პირველი ჩოგანი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** დაამარცხა ორ სეტში.

ტრადიციულად, სეზონის დასაწყისში ოკლენდის ტურნირი მოიგო მსოფლიოს მეოთხე ნომერმა **დავიდ ფერერმა.** 30 წლის ესპანელმა ამ შეჯიბრში პოკერი შეასრულა - მეოთხედ აიღო მთავარი პრიზი.

ამისთვის, ფერერს ფინალში დიდი ჯაფა არ დადგომია. გერმანელ **ფილიპ კოლშრაიბერთან** მატჩში პირველი სეტის ტაი-ბრეიკზე მოგების შემდეგ, დავიდმა მეორე სეტში მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო მეტოქეს - 7:6(5), 6:1.

შეხვედრა საათსა და 18 წუთს გაგრძელდა, რომლის დროსაც ფერერმა ხუთი ბრეიკი გააკეთა და ორჯერ წააგო თავისი მოწოდება. ესპანელისთვის ეს იყო მე-19 ტიტული კარიერაში.

■ ■ ■

აქვე ვთქვათ, რომ კუიონგში, ავსტრალიის ღია პირველობის ძველ კორტებზე გაიმართა ტრადიციული საგამოფენო ტურნირი, რომელიც 1988 წლიდან ტარდება. ვარსკვლავებიდან აქ მხოლოდ ორი ჩოგბურთელი ჩავიდა - არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო** და ჩეხი **ტომაშ ბერდიხი,** მაგრამ ამ დუეტიდან ჩემპიონი არც ერთი გამხდარა. პირველობა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ნომერმა **ლეიტონ ჰიუიტმა** მოიპოვა.

თავდაპირველად, ავსტრალიელმა სამ სეტში მოუგო კანადელ **მილოშ რაონიჩს,** შემდეგ კი დამაჯერებლად გაუსწორდა ბერდიხსაც და დელ პოტროსაც. აღვნიშნავთ, რომ ჰიუიტი უკვე იყო კუიონგის ჩემპიონი 2011 წელს და ახლა, ამ საგამოფენო ტურნირზე გამარჯვებების რაოდენობით შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** გაუთანაბრდა.

ავტოსპორტი. დაკარი 2013

# კიდევ ერთი ტრაგედია და შემოკლებული ეტაპი

მორიგი სამწუხარო ამბავი მოვიდა რალი-რეიდ „დაკარიდან". ფრანგი მოტომრბოლი **ტომას ბურჟენი** პოლიციის მანქანასთან შეჯახებისას დაიღუპა. ავარიის ადგილზე მისულ ექიმებს მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, რომ სპორტსმენის სიკვდილი დაეფიქსირებინათ. ტრაგიკული ინციდენტი მთებში მოხდა, როცა ბურჟენი სპეცმონაკვეთის სტარტისკენ მიემართებოდა.

*„25 წლის პილოტი ჩილეს პოლიციის ავტომობილს შეეჯახა, რომელიც საპირისპირო მიმართულებით მიდიოდა,* - იტყობინება „დაკარის" ოფიციალური ვებგვერდი. - *მიმდინარეობს ავარიის მიზეზისა და გარემოებების დადგენა".*

შეგახსენებთ, რომ ეს არ არის წლევანდელი რალის ერთადერთი ტრაგიკული შემთხვევა - ერთ დღით ადრე, პერუსა და ჩილეს საზღვართან ახლოს მოხდა ავარია სამი მანქანის მონაწილეობით, რამაც ორი ადამიანი იმსხვერპლა.

■ ■ ■

კვირას, „დაკარზე" დასვენების დღე იყო, შაბათს კი ორგანიზატორებმა დისტანციის დამოკლება გადაწვიტეს, რადგან ძლიერი წვიმა სერიოზულ ხიფათს უქადდა მონაწილეებს. შედეგად, ავტო და მოტომრბოლებმა შემოკლებული ეტაპი გაიარეს.

უფრო მეტიც, დღის ბოლოს, ავტომობილების კლასში დისტანცია კიდევ უფრო შეამცირეს, ამიტომაც, გადაწყდა საერთო ჩათვლაში გაეთვალისწინებათ იმ მომენტისთვის ფინიშზე მისული ოთხი პილოტის შედეგი. ესენი იყვნენ: **გერლენ შიშერი, ორლანდო ტერანოვა, რობი გორდონი** და **სტეფან პეტერანსელი.** დანარჩენი პილოტების დრო კი გაუთანაბრეს პეტერანსელის დროს, რომელიც ამ კვარტეტში მეოთხე იყო.

ამ ყველაფერმა კი ის მოიტანა, რომ ავტომობილების კლასში ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა. შიშერიმ, ტერანოვამ და გორდონმა ოდნავ შეამცირეს ლიდერთან ჩამორჩება, სხვები კი იმავე პოზიციებზე დარჩნენ.

**საერთო ჩათვლა**

1. **სტეფან პეტერანსელი** (საფრანგეთი, Mini) - 18:31.04; 2. **ნასელ ალ-ატიია** (კატარი, Buggy) - +3.14; 3. **ჟინიელ დე ვილიერსი** (სამხრეთ აფრიკა, Toyota) - +44.03; 4. **ლეონიდ ნოვიცკი** (რუსეთი, Mini) - +48.54; 5. **გერლენ შიშერი** (საფრანგეთი, Buggy) - +1:04.50...

■ ■ ■

მოტოციკლების კლასში კი ყველაფერი თავდაყირა დადგა. პირველ ორ ადგილზე მყოფმა **ოლივე პენმა** და **ფრანსისკო ლოპესმა** ძალიან ცუდი ეტაპი ჩაატარეს და პირველი სამეულიდან გავარდნენ. პირველ როლებზე კი **დავიდ კასტო** და **სირილ დეპრე** აღმოჩნდნენ, რომლებიც ასევე არ ყოფილან ძალიან სწრაფები: ეტაპის გამარჯვებულმა **ხოან ბარედა ბორტმა** მათ 15 წუთი მოუგო.

ეტაპის შემდეგ კი მოქმედ ჩემპიონ დეპრეს ძრავის შეცვლისთვის 15-წუთიანი ჯარიმა მისცეს და მთავარი ფავორიტი მეორიდან მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

**საერთო ჩათვლა**

1. **დავიდ კასტო** (საფრანგეთი, Yamaha) - 19:56.33; 2. **რუბენ ფარია** (პორტუგალია, KTM) - +11.16; 3. **ფრანსისკო ლოპესი** (ჩილე, KTM) - +12.00; 4. **ოლივიე პენი** (საფრანგეთი, Yamaha) - +16.10; 5. **სირილ დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - +24.26...



ჰოკეი

# სეზონის მთავარი თარიღები

კლუბების მფლობელების შემდეგ, ახალი კოლექტიური ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინეს მოთამაშეებმა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, მეპატრონეებმა ასი პროცენტით დაუჭირეს მხარი ახალ ხელშეკრულებას, მოთამაშეებს შორის კი თორმეტი არ დაეთანხმა ლიგის ხელმძღვანელობასა და პროფკავშირებს შორის მიღწეულ გარიგებას. მაგრამ დანარჩენებმა (98.2 პროცენტი) მხარი დაუჭირეს ხელშეკრულებას, რაც რატიფიკაციისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

თუმცა ამით ლოკაუტი ოფიციალურად არ დასრულებულა. ბოლო ნაბიჯი იყო მემორანდუმის გაფორმება ლიგასა და პროფკავშირებს შორის. რამდენიმე საათში ეს ფორმალობაც მოგვარდა და გუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გაიხსნა საწვრთნელი ბანაკები.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულება ათი წლით არის გაფორმებული. დოკუმენტის თანახმად, მოთამაშეები მიიღებენ ლიგის საერთო შემოსავლის 50 პროცენტს და არა 57-ს, როგორც ეს წინა ხელშეკრულების თანახმად ხდებოდა. პირველი სამი წელი, მოთამაშეებს 50 პროცენტზე მეტი ეკუთვნით, რადგან იმოქმედებს წინა კონტრაქტების პირობები.




სახელფასო ბიუჯეტის ზედა ზღვარი წელს 70.2 მილიონი იქნება, 2013-14 წლების სეზონიდან მოყოლებული კი ის უკვე 64.3 მილიონს გაუტოლდება. ინდივიდუალური კონტრაქტის ვადა შვიდ წლამდე იქნება შეზღუდული.

ლიგამ უკვე გამოაქვეყნა წლევანდელი შემოკლებული სეზონის ძირითადი თარიღები და რიცხვები.

**სეზონის დაწყება:** 19 იანვარი.

**რეგულარული ჩემპიონატის დასასრული:** 27 აპრილი.

**პლეი ოფის სტარტი:** 30 აპრილი

**პლეი ოფის სავარაუდო ბოლო დღე:** 28 ივნისი.

**გაცვლების ბოლო დღე:** 3 აპრილი.

**თავისუფალი აგენტების ბაზრის სტარტი:** 5 ივლისი.

რეგულარული ჩემპიონატი შემდეგი მატჩებით გაიხსნება:

**ფილადელფია-პიტსბურგი**
**ვინიპეგი-ოტავა**
**ლოს ანჯელესი-ჩიკაგო**
**ბოსტონი-რეინჯერსი**
**მონრეალი-ტორონტო**
**აილენდერსი-ნიუ ჯერსი**
**ტამპა ბეი-ვაშინგტონი**

თითო გუნდი რეგულარულ ჩემპიონატში 48 მატჩს ჩაატარებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:25
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით დაბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608